

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№2 (10)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



Scientific magazin

Научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№2 (10)

2011

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან ბაბუნია, ია გურდული, მარია მიხაილოვა,
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალესანდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
www.odageorgia.ge

Editorial Board:

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რელაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

სარჩევი

ციური ახელედიანი, ნონა რუაძე ფრანგული ფრაზეოლოგიისა და ეთნოკულტურის ურთიერთკავშირი.....	9
ქეთევან გაბუნია, ნათია ღვინიაშვილი სოციალური კლასები და ლინგვისტური ცვლილებები.....	14
ქეთევან გაბუნია, ცისანა შერგილაშვილი ენა და პოლიტიკა. ენობრივი პოლიტიკის საკითხისათვის.....	18
ეკატერინე გელოვანი ფრაზეოლოგია ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში.....	23
რუსუდან გოცირიძე ინოვაციური ენობრივი განათლების ძირითადი მახასიათებლები.....	28
რუსუდან გოცირიძე მულტიმედია და ინტერნეტ რესურსები როგორც სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალი ფორმა.....	32
ნანა გუნცაძე ა. რემბოს „ხმოვნების“ სონეტი.....	36
ნანა გუნცაძე როგორ წავიკითხოთ რემბოს „ერთი სეზონი ჯოჯოხეთში“.....	44
მარინა ზორანიანი ინგლისური ენის სპეციალური მიზნებისათვის (ESP) სწავლების პრობლემა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის	54
ვიდას კავალიაუსკასი -inti სუფიქსიანი ზმნების აქცენტის სისტემა ლიტვურ სტანდარტულ ენაში.....	58
მარინე კობეშავიძე მორფოლოგიური და სიტყვაწარმოებითი ანალიზის ურთიერთქმედებისათვის თანამედროვე ესპანურ ენაში	64
დარეჯან ლაბუჩიძე ქართული ზმნის სპეციფიკა და თარგმანის ადეკვატურობა.....	69
თამარ მაჭავარიანი სიმეტრიული და კომპლემენტარული კომუნიკაცია.....	74
ლიანა ციმაკურიძე 25-ე კადრის ფენომენის აკრძალვის მიზეზი.....	78
ნინო ჭრიკიშვილი პრეროდანული ლინგვისტური სუბსტრატი ესპანურ ენაში.....	82
სოფიკო ფეტელავა მთარგმნელის როლი გლობალურ ბიზნესში.....	87
ქეთევან ჯაში, ნათია აბაშიძე სინონიმურ პარონიმთა ტიპები თანამედროვე ფრანგულ ენაში	92
მარინე ჯაში სიმრავლის ველი გერმანულ და ქართულ ენებში.....	99

Contents

Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze Interrelation of French Phraseology and Its Ethnoculture.....	9
Ketevan U. Gabunia, Natia S. Gviniashvili Social Classes and Its Lingual Changes.....	14
Ketevan U. Gabunia, Tsisana G. Shergilashvili Politic and Language. To the Lingual Politic Question.....	18
Ekaterine A. Gelovani Phraseology in Effective Verbal Communication.....	23
Rusudan A. Gotsiridze Main Characteristics of Innovations in Language Education.....	28
Rusudan A. Gotsiridze Multimedia and Internet Resources – New Forms of Socio Cultural Communication	32
Nana P. Guntsadze „Vowels“ Sonet by A. Rambo	36
Nana P. Guntsadze How to read „One Season in the Hell“ by A. Rambo.....	44
Marina G. Zoranian On Problem of Teaching ESP to students of Technical Higher Education Institutions.....	54
Vidas Kavaliauskas Stress system of Verbs with suffix -inti in Lithuanian Standart Language.....	58
Marine Kobeshavidze Morphological and Word-Formative Aspects Cooperation in Modern Spanish Language	64
Darejan A. Laboutchidze Specifics of a Georgian Verb and Translation Adequacy.....	69
Tamar Sh. Matchavariani Symmetrical and Complementary Communication.....	74
Liana J. Tsimakuridze The Resents of Prohibition 25th Frame Phenomenal.....	78
Nino G. Chrikishvili Pre-Roman Lingual Substrate in Spanish Language.....	82
Sophiko N. Petelava Role of Translators in Global Business.....	87
Ketevan N. Djachy, Natia Abashidze The Typology of Synonymic Paronyms in the Modern French Language	92
Marina N. Djachy The Field of Notion of Multitude in the German and Georgian Languages.....	99

Содержание

Циури Ахвледзани, Нона Руадзе Взаимосвязь французской фразеологии и этнокультуры	9
Кетеван Габуня, Натия Гвиниашвили Социальные классы и лингвистические изменения	14
Кетеван Габуня, Цисана Шергилашвили Язык и политика. К вопросу лингвистической политики	18
Екатерина Геловани Фразеология в эффективной вербальной коммуникации.....	23
Русудан Гоциридзе Характерные свойства инновационного языкового образования.....	28
Русудан Гоциридзе Мультимедиа и интернет ресурсы – новые формы социокультурной коммуникации	32
Нана Гунцадзе Сонет А. Рембо „Гласные“.....	36
Нана Гунцадзе Как прочесть „Один сезон в аду“ А. Рембо	44
Марина Зораян К проблеме обучения EPS студентов технических вузов	54
Видас Кавалаяускас Система акцента глаголов с суффиксом -inti в литовском стандартном языке.....	58
Марине Кобешавидзе Взаимодействие морфологических и словообразовательных аспектов в современном испанском языке.....	64
Дареджан Лабучидзе Специфика грузинского глагола и адекватность перевода.....	69
Тамар Мачавариани Симметричная и комплементарная коммуникация.....	74
Лиана Цимакуридзе Причины запрета феномена 25-го кадра	78
Нино Чрикишвили Пре-римский лингвистический субстрат в испанском языке	82
Софико Петелава Роль переводчика в глобальном бизнесе	87
Кетеван Джаши, Натия Абашидзе Типы синонимических паронимов в современном французском языке	92
Марина Джаши Поле множественности в немецком и грузинском языках.....	99

ფრანგული ფრაზეოლოგიისა და ეთნოკულტურის ურთიერთკავშირი

ციური ახვლედიანი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი, საქართველო*

ტელ.: 899 508 607

E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ნონა რუაძე

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი, საქართველო*

ტელ.: 893 768 088

E-mail: nonaruadze@rambler.ru

რეზიუმე

ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ეთნოკულტურაში, ფრანგულშიც ვლინდება ეროვნული ხასიათი, ფსიქოლოგიურ ნიშანთა თავისებურება, მენტალიტეტი, სამყაროს სურათის კონცეპტუალური ხედვა, ეროვნული ტრადიციები და ჩვევები, რელიგიური რწმენები და სხვ. ეროვნული თვითშეგნების შესწავლისას პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ფრაზეოლოგიური კვლევები. ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფიქსირდება ერის მატერიალური და სულიერი კულტურა და ვლინდება მისი ეროვნული ხასიათი. ფრანგულ ფრაზეოლოგიაში აღბეჭდილია ფრანგული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული ფრაგმენტები. მათი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფასეულობებთან შესაბამისობით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხალხის ეთნოკულტურის საფუძველს.

საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიური ერთეული, ეთნოსი, ტრადიცია, სოციუმი, ფრაზეოლოგიური ფონდი.

შესავალი

წარმოადგენს რა ერის კულტურის რეპრეზენტაციის სპეციფიკურ ფორმას, ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორც ირიბწარმოებული ნომინაციის ნიშნები, ჩნდებიან გარე სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობის პროცესში და ასახავენ განსაზღვრული ეთნოკულტურის წარმომადგენელ ადამიანთა რეფლექსურ ქმედებას გარემომცველი რეალობის მიმართ.

ძირითადი ნაწილი

ენა ეთნიკური კომპონენტია, რომელიც შეიცავს ტრადიციათა, ჩვევათა, რწმენათა და ა. შ. ერთობლიობას და განსაზღვრავს ამა თუ იმ ეთნოსის ქცევის სტერეოტიპს; სამყაროს სურათი ასევე იქმნება და აისახება ნაციონალური ენებით. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება ეთნოსის ცხოვრების რეალურ პირობებს, მეორე მხრივ კი - ეთნოსის ეროვნული ხასიათის, მენტალიტეტის თავისებურებებს. ეროვნული თვითშეგნების შესწავლისას პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ფრაზეოლოგიური კვლევა როგორც ეთნოსის მსოფლმხედველობის კომპონენტისა. ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ნიშნობრივი ფორმით ფიქსირდება ერის მატერიალური და სულიერი კულტურა, აისახება ამა თუ იმ სოციუმის ფასეულობითი ორიენტაციები, სოციუმის მორალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ

უპირატესობათა სისტემა, რაშიც ვლინდება კონკრეტული ეთნოსის მენტალიტეტის თავისებურებები, მისი ეროვნული ხასიათი.

ხასიათი როგორც ირეალური წარმონაქმნი, ფსიქოლოგთა შესწავლის ობიექტია. ეროვნული ხასიათის შესწავლის აუცილებლობაზე პირველმა მიუთითა ფრანგმა ექიმმა აზამმა, XIX ს.-ის დასასრულს. მას შემდეგ ნაციონალური ხასიათის განსაზღვრის პრობლემა სამეცნიერო დისკუსიათა მუდმივ ობიექტს წარმოადგენს. ეთნოლოგები ნაციონალურ ხასიათს განიხილავენ ხალხის ფსიქიკური ძალების კომბინაციად, სოციალურ-ფსიქოლოგიურ კატეგორიად, რომლის არსებობაშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს ნაციონალურ ენას.

ეთნოსის განსაზღვრული ეთნოკულტურის ხასიათის ამსახველ ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმები. ფრანგულ ეროვნულ მენტალიტეტში დადგენილია საფრანგეთის ზოგიერთი პროვინციის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი ხასიათის თავისებურებანი. მაგ., ნორმანდიელი ითვლება ფრთხილ, თავშეკავებულ ადამიანად, რომელიც ამჯობინებს შეკითხვებზე ორაზროვან, ორჭოფულ პასუხებს, რათა არ გაეხვიოს გაუგებრობაში. შესაბამისად არსებობს ფრაზეოლოგიზმები: *c'est un fin Normand* – „დიდი ეშმაკი ვინმეა“, *répondre en Normand* – „ორაზროვანი, ორჭოფული პასუხის გაცემა“; გასკონელი გამოირჩევა მჭევრმეტყველებით, მკვეხარობით, აქვს უნარი პატივით გამოვიდეს მძიმე მდგომარეობიდან, თითქოს არავითარი მარცხი არ განუცდია; ასე წარმოიშვა ფრაზეოლოგიზმები: *garde (-toi) d'un Gascon ou Normand, l'un hâble trop et l'autre ment* – უფრთხილდი გასკონელსა და ნორმანდიელს, ერთი მკვეხარაა, მეორე – ცრუპენტელა; *agir en Gascon* – „ბაქიაობა“, *faire la lessive de/du Gascon* – „ბაქიაობა, კვეხნა, ტრაბახი“; *se tirer*

en Gascon – „თავის დაღწევა უსიამოვნო მდგომარეობიდან“; ბრეტონელი ითვლება უკულტურო, თავნება ჯიუტად, რასაც ადასტურებს იდიომი – *de bas Breton* – „უკულტურო, თავისნათქვამა“.

ნებისმიერ ეთნოკულტურაში ხასიათი განიხილება როგორც რთული, მრავალგანზომილებიანი წარმონაქმნი, რომლის აუცილებელი შემადგენლებია დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც თითოეულ ადამიანში თავმოყრილია გამოხატულების სხვადასხვა ხარისხით. ამიტომაც ფრანგებს შორის, ისევე როგორც სხვა ეროვნების ადამიანებს შორის, გვხვდება ადამიანები კარგი (*un homme de bonne / facile composition*) ან რბილი ხასიათის (*un caractère doux*) მქონენი, ან ცუდი (*un homme de difficile / mal composition*) ხასიათის მქონენი. ასევე ამბივალენტური მახასიათებელი – „უნებისყოფობა“, „უხასიათობა“, ფრანგულ ფრაზეოლოგიაში გამოიხატება ასეთი ერთეულებით: *soleil de janvier* – „დოყლაპია, უნებისყოფო ადამიანი“, *mi-figue, mi-raisin* – „არც ღვინო, არც წყალი“.

ფრანგული ნაციონალური ხასიათის სივრცის ცნებით შინაარსში გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ერთეულებით ვერბალიზებული შემდეგი ნიშნები: 1). ბაზისური, 2). ეთიკური, 3). ესთეტიკური, 4). ანომალიური.

1. ბაზისური ანუ ბუნებრივი მახასიათებლები, რომლებიც ხასიათისათვის გენეტიკურია, გამოხატავენ:

– ტემპერამენტის ტიპთა თავისებურებებს, რომლებიც ტრადიციულად 4 ჯგუფად იყოფა: ა) **ფლეგმატური**, რომელიც ხასიათდება გულგრილობით: „*être froid comme une carafe d'orgeat*“ – „ცივი, გულგრილი, ფლეგმატური“; ბ) **მელანქოლიური**, რომელსაც ახასიათებს პესიმიზმი: „*tomber dans l'abattement*“ – „ცუდ გუნებაზე ყოფნა“; გ) **სანგვინიკოსი**, რომელიც გამოირჩევა

რეაქციის სისწრაფით: „faire qch sur-le-champ / trois coups de cuiller à pot“ – „დაუყოვნებლივ რაიმეს გააკეთება“; დ) **ქოლერეკი**, რომელსაც ახასიათებს გულფიცხოვა, ნერვიულობა: „avoir l'air triste comme un bonnet de nuit“ – „ღვარძლიანი, ფხუკიანი, ბოლმიანი“;

– **ინტელექტის დონეს**, როგორცაა: გონებრივი შესაძლებლობის მაღალი მაჩვენებლები: „connaître / savoir qch de A jusqu'à Z“ – „რაიმეს თავიდან ბოლომდე ცოდნა, ხუთი თითით ცოდნა“; „démontrer / prouver qch par A+B“ – „დაამტკიცო რომ ორჯერ ორი – ოთხია“; შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობანი: „une oie blanche“ – „უგუნური, გულუბრყვილო ჩერჩეტი“; „être comme une poule qui a trouvé un couteau“ – „ქათმისტვინა“; „être bouché à l'émeri“ – „უტვინო, ნახერხისთავიანი“; „ignorant comme une carpe / une cruche“ – „სრულიად უვიცი, უმეცარი“;

– **მნებელობით თვისებებს**, რომლებიც ენობრივ დონეზე ასოცირდება სიმტკიცესთან, შეუდრეკელობასთან, შეტევასთან, მიზანსწრაფვასთან: „faire le diable à quatre“ – „დიდი მონდომება რაიმეს მისაღწევად“; „ne craindre ni Dieu ni diable“ – „არაფრის წინაშე არ შედრკომა, არც ღმერთის და არც ეშმაკის შიში“; „ne pas y aller par quatre chemins“ – „ღიად მოქმედება / ლაპარაკი“.

2. ფრანგულ ეთნოკულტურაში ხასიათის ეთიკური თვისებები ყალიბდება ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში. ადამიანის სოციალური სტატუსი დამოკიდებულია მის ურთიერთობაზე შრომისადმი: „un grand abatteur de besogne“ – „გამრჯე, ძალიან მშრომელი“; გარშემომყოფებთან მის ურთიერთობაზე: „franc comme l'osier“ – „გულდია, ალალი, გულწრფელი, გულმართალი“; განისაზღვრება მორალურ-ეთიკური ნორმებით: „droit comme un arbre“ – „მოუსყიდავი, უანგარო, პატიოსანი“. უარყოფითი ეთიკური შეფასება აქვს ისეთ თვისებებს, როგორ

რებიცაა – ეშმაკობა: „jouer d'adresse / user de detour“ – „მოხერხება, ხერხის ხმარება“; კვეხნა, ტრაბახი, ქადილი: „un grand abatteur de quille“ – „მკვეხარა, ბაქია“; პირმოთნეობა, მლიქვნელობა: „faire le chien couchant“ – „ქლესაობა, მლიქვნელობა“; ყბედობა: „être secret comme un coup de canon“ – „ფარული, როგორც ზარბაზნის გასროლა“; სიძუნწე, ხელმოჭერილობა: „ne pas attacher ses chiens avec des saussices“; სიცრუე, მატყუარობა: „il a du crédit comme un chien à la boucherie“ – „ისევე ვერ ენდობი, როგორც მგელს ვერ ანდობ ფარას“; უხეშობა, უკმეხობა: „poli comme une porte de prison“ – „ძალიან უხეში“.

3. **ესთეთიკური ნიშნები** ახასიათებენ ადამიანს საკუთარი თავისადმი, თავისი გარეგნობისადმი დამოკიდებულების მიხედვით. კიცხავენ ფეთხუმ, დაუდევარ ადამიანებს: „être ficelé / fichu comme l'as de pique / un sac“ – „ცუდად და უგემოვნოდ ჩაცმული“. მოსწონთ ელეგანტურობა, სინატიფე, დახვეწილობა: „être tiré à quatre épingles“ – „ახალთახლებშია გამოწყობილი“; „un Beau Brummel“ – „ძალიან ლამაზი და ელეგანტური მამაკაცი“.

4. **ანომალიურ ნიშნებს** მიეკუთვნება ის მახასიათებლები, რომლებიც წარმოადგენენ ნორმიდან გადახრას; მათი საფუძველია ინდივიდუალური რაციონალიზმის იდეები ან, პირიქით, აბსოლუტური გულგრილობა ყველაფრისადმი, მათ შორის საკუთარი თავის მიმართაც. ანომალური ნიშნები ასახავენ ვიწრო პრაქტიციზმს, მისწრაფებას ყოველგვარი მატერიალური გამორჩენისაკენ ან, პირიქით, ინდიფერენტულობას, გულგრილობას ყველაფრისადმი:

– ეგოცენტრიზმი, ქედმაღლობა, ამპარტავნობა: „le coq du village / être fier comme un pou“ – „მამალივით ამპარტავანი“; „se rengorger comme un dindon“ – „ინდაურივით გაფხორილი“; თავგასულობა, განებვირებულობა:

„être dorloté comme un roi“ – „ხელმწიფესავით ნებიერი“; წრეგადასული სიამაყე: „fier comme Artaban“ – „ემმაკივით ამაყი“;

– უნებისყოფობა, უხასიათობა: „abandon de soi-même“ – „გულგრილობა საკუთარი თავის მიმართ“; „n’avoir ni forme, ni couleur“ – „მასიდან განურჩეველი“; „compter pour de la vaseline“ – „სათვალავში არ ჩაიგდება, მხედველობაში არ მიიღება, არარაობაა“; „Monsieur le Bon“ – „დოყლაპია, ყეყეჩი“; „couille molle“ – „დონდლო“;

– ხასიათში რაიმე დადებითი თვისების არქონა; ასეთი ხასიათის მქონე ადამიანი ფასდება როგორც „სუპერუარყოფითი“: „bijou de la foire Saint-Ovide“ – „არარაობა“; „villain bonhomme“ – „ცუდი, საზიზღარი ადამიანი“; „mauvaise graine“ – „ბიწიერი, უხნო ადამიანი“; „un villain coco“ – „უსიამოვნო ტიპი“.

ამრიგად, ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა ხასიათის ნიშნები ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვანაირად ვლინდება ტრადიციების, კულტურის, ნაციონალური ტემპერამენტისა და მენტალიტეტის მიხედვით. ფრაზეოლოგიაში აღიბეჭდება მოცემული ეთნოსის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნები, ასევე ყველაზე მეტად გამორჩეული და დამახასიათებელი ნიშნები. როგორც ყველგან, ასევე საფრანგეთშიც აფასებენ ჭკვიან ადამიანებს: „un homme d’entendement“ – „გონიერი, საზრიანი ადამიანი“; „avoir la sagesse de Solomon“ – „ჭკუის კოლოფი“; გულწრფელ ადამიანებს: „franc comme l’osier“ – „გულმართალი, გულწრფელი“; „jouer franc jeu; jouer / mettre cartes sur table“ – „პატიოსნად მოქცევა“. ფრანგები კიცხავენ სულელებს: „dégourdi comme un manche“ – „უგერგილო, უნიათო“; მატყუარებს: „manquer de parole“ – „სიტყვის, დაპირების არშესრულება“, „on ne peut empêcher le chien d’aboyer ni le menteur de mentir“ – „ძაღლს ყეფას ვერ აუკრძალავ, ასევე მატყუარას – ტყუილებს“.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში უხვადაა წარმოდგენილი ფრანგი ხალხის შრომისმოყვარეობა და შრომისუნარიანობა: „avoir cent bras“ – „ასი ხელის ქონა“; „travailler comme quatre“ – „ოთხის მსგავსად (ტოლად) შრომა“; „travailler comme un cheval / un bœuf / une brute/ une bête de somme“ – „მუშაობა საფორანე ცხენივით, ხარივით“; „travailler comme un mercenaire“ – „მუშაობა კატორღელივით“ („კატორღული მუშაობა“) და სხვ. იმავდროულად, ფრანგები კიცხავენ სიზარმაცესა და მუქთახორობას: „faire qch comme un cochon avec sa queue“ – „მოუქნელი, ტლანქი“, „adroit comme un prêtre normand“ – „უადრესად უგერგილო, უხეირო“ და სხვ.

დასკვნა

ფრანგულ ფრაზეოლოგიაში აღბეჭდილია ფრანგული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული ფრაგმენტები. მათი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფასეულობებთან შესაბამისობით, რომლებიც წარმოდგენენ ამ ხალხის ეთნოკულტურის საფუძველს.

ლიტერატურა

1. Bally Ch. (1962) : Traité de Stylistique française. Genève
2. Bolly C. (2008): Les unités phraséologiques. Louvain-la-Neuve
3. François J. (2006): Composition syntaxique et Figement lexical. Paris
4. González Rey I. (2002): La phraséologies du français. Toulouse

Взаимосвязь французской фразеологии и этнокультуры

Ахвледзиани Циури Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 899 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Руадзе Нона Нугзаровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 893 768 088
E-mail: nonaruadze@rambler.ru

Резюме

Во французской, как и в любой другой этнокультуре выявляется национальный характер, особенность психологических черт, менталитет национальных традиций и обычаев, религиозных верований данной нации.

В изучении национального самосознания приоритетным направлением является исследование фразеологических единиц.

Во фразеологическом составе языка фиксируется материальная и духовная культура нации, отражаются ценностные ориентации того или иного социума, систему его моральных, этических и эстетических предпочтений, указывающая на особенности менталитета конкретного этноса. Во французской фразеологии зафиксированы значимые для данного этноса фрагменты жизнедеятельности.

Ключевые слова:

фразеологическая единица, этнос, традиция, социум, фразеологический фонд.

Interrelation of French Phraseology and Its Ethnoculture

Tsiuri A. Akhvlediani
Georgian State University
Humanitarian science faculty
36 Tchavtchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 899 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Nona N. Rouadze
Georgian State University
Humanitarian science faculty
36 Tchavtchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 893 768 088
E-mail: nonaruadze@rambler.ru

Abstract

In the French ethno culture as in any others is revealed national type, the peculiarity of psychological features, the national traditions, mentality of national tradition and customs, and the religious beliefs of this nation.

The prior direction of national self-consciousness study is researches of phraseological units.

The phraseological composition fixed material and spiritual way of nation culture, of its language and reflected the orientations value of one or the other socium, also the system of its moral, ethical and aesthetical preferences, which shows it as the special mentality of concrete ethnos features. The French phraseology fixes vital activity significant for this ethnos.

Keywords:

Phraseological units, ethnos, tradition, socium, phraseological fund.

სოციალური კლასები და ლინგვისტური ცვლილებები

ქეთევან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 899 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

ნათია ღვინიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 855 515 117

E-mail: nat.gviniashvili@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სოციალური კლასების უდიდესი როლი და გავლენა ლინგვისტურ მარკერებზე, რამაც განაპირობა არაერთი ცვლილება ენასა და მეტყველებაში. ასევე საუბარია მათი ურთო-ერთქმედების ცვლილებასა და განვითარებაზე უძველესი დროიდან თანამედროვე საზოგადოებრივ სტრუქტურულ წყობამდე, შუა საუკუნეების ენობრივ-ისტორიული მდგომარეობის გათვალისწინებით. სტატიის ცენტრალური თემაა ენათმეცნიერების მიერ შემუშავებული კონცეფციები, რომელთა თანახმადაც სოციალური კლასებისადმი მიდგომის ორი ტიპი არსებობს: რეალისტური (კ. მარქსი) და ნომინალისტური (მ. ვებერი). საზოგადოებისა და ენის ურთიერთობის კვლევა არც მეოცე საუკუნეში შეწყვეტილა და ამ საკითხზე მრავალი

მეცნიერი მუშაობდა, მათ შორის უ. ლაბოვი და ბ. ბერნშტეინი. ლაბოვი დაახასიათა კლასის ცვლილების თანმდევი მოვლენები, ხოლო ბერნშტეინმა-დახვეწილი და შეზღუდული კოდები. დასასრულ საუბარია იმ ფაქტზე, რომ ინდივიდის ენობრივ ჩვევებს განაპირობებს არა მხოლოდ მისი სოციალური სტატუსი, არამედ რასა, ეთნიკური კუთვნილება და სქესი.

საკვანძო სიტყვები:

სოციალური კლასი, ლინგვისტიკა, დიფერენცირება, რეალისტური, ნომინალისტური, კონცეფცია, სტანდარტული ენა, ენობრივი კოდები, კოინე, პრეციოზული.

შესავალი

სოციალური კლასის სტატუსის განსაზღვრა ხდება ცხოვრების გარე პირობებით, ეკონომიკური მახასიათებლებით. ასეთი კლასიფიცირება არსებობდა ყველა ეპოქასა და საზოგადოებაში. ერთი ჯგუფის ინდივიდები ხასიათდებიან საერთო ნიშანთვისებებითა და ღირებულებებით. თითოეული სუბიექტის ქცევასა თუ მეტყველებაზე აისახება იმ სოციუმის მახასიათებლები, რომელსაც იგი მიეკუთვნება.

სოციალურ კლასებს შორის დიფერენცირება უძველეს პერიოდში იღებს სათავეს და ამავე პერიოდიდან იწყება ის ენობრივი ვარიაციები, რომლებსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენა იყენებს სამეტყველოდ. ამის უძველეს მაგალითს წარმოადგენს რომის იმპერია, სადაც მმართველი ფენის მიერ ხმარებული ლათინური ენა გაუგე-

ბარი იყო დაპყრობილი ხალხისათვის. ამან განაპირობა ადგილობრივი ენებისა და ლათინურის შერწყმა და შეიქმნა კონიუნა, რომელიც გასაგები იყო ყველასთვის, თუმცა დროთა განმავლობაში მანაც განიცადა ცვლილებები და დაკარგა თავისი თავდაპირველი ფუნქცია.

ძირითადი ნაწილი

კლასის სტატუსი განისაზღვრება ეკონომიკური მახასიათებლებით, ცხოვრების გარეშე პირობებით. კლასი არის ჯგუფი ადამიანებისა, რომელსაც გააჩნია (უჭირავს) ერთი და იგივე კლასობრივი სტატუსი (სტრატეფიკაციის I ტიპი).

სტრატეფიკაციის მეორე ტიპი შეესაბამება სკულპტურულ წყობას, რომელიც პრესტიჟზეა დამოკიდებული (სკულპტურული ჯგუფი).

სტრატეფიკაციის მესამე ტიპი პოლიტიკაა. პოლიტიკური ძალაუფლება არ არის თანაბრად განაწილებული, ის ძირითადად ინსტიტუციონალიზებულია პარტიებში. სამივე მათგანს ერთგვარი ავტონომია გააჩნია.

3. ბურდიეს კონცეფციით – სოციალური კლასები, რომელთა საფუძველი ეკონომიკური ბაზაა, ღრმად ასტრუქტურირებენ სოციალურ სამყაროს. თუნდაც კლასები მხოლოდ მითი იყოს, ისინი იმდენადაა გამჯდარი მენტალიტეტში, რომ ვაღიარებთ მათ არსებობას.

დღეისათვის სოციალური კლასებისადმი მიდგომის ორი ტიპი არსებობს, ესაა: რეალისტური და ნომინალისტური კონცეფცია. რეალისტური კონცეფციის წარმომადგენელია კ. მარქსი, რომლის თანახმად, პიროვნების მიკუთვნება ამა თუ იმ კლასისადმი განისაზღვრება წარმოების პროცესში მისი ადგილით.

მარქსი აქცენტს აკეთებს სოციალურ ერთეულსა და სტატუსზე. ეს კონცეფცია კლასებს ხედავს როგორც ინდივიდებს, რომლებიც სოციალურ კიბეზე პიროვნული მახასიათებლების მიხედვით არიან განლაგებულნი (განათლების დონე, შემოსავალი, სამსახური) და განსაზღვრავენ მათ სოციალურ ხასიათს.

ნომინალისტურ კონცეფციას ემხრობა მ. ვებერი, რომელსაც მიაჩნია, რომ კლასების არსებობა მხოლოდ ინტელექტუალური აგებულების შედეგია, თვლის, რომ სოციალური კლასი რეალობის გაგებასთან მიახლოების ერთგვარი მოდელია.

ტრადიციულად ენა განიხილებოდა როგორც უცვლელი ფენომენი, მაგრამ თანამედროვე ლინგვისტიკამ ეს სტერეოტიპი დაამსხვრია და აღმოჩნდა, რომ ის იცვლება არა მხოლოდ სოციალური ასპექტების, არამედ პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობების მიხედვით. XX საუკუნის 60-იან წლებში ენობრივი მახასიათებლების კვლევა აქტიურ ფაზაში შევიდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვან ნაშრომებს აქვეყნებენ სოციოლინგვისტები: უ. ლაბოვი და ბ. ბერნშტეინი.

ლაბოვმა შეისწავლა იმ სხვადასხვა ენობრივ ვარიანტთა გამოყენების შემთხვევები და ტენდენციები, რომლებიც მეტყველებაში შემდეგი საწყისი ფონემებით ხორციელდება: thing და then. აღნიშნულ ვარიანტთა მნიშვნელობა შესაძლოა გადანაწილდეს სამსაფეხუროვან კიბეზე:

- კბილთაშორისი ფრიკატივი, რომელიც მიჩნეულია პრესტიჟულ ვარიანტად;
- აფრიკატი;
- მსკდომი ბგერები, რომლებიც ძირითადად ასოცირდება დაბალ, გაუნათლებელ ფენებთან.

ლაბოვის ნარკვევები სოციალური კლასების მისწრაფებების შესახებ ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ფენის ინტერესები

დიდ გავლენას ახდენს მათ ენობრივ მახასიათებლებზე. ხშირად, როცა პიროვნება ხდება სხვა სოციალური წრის წევრი, იძენს ახალ სტატუსს, პარალელურად იგი ახდენს ენის კორექტირებას და იმაზე სტანდარტული ენით მეტყველებს, ვიდრე ის, ვინც დაბადებიდან ამ წრეს ეკუთვნის და ბუნებრივად ფლობს ამ ლინგვისტურ კოდს. ბერნშტეინმა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯნა დახვეწილი და შეზღუდული კოდები, მათი სოციალური წარმოშობა და შედეგები. მან თავის თეორიებში შეზღუდული კოდი უწოდა იმ ლინგვისტურ ერთეულთა სისტემას, რომელსაც იყენებს მუშათა კლასი. მასში მნიშვნელოვანია „ჩვენ“, როგორც სოციალური ჯგუფი. შეზღუდული კოდის საპირისპიროდ, დახვეწილი მეტყველების მახასიათებლები აქცენტირებულია „მე“-ზე, ვინაიდან ამ საზოგადოების წევრები მოითხოვენ ინდივიდუალურ ყურადღებას. ასეთ კოდს იყენებენ საშუალო და მაღალი კლასები, რომლებიც იღებენ განათლებას და აქვთ სოციალური იდენტობის განცდა. ენის ასეთი ვარიაციების შექმნის მცდელობა იყო საფრანგეთში, XVII ს-ში, როდესაც ელიტური საზოგადოებისთვის შეიქმნა ე. წ. „პრეციოზული“ ენა და ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურაც მხოლოდ სამეფო კარისთვის იყო გათვალისწინებული. ამგვარმა მიდგომამ არ გაამართლა, რადგანაც იგი მეტისმეტად განყენებული და რეალობას დაშორებული იყო.

დასკვნა

სოციოლინგვისტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად იყენებს რამდენიმე ენობრივ ვარიანტს, რაც ნიშნავს, რომ ასეთი რადიკალური გახლეჩა ენის რეგისტრებს შორის არასწორია. სოციალურ კლასებზე ენობრივი ცვლილებების

დამოკიდებულება დღესაც აქტუალური თემაა. გარდა საზოგადოებრივი იერარქიზაციისა, ენაზე გავლენას ახდენს სქესი, ინდივიდის რასა და ეთნიკური წარმომავლობა, რაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მის ენობრივ კოდსა და ადგილზე საზოგადოებაში. სოციალური კლასების განსხვავება ყოველთვის იარსებებს და მის გვერდით მუდამ იქნება ლინგვისტური სხვაობა მათ წევრებს შორის, ვინაიდან ეს პროცესი ისევეა მიჯაჭვული საზოგადოებრივ სტრუქტურაზე, როგორც ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე.

ლიტერატურა

1. Gabounia K. (2009): Introduction a la sociolinguistique. Tbilissi. „Mtatsmindeli“
2. Calve J.L (1996): La sociolinguistique. Press Universitaire de France
3. <http://ka.wikipedia.org-sociolinguistique>.

Social Classes and its Lingual Changes

Ketevan U. Gabunia
Tbilisi State University
Humanitarian Science faculty
36 Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia
Tel. : 899 201 099
 E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Natia S. Gviniashvili
Tbilisi State University
Humanitarian Science faculty
36 Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia
Tel. : 855 515 117
 E-mail : nat.gviniashvili@gmail.com

Abstract

The article examines the social classes importance and influence on lingual markers, and it cause a lot of lingual and speech changes. It touched upon the subject of changes and development of their interaction from the ancient period to the contemporary social structural system, taking into account medieval lingual and historical state. Main area of discussion is lingual concepts, which are considered as two types of approach to the social classes: realistic (K. Marx) and nominalistic (M. Weber). In XX century a lot of language experts explores society/language relations, particularly U. Liabov and B. Bernstein. Liabov clearly described phenomena of associated changes in the social classes, but Bernstein – subtle and limited codes. In the conclusion is done the conclusion that the lingual habits of individuals depends not only on its social status, it depends by race, by ethnic origin and sex.

Keywords:

social class, linguistic, differentiation, realistic, nominalistic, concept, standart language, lingual code, subtle.

Социальные классы и лингвистические изменения

Габуния Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел. : 899 201 099
E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Гвиниашвили Натия Сосоевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 855 515 117
E-mail : nat.gviniashvili@gmail.com

Резюме

В статье рассматривается вопрос о значительности роли и влияния социальных классов на лингвистические маркеры, обуславливающие множество языковых и речевых изменений. Затрагивается также вопрос об изменении и развитии их взаимодействия с древнего периода до современного общественного структурного строя, учитывая средневековое языковое и историческое состояние. Основной темой статьи являются лингвистические концепции, которые рассматриваются как два типа подхода к социальным классам: реалистический (К. Маркс) и номиналистический (М. Вебер). В XX веке многие лингвисты также занимались исследованием взаимоотношения общество/язык, в частности У. Лябов и Б. Бернштейн. Лябов четко охарактеризовал сопутствующие явления изменения социальных классов, А. Бернштейн – прециозные и ограниченные коды. В заключении делается вывод, что языковые навыки индивида обуславливаются не только его социальным статусом, но и в основном расой, этническим происхождением и полом.

Ключевые слова:

Социальный класс, лингвистика, дифференциация, реалистический, номиналистический, концепция, стандартный язык, языковые коды, прециозный.

ენა და პოლიტიკა. ენობრივი პოლიტიკის საკითხისთვის

ქეთევან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 899 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

ცისანა შერგილაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 857 201 004

E-mail: cisana.shergilashvili@gmail.com

რეზიუმე

ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ნაწილია. იგი თავდაპირველად ენობრივ ნორმებს ადგენს, შესაბამის კანონებს გამოსცემს და შემდეგ მეთვალყურეობას უწევს მის აღსრულებას.

როგორც საფრანგეთში, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო და რეგიონალური ენების სტატუსს განსაზღვრავს. საკუთარი კანონმდებლობის გარდა ამ ქვეყნებს ხელი აქვთ მოწერილი „ევროპულ ქარტიაზე“, რომელიც უმცირესობის ენების დაცვას ითვალისწინებს.

საფრანგეთი აწარმოებს მიზანმიმართულ და გონივრულ ენობრივ პოლიტიკას, რომელიც ყველა სფეროში შეინიშნება, მაგრამ ამასთან ერთად ფრანგული საზოგადოებისთვის მეტად მტკივნეულია „ევროპული ქარტიის“ ვალდებულებები, რომელიც, ასევე ვთქვათ, აკნინებს ფრანგული ენის სტატუსს,

უქმნის რა უმცირესობების ენებს თანაბარ პირობებს.

სტატიის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები ქართული ენის ლინგვისტური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ენობრივ პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის საქართველოში.

საკვანძო სიტყვები:

ენობრივი პოლიტიკა, ენის სტატუსი, კანონმდებლობა, ნორმა.

შესავალი

სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი არის ენა. იმისათვის, რომ სახელმწიფო შედგეს, უნდა არსებობდეს ენა, რომელზეც მისი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ილაპარაკებს. ენა არის სახელმწიფოს მთელი რიგი კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებების მატარებელი. ამიტომ მის დაცვაზე ზრუნვა ყველა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

ენობრივი პოლიტიკის შემუშავება თითოეულ სახელმწიფოში ინდივიდუალურად ხდება. ყველა ქვეყანა ცდილობს, დაადგინოს საკუთარი ენობრივი ნორმები, რომელსაც შემდეგ პრაქტიკაში განახორციელებს. „საფრანგეთის აკადემია“ და მისი ვიწრო ქსელი აკონტროლებს ენას და ადგენს ნორმებს. საქართველოში ასეთი დაწესებულება აღარ არსებობს (სამწუხაროდ, „ენის პალატა“ დაიშალა. სწორედ

მას ევალებოდა ქართული ენის დაცვა და კონტროლი) და ქართული ენის საკითხი მხოლოდ კანონის რამდენიმე მუხლით არის განსაზღვრული.

ნორმის სტანდარტიზაცია და შემდეგ მის ცხოვრებაში გატარება რთული პროცესია. ჯერ უნდა მოხდეს იმ ენის სრულყოფა, რომელიც გამოხატავს ეროვნულ ინდივიდუალურობას; შემდეგ ენის ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნიკურ თუ კულტურულ წინსვლას; უნდა გაძლიერდეს თავდაცვა სხვა ენიდან უცხოური სიტყვების შემოჭრის წინააღმდეგ და უნდა მოხდეს ენის სტრუქტურის ცვლილების გარე ფაქტორების კონტროლი. ამის შემდეგ პროცესში უნდა ჩაებან ის ინსტიტუტები, რომელთა უშუალო მოვალეობაა დაწესებული ნორმების აღსრულება და კონტროლი.

საფრანგეთი ენის პოლიტიკის შემუშავების მხრივ განსაკუთრებული ქვეყანაა. ფრანგები საკუთარ ენას დიდ პატივს სცემენ და ეს ასახულია კიდევ მათ კონსტიტუციაში. საფრანგეთის კონსტიტუციის (1994 წლის 2 აგვისტოს კანონი) მე-2 მუხლის თანახმად, რესპუბლიკის ენა არის ფრანგული. კონსტიტუციაში მკაცრად გაწერილია ფრანგული ენის გამოყენება სხვადასხვა სფეროში. სამუშაო კონტაქტი, რეგლამენტი საწარმოებში უნდა იყოს ფრანგულ ენაზე, გამოცდები და, საერთოდ, სასწავლო კურსი უნდა მიმდინარეობდეს ფრანგულ ენაზე აუდიოვიზუალური საშუალებებით, ადმინისტრაციულ დონეზე კომუნიკაცია უნდა ხორციელდებოდეს ფრანგულ ენაზე.

საფრანგეთს მიგრანტების მიმართაც განსაკუთრებული ენობრივი პოლიტიკა აქვს შემუშავებული. იგი ყველანაირ პირობას უქმნის ამ ქვეყანაში ჩასულ ადამიანებს და ამისთვის სპეციალური მუხლებიც აქვს კანონში მიღებული, რათა კარგად ისწავლონ ფრანგული და ინტეგრირდნენ

ფრანგულ საზოგადოებაში. 2007 წლის 1 იანვრიდან საფრანგეთში ჩამსვლელი და სწავლის გაგრძელების მოსურნე ახალგაზრდებისთვის არსებობს მოთხოვნა ენის 1 დონეზე ცოდნისა (ანუ, მათ უნდა ჰქონდეთ მინიმალური ენობრივი ბაზა, რომ შეძლონ სკოლაში სწავლა).

რაც შეეხება რეგიონული და უმცირესობების ენების დაცვას, საფრანგეთს ხელი აქვს მოწერილი „ევროპულ ქარტიაზე“ (1999 წ. 7 მაისს) და იღებს კიდევ იმ ვალდებულებებს საკუთარ თავზე, რასაც ქარტია ითვალისწინებს.

რაც შეეხება თავად ამ დოკუმენტს, 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს „ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა „ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებების კრებულს ეროვნულ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში; კერძოდ, ქარტია და კონვენცია ითხოვს: სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისგან განსხვავებული ავტოქთონი, აბორიგენი ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებებისათვის უმცირესობის სტატუსის მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღჭურვას.

კონვენციისა და ქარტიის მიხედვით საქმისწარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში უმცირესობის ენაზე უნდა მოხდეს (იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის I.ე. პუნქტი). სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე”.

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის კონსტიტუციური საბჭო აპროტესტებს ამ დოკუმენტზე ხელის მოწერას, რადგან მიიჩნევს, რომ ქარტიის მესამე ნაწილი საფრანგეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, უფრო ზუსტად, კონსტიტუციის მე-2 მუხლს. რითაც მკაცრად არის განსაზღვრული, რომ სწავლება და მთელი რიგი საქმისწარმოებები ფრანგულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. თავის მხრივ, საფრანგეთში არსებული რეგიონული, თუ უმცირესობების ენების დამცველი ინსტიტუტები მოითხოვენ ქარტიის ვალდებულებების შესრულებას, რომლითაც საფრანგეთში გავრცელებულ ენებს აქვთ თანაბარი სტატუსი.

ამგვარი კონფლიქტის მიუხედავად, საფრანგეთში, მეოთხე კლასიდან მოყოლებული, ყველა ბავშვი განათლებას ფრანგულ ენაზე იღებს და ასევე ტელევიზიით და, საერთოდ, მასმედით ყველაზე მეტი წილი ფრანგული პროდუქცია გადაიცემა.

რაც შეეხება საქართველოს და ქართული ენის სტატუსს, საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ენაა ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, მიეჩინება თარჯიმანი. ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში - ასევე აფხაზური. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი მუშაობს სახელმწიფო ენაზე. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახური საქართველოში ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. იმავე

კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველა საჯარო მოხელე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას. სახელმწიფო ენის არცოდნა შესაძლებელია გახდეს საჯარო მოხელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი.

განათლების სფეროში ენობრივი საკითხები ძირითადად რეგულირდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. ამ კანონის მეოთხე მუხლით განსაზღვრულია სწავლების ენა: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური. იმავე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე სახელმწიფო ენისა.

საქართველოში ენობრივი პოლიტიკა მოისუსტებს იმ მხრივ, რომ ქართული ენა არ ღვას საკუთარი მოწოდების სიმაღლეზე. არ არსებობს იმგვარი ინსტიტუტი, თუ ორგანიზაცია, რომელიც მის დაცვაზე იზრუნებს. კონკრეტული პირების ცალკეული ინიციატივები კი ამ პრობლემას ვერ გადაჭრის.

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ უმცირესობებისთვის განათლება ხელმისაწვდომ, ანუ საკუთარ ენაზე უნდა იყოს, თუმცა ამავდროულად უმცირესობათა წარმომადგენლები ვალდებული არიან სახელმწიფო ენაც ისწავლონ. ჯავახეთის რეგიონში კი ეს კანონი აშკარად ირღვევა,

ომიტომ, რომ ზოგიერთ სკოლაში ქართული ენა საერთოდ არ ისწავლება. ბუნებრივია, ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას უჭირს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამავდროულად საქართველოს თავის თავზე აღებული აქვს „ევროპული ქარტიის“ ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მან უმცირესობებს და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ განსხვავებული ენების მატარებლებს საშუალება უნდა მისცეს, რომ სასამართლო პროცესი და მთელი რიგი საქმისწარმოებები საკუთარ ენაზე წარმართონ (მათ შორის მეგრულ და სვანურ ენებზეც).

ამგვარი პრობლემები და თავსატეხები დიდ ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან, რომლის მოვალეობაა მოაწესრიგოს ენის პოლიტიკის საკითხი და სათანადო პატივი სცეს სახელმწიფო ენას.

დასკვნა

ენობრივი პოლიტიკის წარმოება დიდ პრობლემებთან და ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. საფრანგეთი ცდილობს ფრანგული ენის სტატუსი ყოველთვის იდგეს მოწოდების სიმაღლეზე და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. საქართველოში ეს პროცესი ჯერ-ჯერობით ბოლომდე მიყვანილი არ არის. მოსაწესრიგებელია როგორც ნორმებისა და კანონმდებლობის, ასევე მათი აღსრულების საქმეც.

ლიტერატურა

1. Gabounia K. (2009): Introduction a la sociolinguistique. Mthatsmindeli. Tbilissi

2. Lou-Jean Calve (1996) : La sociolinguistique. Press Universitaire de France

3. Les politiques des langues en Europe. (2007): France

Language and Politic. To the Lingual Politic Question

Ketevan U. Gabunia

Tbilisi State University

Humanitarian Science faculty

36 Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia

Tel. : 899 201 099

E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Tsisana G. Shergilashvili

Tbilisi State University

Humanitarian Science faculty

36 Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia

Tel. : 857 201 004

E-mail: cisana.shergilashvili@gmail.com

Abstract

The article examines Lingual politic question in two states – in France and Georgia. It is noted that each state has its own lingual standards and corresponding laws, and further it follows their fulfillment. With this it examines the current legislation – in France and also in Georgia - determining state and regional by lingual status. It is noted that besides our own legislation, these two states already signed “European charter”, that considers tenderness to minorities languages. Moreover, that France carries out the goal-directed and reasonable lingual politic reflecting in all spheres. However, it is necessary to note about the unhealthy ratio of French socium to the responsibilities “Euro-

pean charter” allegedly by that degrading status of French, creating equal conditions to the languages of minorities. Finally, the conclusion of this article gives recommendations for conducting the reasonable linguistic policy of the Georgian language and is noted a certain point of view about the solution of the lingual politic problems in Georgia.

Keywords:

Lingual politic, language status, legislation, норма.

Язык и политика. К вопросу лингвистической политики

Габуня Кетеван Учаевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел. : 899 201 099

E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Шергилашвили Цисана Георгиевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел. : 857 201 004

E-mail: cisana.shergilashvili@gmail.com

Резюме

В статье рассматривается вопрос лингвистической политики в двух государствах – во Франции и в Грузии. Отмечается, что каждое государство, в первую очередь, устанавливает языковые нормы и соответствующие законы, а далее следит за их выполнением. В связи с этим рассматривается действующее законодательство – во Франции и также в Грузии – опреде-

ляющее государственный и региональный языковой статус. Отмечается, что кроме собственного законодательства, этими двумя государствами уже подписана «Европейская Хартия», учитывающая бережение языков меньшинств. К тому же подчеркивается, что Франция проводит целенаправленную и разумную языковую политику отражающуюся во всех сферах. Однако надо отметить о болезненном отношении французского социума к обязанностям «Европейской Хартии», якобы унижающей статус французского языка, создавая равные условия языкам меньшинств. В заключении статьи речь идет о рекомендациях для проведения разумной лингвистической политики грузинского языка и отмечается некоторая точка зрения о решении проблем языковой политики в Грузии.

Ключевые слова:

языковая политика, языковой статус, законодательство, норма.

ფრაზეოლოგია ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში

კატერინე გელოვანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 877 721 818
E-mail: gelovanieka@yahoo.com

რეზიუმე

ვერბალური კომუნიკაციის კონსტრუირებისას კომუნიკანტები იყენებენ საკუთარი კულტურით დეტერმინირებულ კოგნიტურ მოდელებს. ადამიანები საკუთარ შთაბეჭდილებათა ინტერპრეტაციას ახდენენ არსებული გამოცდილების საფუძველზე და ევრდნობიან თავიანთი კულტურისათვის ტიპურ კოგნიტურ მოდელებს.

ვერბალურ კომუნიკაციაში აღნიშნული მოდელები წარმოადგენენ კონკრეტული კულტურით დეტერმინირებულ ენობრივ ფაქტებს. ამ ტიპის ენობრივ ფაქტებს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეულები. ფრაზეოლოგიზმების გამოყენება ხშირად ასოცირდება ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის ბარიერებთან.

ადამიანები გამოხატავენ თავიანთ იდეებს, მიზნებს, სურვილებსა და მოთხოვნილებებს ენის მეშვეობით. იმისათვის რომ ეფექტურად ვურთიერთობდეთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან სამყაროს აღქმის თვალსაზრისით. სწორედ ამ თვალსაზრისს ვიყენებთ ადამიანებთან ურთიერთობაში.

საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიური ერთეულები, ეფექტური ვერბალური კომუნიკაცია, კულტურით

დეტერმინირებული კოგნიტური მოდელები.

შესავალი

რაც უფრო მაღალია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანის კულტურა, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა სფეროების შეგნებული მიდგომა, მათ შორის ფრაზეოლოგიის მიმართაც, რადგან ფრაზეოლოგია ენობრივი უნივერსალია. თუმცადა ყოველ ენაში ფრაზეოლოგიურ ერთეულებს გააჩნიათ გარკვეული სპეციფიკა, რომელიც აიხსნება ენის ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებებით.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოშობის მეთოდები უნივერსალურია, ნაციონალური სპეციფიკა კი ვლინდება ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობაში, მათ გრატიკულ მოდელებში, ლექსიკურ შემადგენლობაში, მათი გამოყენების სტილისტურ თავისებურებებში.

სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აზროვნების კატეგორიები და ფორმები მოითხოვს და ახორციელებს ენობრივი გამოხატულების შესაბამის ფორმებს. ენის სემანტიკური სტრუქტურა („შიდა ფორმა“ – ჰუმბოლდტთან – „სამყაროს სურათი“, „ენობრივი მსოფლხატი“ – ვაისგერბერისეული ტერმინოლოგიით) არის სამყაროს ენობრივი გამოხატულება, ანუ მთელი ჩვენი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გარემოს თავისებური - ეროვნული აღქმის სურათი. აქედან გამომდინარე, ყოველი ენა გარკვეული მსოფლადქმის, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს გარკვეული ხედვის მატარებლად გვევლინება. „ყოველი ენა არის ხატი, გარე თუ

შიდა სამყაროს თავისებური (ენის შექმნილი ერის თვალთახედვის გამომხატველი) სეგმენტაციისა, წარმოდგენილი ცალკეული სტრუქტურებითა და მიკროსტრუქტურებით, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ამ ენის შინაარსეულ აგებულებას“, მის სემანტიკურ სტრუქტურას.

დინამიკაში მყოფი რეაქციების ენობრივ სიბრტყეზე დანაწევრება და განლაგება, ცალკეული ფრაგმენტების ასოციაციური და თანამიმდევრული ასახვა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის გარემომცველ სამყაროზე, არამედ თავად ადამიანზეც, როგორც მის განუყოფელ ნაწილზე.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნული ფაქტორის კონსტატირებას სამყაროს მოდელის შექმნამდე მივყავართ, რომელიც თავის მხრივ ანთროპოცენტრულ ხასიათს ატარებს. ჰუმბოლდტის თანახმად, სამყაროს სურათის მსოფლხედვითი აღქმა სწორედ ენაში ხდება და შესაბამისად ენათნეცნიერება “ხალხის ფილოსოფიის ისტორიას” წარმოადგენს. ენა ის ორგანოა, რომელიც სუბიექტს აძლევს საშუალებას ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად ჩამოაყალიბოს აზრი, ბგერითი სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მისი რეალიზაცია მეტყველებაში და გახადოს იგი აღქმადი სამეტყველო სიტუაციის მონაწილე ყველა წევრისათვის. ამას განაპირობებს ინტელექტუალური შემოქმედებისა და ენის მთლიანობა.

ენა თავისი განვითარების ნებისმიერ მომენტში ადამიანისათვის ამოუცნობი და ამოუწურავი ფენომენია. აქედან გამომდინარე, ადამიანს მუდმივად ამოძრავებს ძველთან და ნაცნობთან ერთად ახლის შემეცნების სურვილი. ენა გასაშიფრი მასალაა.

საყოველთოდ ცნობილია, რომ სამყარო ვერ ეგუება უძრავ, “ობიექტურ” წესრიგს და ამდენად იგი დინამიკაში მყოფი რეაქციების კრებულს წარმოადგენს.

ენაში, როგორც დინამიურ ორგანიზმში, მყისვე აისახება ცხოვრების ახალი რეაქციები, საგნები და მოვლენები. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ვითარდება. ენა არასოდეს არ გვევლინება “დასრულებულად”, “ფაქტად” – ენა მუდმივ ქმნადობაშია, - წერს ხოსე ორტეგა ი გასეტი.

ჰუმბოლდტის თანახმად, ენა უნდა განიხილებოდეს არა როგორც მკვდარი პროდუქტი, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესი. ჰუმბოლდტის აზრით, ენა სულის ნების სტიმულატორია. ისინი ერთად ვითარდებიან და ინტელექტუალური შემოქმედების ერთიანობას წარმოადგენენ. ერის ენა ერის სულია, ხოლო მისი სული მისი ენაა. სწორედ ენაში ერწყმის ერთმანეთს სულიერი, გონებრივი და ეროვნული.

ყოველი ენა უნიკალურია როგორც სტრუქტურის, ისე მასში დაფიქსირებული ეროვნული მსოფლადქმის თვალსაზრისით.

საზოგადოების განვითარების მანძილზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები ილექება ადამიანთა გამოცდილებაში. გამუდმებით მიმდინარეობს ამ გამოცდილების განახლება და ახლებური გადააზრება.

ენა აყალიბებს აზრს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად, ბგერის მეშვეობით უზრუნველყოფს მის რეალიზაციას მეტყველებაში და აღქმისათვის მისაღებს ხდის. ამას განაპირობებს ინტელექტუალური შემოქმედებისა და ენის მთლიანობა. ჭეშმარიტების შემეცნების საფუძველი თვით ადამიანში დევს, მისკენ სწრაფვა კი ბევრს ლაბირინთში მოაქცევს ხოლმე. ენა უნდა გავიგოთ როგორც გასაშიფრი მასალა, მუდმივად შემოქმედი, დინამიური ორ-

განიზმი, რომელშიც დადგენილია შიდა-სისტემური კანონები. ენა მრავალმხრივად ასახავს სამყაროს. უპირველეს ყოვლისა, ენაში მოცემულია ობიექტური სინამდვილე საგნებით, მოქმედებით, თვისებებით და ადამიანი თავისი აზრებით, გრძნობებითა და ქცევით. ეს ყოველივე ენის დესკრიფციულ მხარეს წარმოადგენს. ენაში ასევე აისახება სინამდვილე და ადამიანი სხვადასხვა ასპექტში. ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების, მისი სტრუქტურირების (დანაწევრების) და კოდირების (სახელდების) იარაღს წარმოადგენს ენა, რომელიც მით უფრო ეფექტურია კომუნიკაციაში, რამდენადაც ეკონომიური და მოქნილია მისი სიმბოლოთა ანუ ენობრივ ნიშანთა სისტემა.

ენა, როგორც შემეცნების უცილობელი კომპონენტი, ადამიანის და ენობრივი ფორმებით ასახული სამყაროს კონცეპტუალური სურათის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. ამასთან, იგი სამყაროს მხოლოდ ობიექტურად და ადეკვატურად როდი ასახავს: “სამყაროს ენისმიერი ხატი” გაივლის და აირეკლება სუბიექტის ცნობიერებაში და დამოკიდებულია იმ ეროვნულ-სოციალურ გარემოზე, რომელშიც ადამიანებს უხდებათ ურთიერთობა. ამრიგად, ადამიანური შემეცნება არა მარტო ასახავს სამყაროს, სინამდვილეს, არამედ მონაწილეობს კიდევ თვით ენის სისტემის შექმნაში. ფაქტია, რომ ენა წარმოადგენს გარკვეულ თვალსაზრისს სამყაროს შესახებ. იგი სამყაროს მოდელია, რომელიც თვითონ წარმოადგენს მეცნიერების ობიექტს. ენა არ არსებობს საზოგადოების გარეშე და ბუნებრივია, რომ საზოგადოების ცხოვრება სწორედ ენაში აისახება.

ენა მხოლოდ შემეცნებული რეალობის საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი შეუცნობის შემეცნებაზე მეტია. ენა

წარმოადგენს აზროვნების იარაღს, რაზეც მეტყველებს განსაზღვრება იმის თაობაზე, რომ ენა უნდა განისაზღვროს როგორც აზროვნების უშუალო რეალობა ან ენა უნდა განისაზღვროს როგორც აზროვნების მატერიალური რეალობა. ამ განსაზღვრებაში ხაზი გაესვა იმ არსებით ნიშანს, რომელიც აზროვნებას უკავშირდება და რომელიც ენის კოგნიტიურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთობაში ვლინდება. ენა არ არის მხოლოდ ურთიერთობის საშუალება და აზროვნების იარაღი – ენა ადამიანის და ერის შინაგანი სამყაროს გადმოცემის, გამოსატყვის საშუალება, ერის კულტურის პროდუქტი, ერთიანი სამყაროს სხვადასხვა დონეზე აღქმისა და გადმოცემის ინსტრუმენტი.

ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში პლატონი იკვლევდა გამოთქმებისა და მნიშვნელობის წინაპირობებს. კვლევის მთავარ მიზანს შეადგენდა კონკრეტული მნიშვნელობის პირველწყაროს განსაზღვრა. პლატონისათვის სიტყვის მნიშვნელობა ბუნებასთან კავშირშით აიხსნებოდა, რაც ფილოსოფიურისა და ენობრივის ურთიერთგადაკვეთას განაპირობებდა. სიტყვის მნიშვნელობის არსი, როგორც, ერთი მხრივ, ენობრივი ნიშნის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი და, მეორე მხრივ, როგორც ამ ნიშნის სახელდების მრავალსახიერება, წარმოადგენს ლინგვისტიკაში წარმოებულ ყველა სემანტიკური კვლევის ამოსავალ პრინციპს.

სიტყვის ენობრივ მნიშვნელობას უნდა ჰქონდეს ზეინდივიდუალური, ინტერსუბიექტური, სოციალური ძალა, იგი გასაგები უნდა იყოს ყველა სუბიექტისათვის.

სიტყვა თავისთავად გამოხატავს საკუთარ არსს, თავის მნიშვნელობას. ჩვენ ენობრივი ნიშნის მეშვეობით აღვნიშნავთ მის მნიშვნელობას. თავისთავად ენობრივი

მნიშვნელობა აქვს ყველა საგანს, ობიექტს და მოვლენას. როდესაც ვსაუბრობთ ფრაზეოლოგიურ ან იდიომატურ გამოთქმაზე, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ მისი სტრუქტურული შემადგენლობის არსზე, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმაზე, თუ რა აზრს გამოხატავს გამოთქმის ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობების ერთობლიობა. ამ შემთხვევაში საუბარია კომპლექსურ, ჯამურ იდიომატიზირებულ მნიშვნელობაზე.

ენობრივი ნიშნის შინაარსობრივი მხარე დინამიური და მუდმივად ცვალებადია. იგი განიცდის როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორების განუწყვეტელ ზემოქმედებას. სიტყვის შინაარსის პლანზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა იძლევა სიტყვის შინაარსის პლანის გარე სამყაროსთან კავშირის საფუძვლების იდენტიფიცირების საშუალებას.

ექსტრალინგვისტური პლანი გვაძლევს სიტყვის, საგნის, მოვლენის და იდეის გაერთიანების საშუალებას. იგი გვეხმარება შევადწინოთ სიტყვის სემანტიკის ნაციონალურ სფეროში, დაგაკვირდეთ ლექსიკური ერთეულის სიცოცხლის მრავალწახანაგოვან და რთულ პროცესს დინამიკაში. სიტყვის სემანტიკური სამყარო ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ცხოვრებას და აღინიშნება ტერმინით „სიტყვა-ხატი“. „ენობრივი ხატი“ ყოველთვის პოულობს ვერბალურ გამოხატულებას. ყველა „ენობრივი ხატი“ განისაზღვრება ექსტრალინგვისტური ხასიათის ასოციაციური თუ ნაციონალურ-ინტერნაციონალური კავშირებით.

დასკვნა

ენა თავისი გამომხატველობითი საშუალებებით ყოველთვის კვლევის ცენტრში

დგას და ამდენად მისი ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ მეტაფორული ენის მატარებელი ერის აზროვნებისა და მეტყველების უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს. ერთეულები, რომლებიც ენის ხატოვან წარმონაქმნებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, აღამაზებენ ენას, მეორე მხრივ კი, ამ ენაზე მოსაუბრის ინტელექტის დონისა და სოციალური სტატუსის ინდიკატორს წარმოადგენენ.

ლიტერატურა

1. Smith L (1980): Words and Idioms. London
2. Frist J. (1990): Introduction to Communication Studies. London
3. Fraser B. (1984): The Domain of Pragmatics in: Language and Communication. London

Phraseology in the Effective Verbal Communication

Ekaterina A. Gelovani
Georgian Technical University
Department of Languages and Communication
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia
Tel. : 877 721 818
E-mail : gelovanieka@yahoo.com

Abstract

While constructing verbal communication communicants apply cognitive models determined by their own cultures. People usually interpret their own impressions based on the existing experience. They use cognitive models typical of their own cultures. In verbal communication the mentioned

models represent language facts determined by certain culture. Phraseological units are the facts of the mentioned type. The use of phraseological units is often considered to be the barrier of the effective verbal communication.

People express their ideas, aims, desires and wants by means of the language. In order to communicate effectively, we should realize that we differ in the way we perceive the world and use this understanding as a guide to our communication with others.

Keywords:

phraseological units, effective verbal communication, cognitive models determined by culture.

Фразеология в эффективной вербальной коммуникации

*Геловани Екатерина Александровна
Грузинский технический университет
Департамент языков и коммуникации
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 877 721 818
E-mail: gelovanieka@yahoo.com*

Резюме

В процессе конструирования вербальной коммуникации коммуниканты используют когнитивные модели, детерминированные собственной культурой. Люди трактуют свои впечатления на основе имеющегося опыта, базируясь на типичных для своей культуры когнитивных моделях. В вербальной коммуникации эти модели являются репрезентаторами языковых фактов, которые детерминированы конкретной культурой. Такими языковыми фактами являются фразеологические единицы. Использо-

вание фразеологизмов часто ассоциируется с барьерами эффективной вербальной коммуникации.

Люди выражают свои идеи, цели, желания и потребности при помощи языка. Чтобы эффективно общаться, мы должны осознать, что мы разные в том, как мы воспринимаем мир и используем это понимание для нашего общения с другими людьми.

Ключевые слова:

фразеологические единицы, эффективная вербальная коммуникация, когнитивные модели детерминированные собственной культурой.

ინოვაციური ენობრივი განათლების ძირითადი მახასიათებლები

რუსუდან გოცირიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 893 301 342*

E-mail: rusudgo@yahoo.com

რეზიუმე

ბოლო წლების საინფორმაციო აფეთქებაში გამოიწვია არა მხოლოდ დიდაქტიკის მნიშვნელოვანი ცნებების (განათლება, განვითარება, აღზრდა) დაზუსტებისა და დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, არამედ უმაღლეს სკოლაში მომზადების სისტემის ახლებურად გააზრების მოთხოვნაც. ინფორმაციის მკვეთრად გაზრდილი მოცულობა, რომელიც დღევანდელმა მოსწავლემ უნდა დაიმასხვროს, გააცნობიეროს და აღიქვას, მოითხოვს სწავლების მთელი პროცესის კარდინალურ გადახედვას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე თანამედროვე მიღწევების პოზიციებიდან.

ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს ინფორმაციული საზოგადოების ახალ პირობებში ენის შესწავლისათვის თეორიული და პრაქტიკული ბაზის უზრუნველყოფაში. ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკა უცხოურ ენათა სწავლების თეორიისა და პრაქტიკის ინფორმატიზაციის სტიქიურ პროცესს გარდაქმნის მეცნიერულ სისტემად, რომელსაც ენათმეცნიერი მასწავლებლები მართავენ.

საკვანძო სიტყვები:

ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკა, ინტერაქტიულობა, მულტიმედიაურობა, ჰიპერმედიაულობა, ადაპტაცია, მობილურობა.

შესავალი

ვებ-გვერდის ფორმატში ენის შესწავლის მეთოდის დახვეწის პერსპექტივა ეჭვს აღარ იწვევს, ეს კი მოითხოვს ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკის, როგორც ახალი სამეცნიერო დისციპლინის, შემდგომ დამუშავებას, რომელიც იკვლევს ენის შესწავლის პროცესის განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებს გლობალური სასწავლო-საინფორმაციო გარემოს ახალ პირობებში.

ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული დინამიკურად განვითარებად ელექტრონულ, ციფრულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან და მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ისეთი თეორიის შექმნა და მუდმივი სრულყოფა, რომელიც პრაქტიკოს-პედაგოგს საშუალებას მისცემს გამოიყენოს იგი (თეორია) ენის ინოვაციური სწავლების სისტემაში.

ელექტრონული და ქსელური ტექნოლოგიების განვითარების ზემოქმედებით იცვლება თანამედროვე ლინგვისტური განათლების საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ფართოდ გამოიყენება ენის შესწავლის მეთოდის ახალი შესაძლებლობები: ინტერაქტიულობა, მულტიმედიაურობა, ჰიპერმედიაულობა, ადაპტაცია, მობილურობა და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

გლობალური ინტეგრაცია, საყოველთაო ინფორმატიზაცია, ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების გაფართოება, განათლების დემოკრატიზაცია, მუშახელის მიგრაცია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა გავრცელება ხელს უწყობს ერთიანი მსოფლიო პოლიეთნიკური, კროსკულტურული, ტოლერანტული და მულტიენობრივი გარემოს ფორმირებას განვითარების ახალი კანონზომიერებით, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ახალ ენობრივ განათლებაზე, დროის ადეკვატურ მოთხოვნაზე გადასვლა.

შექმნილ პირობებში ინოვაციური ენობრივი განათლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ხასიათდება სწავლების ახალი შინაარსით, სწავლების ახალი საშუალებებით, მეთოდებითა და ფორმებით, საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტებს შორის ახალი ურთიერთობებით[2,3].

სწავლების შინაარსის ინოვაციურობა შემდეგში მდგომარეობს:

- მისი (შინაარსის) განახლების დაჩქარებაში ინფორმაციისა და ტექნოლოგიების სწრაფად მოძველების გამო;

- სასწავლო მასალების აქტუალობაში (შესასწავლი ენის ლექსიკასთან, გრამატიკასთან, კულტუროლოგიასთან ერთად ქვეყნის დღევანდელი რეალობის გაცნობა მათ დინამიკურ განვითარებაში);

- საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტების კრეატიული პოტენციალის გამოყენებაში; მოსწავლეების ტოლერანტული ენობრივი ცნობიერების ფორმირებაში.

ენის შესწავლის ინოვაციური შინაარსი ბადებს სწავლების ელექტრონული საშუალებების მოთხოვნას, რომლებიც სწავლების პროცესს ამდიდრებენ ახალი დიდაქტიკური და მეთოდური თვისებებით, როგორცაა, მაგალითად:

- ინტერაქტიულობა (ის ხელს უწყობს დამოუკიდებელი მუშაობის სექტორის მკვეთრ გაფართოებას ენის სწავლების აქტიურ-შემოქმედებითი ფორმების გამოყენების ხარჯზე);

- მულტიმედიაურობა, რომელიც სასწავლო კონტენტის გაუნივერსალურების საშუალებას იძლევა (რეალური ან წარმოსახვითი სამყაროს ფრაგმენტის აუდიო-ვიზუალური ჩვენება);

- ჰიპერმედიაულობა (რომელიც უზრუნველყოფს ჰიპერტექსტის შექმნას სწავლების ინფორმაციული გარემოს არაღიწერიადი კავშირის საფუძველზე);

- მობილურობა, რომელიც პედაგოგს სწავლების ელექტრონული საშუალებების სასურველი მიმართულებით ოპერატიულად კორექტირებისა და შევსების საშუალებას აძლევს. ამით სასწავლო კურსს ის უნარჩუნებს აქტუალობას ახალი თაობის სწავლების ელექტრონული საშუალებების შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიების ინტენსიურად ცვალებად ნაკადში;

- ადაპტაციის უნარი (უზრუნველყოფს სწავლების სხვადასხვა ტრაექტორიებს მოსწავლეთა მომზადების დონისა და ფსიქოფიზიკური მონაცემების მიხედვით);

- მრავალფუნქციურობა (იძლევა სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას ენის შემსწავლელ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში, როგორცაა ბავშვები, უფროსები, სხვადასხვა სპეციალობები და სხვ.);

- დისტანციური დაშვება (მოსწავლეთა ადგილმდებარეობიდან მასწავლებლამდე მანძილი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ეფექტური სასწავლო პროცესისათვის)[4,6];

ენობრივი განათლების ინოვაციურობა ვლინდება აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტებს შორის ურთიერთობის ახალ ხასიათში: მოსწავლისათვის

მასწავლებელი აღარ წარმოადგენს ცოდნის ძირითად წყაროს. ტრიადა „მასწავლებელი – სახელმძღვანელო - მოსწავლე“ იცვლება და ასე გამოიყურება: „მოსწავლე – სახელმძღვანელო - მასწავლებელი“. საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა თანამედროვე ურთიერთობაში შემაკავშირებელი საშუალების როლს ინტერნეტი თამაშობს.

ქსელური და დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება განპირობებულია მისი უპირატესობებითა და შესაძლებლობებით[5]. პირველ რიგში, ეს არის განათლების მიღების უფრო მოქნილი პირობები მათთვის, ვისაც არ შეუძლია მიიღოს განათლება ჩვეულებრივი გზით, რაც გამოწვეულია სასწავლო ცენტრებიდან დაშორებით, ფიზიკური ნაკლით ან სხვა ინდივიდუალური თავისებურებებითა და მოთხოვნებით.

დასკვნა

ყოველი ახალი მოვლენის გააზრება და განვითარება ხდება პრაქტიკული საქმიანობის პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, პედაგოგიკასა და ანდროლოგიკაში ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დაგროვილი გამოცდილება იძლევა სხვადასხვა ხარისხის გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთების საშუალებას. ახლა შეიძლება ლაპარაკი კომპიუტერული, ქსელური, მათ შორის დისტანციური სწავლების განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე, მათი როლის ზრდაზე ღია უწყვეტი განათლების სისტემაში.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება განათლებაში და კარდინალურად ცვლის მას არა მხოლოდ სწავლების ახა-

ლი ფორმების მხრივ, არამედ მიზნის მიღწევის ახალი საშუალებების მხრივაც.

XXI საუკუნე აღინიშნა ელექტრონული მოწყობილობების, ციფრული, ქსელური ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებითა და მათ მიერ არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო, პროფესიული, არამედ საგანმანათლებლო სივრცის შევსებითაც, რამაც გამოიწვია საქმიანობის პრინციპულად ახალი საინფორმაციო სფეროს წარმოშობა, რასაც ჩვენ „ქსელურ სამყაროს“ ვუწოდებთ [1,5].

შექმნილ ვითარებაში ტერმინი „ელექტრონული ლინგვოდიდაქტიკა“ ყველაზე ადეკვატურად ასახავს სამეცნიერო დისციპლინის არსს, რომლის მიზანია ენობრივი განათლების ოპტიმიზაცია ახალი ფორმატისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სწრაფი განახლების პირობებში.

ლიტერატურა

1. Бовтенко М. А. (2000): Компьютерная лингводидактика: Учеб. пособие / М.А.Бовтенко. Новосибирск: Изд-во НГУ91 с. Ш1-Б.729 ч/33
2. Вохрышева Е. В.; Стрельников В. Н. (2001): Обучение диалогическому взаимодействию на английском языке с помощью новых компьютерных технологий / Самар. гос. акад. культуры и искусств // Вуз культуры и искусств в образовательной системе региона: Электрон. науч.-практ. конф. Самара
3. Нелунов А. И. (2000): Личностно-ориентированное обучение иностранному языку на основе информационных технологий / А. И. Нелунов//Информатика и образование. N 9. С.31-33
4. Egert C. (2000): Language Learning across Campuses // Computer Assisted Language Learning. Vol.13. N 3. P.271-280

5. Hulstijn J. H. (2000): The Use Of Computer Technology In Experimental Studies Of Second Language Acquisition: A Survey Of Some Techniques And Some Ongoing Studies / Jan H. Hulstijn // Language Learning & Technology. Vol.3. N 2. P.32-43

6. Lewis A. (2000): Dealing with Computer-Related Anxiety in the Project-Oriented CALL Classroom / Lewis Alison and Atzert Stephan // Computer Assisted Language Learning. Vol.13. N 4-5. P.377-395

Main Characteristics of Innovations in Language Education

Rusudan A. Gotsiridze
Georgian Technical University
Department of Languages and Communication
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia
Tel.: 893 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

Abstract

Education is fundamentally affected by a series of events generally referred to as “the information explosion,” which requires the re-examining of didactic concepts and thinking over the teaching process from the viewpoint of the recent achievements in science and techniques.

Lingvo-didactics is connected with the dynamically developing electronic, digital and telecommunicational technologies and its main goal is to create and develop the theory which will serve to use the theory in practice and apply the new information technologies in the system of an innovative education of language. The paper seeks to describe the main characteristics of computer-based information systems in educational situations.

Keywords:

Electronic Lingvo-didactics, interactivity, multimedia, hypermedia, adaptation, mobility capabilities.

Характерные свойства инновационного языкового образования

Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский технический университет
Департамент языков и коммуникации
ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 893 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

Резюме

Информационный взрыв последних лет вызвал не только необходимость пересмотра концепций дидактики, но и нового осмысления процесса обучения в высшей школе. Большой объем информации требует кардинального пересмотра всего процесса обучения с позиций новейших достижений науки и техники.

Электронная лингводидактика неразрывно связана с динамично развивающимися электронными, цифровыми и телекоммуникационными технологиями и её основной задачей является создание, а также постоянное совершенствование теории, которая позволит педагогу-практику использовать её (теорию) в качестве понятного руководства эффективного применения информационных технологий в системе инновационного языкового образования

Ключевые слова:

Электронная лингводидактика, интерактивность, мультимедийность, гипермедийность, адаптивность, мобильность.

მულტიმედია და ინტერნეტ რესურსები როგორც სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალი ფორმა

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 893 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com

რეზიუმე

ენის სწავლების მეთოდოლოგიაში ბევრს წერენ კულტურის კომპონენტზე ენის ათვისებაში.

კულტურის მასალების მოხმობა მკვეთრად ამაღლებს სწავლის მოტივაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწავლა მოტივაციის გარეშე არაეფექტურია.

სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალ ფორმად გვევლინება მულტიმედია. იგი ახალ სინკრეტულ ფორმას წარმოადგენს და მოიცავს სინერგიას – ხმას, ხატსა და ტექსტს შორის.

უცხოური ენების სწავლების პროცესში სოციოკულტურული განათლების ახალი ტექნოლოგიის ჩართვა სერიოზულ დიდაქტიკურ გააზრებას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები:

სოციოკულტურული კომუნიკაცია, სოციოკომუნიკაციის ელემენტი, სოციოკულტურული კომპეტენცია, ელექტრონული კულტურა.

შესავალი

უცხოურ ენათა სწავლების პროცესში კულტურის კომპონენტების მოხმობა

აუცილებელია ძირითადი პრაქტიკული მიზნის მისაღწევად შესასწავლ ენაზე ურთიერთობის უნარის ფორმირებისათვის.

კულტურათმორისი კომუნიკაცია არის კომუნიკაციაში მონაწილე სხვადასხვა ნაციონალური კულტურის წარმომადგენელთა ადეკვატური ურთიერთგაგება, სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობის სპეციფიკური პროცესების ერთობლიობა.

კულტურათმორისი კომუნიკაცია დასაუფლებლად საკმაოდ შრომატევადი და თავისი არსით რთულია. იგი მოითხოვს სერიოზულ მომზადებას. უცხოურ ენაზე ურთიერთობის სწავლება გულისხმობს სოციოკულტურული ცოდნისა და უნარების დაუფლებას. მათ გარეშე არ არსებობს ენის პრაქტიკული ცოდნა.

ძირითადი ნაწილი

სოციოკულტურული კომპონენტი უცხოური ენების შემსწავლელებს საშუალებას აძლევს კულტურათმორისი კომუნიკაციის ადეკვატური მონაწილეები გახდნენ, შეძლონ ქვეტექსტის გაგება, კულტურული, ისტორიული ეპიზოდებისა და რეალიების სწორი ინტერპრეტაცია გაზეთის, ჟურნალისა და სხვა სახის ლიტერატურის კითხვისას, ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების ყურებისას, ენისა და კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ქცევის გააზრება და ტოლერანტობის ამაღლება.

შესასწავლი ენის ქვეყნის მოსახლეობის კულტურა სტრუქტურულ ასპექტში

განიხილება როგორც სოციოკომუნიკაციის კომპონენტი, ნაციონალური მენტალობის თავისებურება და სულიერ-მატერიალური ფასეულობა, რომელიც ეროვნულ საგანძურს ქმნის [2].

უცხოური ენის საშუალებით სოციოკულტურული განათლების მიზანია გააცნოს ენის შემსწავლელებს ნაციონალური საკუთრების ის ნაწილი, რომელსაც იცნობს და რომლითაც ამყობს ამ ენის ყოველი მატარებელი. აუცილებელია ნაციონალური ფასეულობის ჩვენება კულტურათმცოდნეობის თვალსაზრისით. ნაციონალური საკუთრება ერთგვარი ფონია სოციოკულტურული ცოდნა-კონცეპტებისა, რომლებიც კულტურათმცოდნეობისათვის ფასეულია [4].

სოციოკულტურული კომპეტენცია არის წინ გადადგმული ნაბიჯი უცხოური ენის ადეკვატური გამოყენებისათვის. ამ კომპეტენციის მისაღწევად მნიშვნელოვანია მულტიმედია, რომელიც სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალ საშუალებად გვევლინება. იგი ახალ სინკრეტულ ფორმას წარმოადგენს და მოიცავს სინერგიის სხვადასხვა მხატვრულ ფორმას - ხმას, ხატსა და ტექსტს შორის.

უცხოური ენის სწავლების პროცესში მულტიმედია ინფორმაციული სოციოკულტურული, ავთენტიკური სასწავლო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს შემდეგ შესაძლებლობებს:

- მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურის მიღწევების გაცნობას სხვადასხვა ენობრივ საზოგადოებებში და ინტერესების ფართო სფეროს გამოქვეყნებას, რაც აუცილებელია თანამედროვე ადამიანისათვის;
- კულტურული მსოფლმხედველობის გამდიდრებას;
- ხალხის მობილობისა და აზრთა ურთიერთგაცვლის გაზრდას კულტურათ-

შორის ურთიერთობის საფუძველზე [3];

მულტიმედია დასაბამს აძლევს არა მარტო მხატვრული შემოქმედების ახალ ფორმებს (კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაცია და სხვ.), არამედ კულტურის ახალ ფორმასაც.

კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ციფრული სახითაა წარმოდგენილი ქსელში, საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ კულტურის ახალ სახეობაზე, კერძოდ ელექტრონულ კულტურაზე.

დღეს ერთი ადამიანი დღის განმავლობაში იმაზე მეტ ახალ ინფორმაციას იღებს, ვიდრე მისი წინაპარი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იღებდა. ინფორმაციულ საუკუნეში იზრდება მულტიმედიის სოციალური და კულტურული როლი, დგება „ციფრული რენესანსის“ ეპოქა, რომლის დროსაც ადამიანები ცოდნას ახალი რესურსის სახით იღებენ.

მულტიმედია თავის წარმოშობას უნდა უმაღლოდეს ისტორიულად – პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, ტექნიკურად – კომუნიკაციური ტექნოლოგიების, პირველ რიგში, ელექტრონული კომუნიკაციის განვითარებას, მხატვრულად – მხატვრული და გამომსახველობითი ხერხების შეერთების საშუალებით რეალურის შეუზღუდავ ასახვასა და ვირტუალური სინამდვილის შექმნას.

მულტიმედია ინტერნეტში ხდება მასშტაბური სოციოკულტურული ფენომენი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ქსელის მომხმარებლები პრინციპულად ახალი შესაძლებლობების მფლობელები ხდებიან. ბევრი მათგანისათვის ინტერნეტი პროფესიული თვითრეალიზაციის საშუალებაა.

ინტერნეტი უცხოენოვანი კულტურის რესურსების ავთენტიკურ წყაროს წარ-

მოადგენს. იგი მეტად ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა სოციოკულტურული კომპეტენციის ისეთი მაჩვენებლების ასამაღლებლად, როგორცაა:

- კულტურის ფაქტების იდენტიფიკაცია და აღქმა ემოციურ და პიროვნულ დონეზე;
- შესასწავლი ენის მატარებელთა კულტურის რეაქციების, ტრადიციების, ადათების, აგრეთვე მათი ქცევის მოდელების ცოდნის დონის ამაღლება;
- მოსწავლეთა აქტიური ლექსიკის მარაგის გამდიდრება ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ლექსიკით;
- ტოლერანტული ურთიერთობის, ემპათიის და ყურადღების განვითარება უცხო ქვეყნის კულტურის მიმართ;
- სამყაროს მრავალგანზომილებიანობისა და საკუთარი „მე“-ს გააზრება[1].

დასკვნა

ამდენად, დღესდღეობით აშკარა ხდება კულტურისა და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაციის პრობლემების წარმოდგენის აუცილებლობა სასწავლო პროცესში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ენების სწავლების პროცესში სოციოკულტურული განათლების ახალი ტექნოლოგიის ჩართვა სერიოზულ დიდაქტიკურ გააზრებასა და ისეთი მიდგომის შერჩევას საჭიროებს, რომელიც უზრუნველყოფს უცხოენოვანი სასწავლო ურთიერთობის სოციალიზაციას და ენის მატარებელთა სოციოკულტურული პორტრეტის შესწავლას მოსწავლეთა კომუნიკაციური და შემეცნებითი ქმედებების შერწყმის გზით.

ლიტერატურა

1. Янкина О.Е. МГПИ им. М.Е. Евсевьева: *Информационные технологии в свете социо-*

культурного подхода в обучении иностранному языку, Новое в преподавании иностранных языков. Международный научно-практический интернет-семинар. <http://foreign.mordgpi.ru/?p=213>

2. Гальскова Н.Д. (2000): Современная методика обучения иностранным языкам. Пособие для учителя. М.: АРКТИ. 165 с.

3. Гальскова Н.Д. (2008): Образование в области иностранных языков: новые вызовы и приоритеты.// ИЯШ. № 5

4. Преподавание иностранных языков и культур: теоретические и прикладные аспекты (Лемпертовские чтения – VI) (2004).: Пятигорск: изд-во ПГЛУ. 255с.

Multimedia and Internet Resources – New Forms of Socio Cultural Communication

Rusudan A. Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Languages and Communication

77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 893 301 342

E-mail: rusudgo@yahoo.com

Abstract

The paper addresses the issue of the role of culture in language education. In the constantly changing world it is necessary to know the cultures. As language and culture are interrelated, language cannot be taught without culture. The need for our students to develop sociocultural competence derives from the close relationship between culture and language. Culture plays an important role in language education because it motivates students and facilitates communication. If language education

will be to successfully incorporate the presentation of cultural information in language classroom, it would greatly increase the benefits of language study.

A new syncretic form of socio cultural communication is multimedia, the incorporation of which into the teaching process requires a serious didactic ratiocination.

Keywords:

socio cultural communication, socio communicational element, socio cultural competence, electronic culture.

**Мультимедия и Интернет ресурсы
- новые формы социокультурной
коммуникации**

*Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский технический университет
Департамент языков и коммуникации
ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 893 301 342
E-mail: rusudgo@yahoo.com*

Резюме

В статье рассматривается вопрос о роли культуры в языковом обучении. В постоянно меняющемся мире культуру знать необходимо. Язык и культура взаимосвязаны, по этому сложно выучить язык без культуры. Культура мотивирует студентов и облегчает общение. Наполнение содержания языкового курса социокультурным компонентом может служить средством мотивации иноязычной речевой деятельности обучающихся и развития социокультурных образовательных потребностей студентов.

Новой синкретической формой социокультурной коммуникации является мультимедия, однако включение мультимедия технологий в учебный процесс требует серьезного дидактического осмысления.

Ключевые слова:

социокультурная коммуникация, социокоммуникативный элемент, социокультурная компетенция, электронная культура.

ა. რემბოს „ხმოვნების“ სონეტი

ნანა გუნცაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ : 893 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია, ერთი მხრივ, ა. რემბოს „ხმოვნების“ სონეტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე ლიტერატურის, მედიცინის და მეცნიერების ფართო წრეებში სინესტეზიების თეორიის გავრცელების შემთხვევები, და მეორე მხრივ, ბგერებისა და ფერების ურთიერთშესაბამისობის ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოქვეყნებული ნაშრომები. სტატიის გარკვეული ნაწილი ეთმობა იმ მრავალრიცხოვანი ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც რემბოს უაღრესად პოპულარულ სონეტს მიუძღვნა, მათ შორისაა „ხმოვნების“ სონეტის ფერადი ანბანით ახსნის მცდელობა (გ. გობერი, ა.ერო, ჟ. პოლი), ასევე ოკულტისტური, მისტიკური ახსნა (ყანგუ, სტარკი, დებონი) თუ რემბოს ცნობილი მკვლევარების შადვიკისა და რ. ეტიამბლის ინტერპრეტაციები. სინესტეზიების თეორიის ასეთი ფართოდ გავრცელების პერიოდში „ხმოვნების“ სონეტის დიდი პოპულარობა გამოიწვია ლექსის პირველი ტაეპების გამომწვევმა ტონმა და ბგერებისა და ფერების შესაბამისობის გარკვეულ მეთოდად აღიარების პატივმოყვარე განცხადებამ: „ა-შავი,

ე-თეთრი, ი-წითელი, უ-მწვანე, ო-ლურჯი, ხმოვნებო, ერთხელაც მე ავხსნი თქვენი წარმოშობის საიდუმლოს”.

ეს არის გასაოცარი, თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული, ყოველგვარი კანონის გასაცამტვერებლად ამბოხებული პოეტის პროტესტი ტრადიციის წინააღმდეგ და ახლის შექმნის ცდა.

საკვანძო სიტყვები:

სიმბოლო, სინესტეზიები, სონეტი, ოკულტიზმი, ამბოხებული პოეტი, სიმბოლიზმის მანიფესტი, სულიერი რეალობა, შეუცნობი, მისტიკა.

შესავალი

პოეტური ტრადიციების წინააღმდეგ ამბოხებული ა. რემბო თავის წერილებში აყალიბებს პოეტის ნათელმხილველად ქცევის მეთოდს.

ამ მეთოდის მიხედვით ვიზიონერმა პოეტმა უნდა მიაღწიოს ისეთ ზებუნებრივ ძალას, როცა ის შეძლებს ყველა გრძნობის შესატყვისი პოეტური ენის შექმნას, რისი ნაწილობრივი განხორციელებაც რემბომ სცადა „ხმოვნების სონეტში“. ამ სონეტმა „უფრო მეტი გააკეთა რემბოს დიდებისათვის, ვიდრე ყველა სხვა ნაწარმოებმა ერთად; მის შესახებ შეიქმნა მთელი ლიტერატურა“ (ს. ბერნარი). რემბოს მითის შექმნას კურიოზულ ბიოგრაფიულ ფაქტებთან და ზოგიერთ სხვა პოეტურ ქმნილებასთან ერთად განსაკუთრებით შეუწყო ხელი „ხმოვნების“ სონეტის წარმოუდგენლად ფართო რეზონანსმა როგორც საფრანგეთის, ასევე ევროპისა და ამერიკის ქვეყნე-

ბის ლიტერატურულ წრეებში.

რემბოს სონეტის პოპულარობის ზრდა იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ 60/70-იან წლებში როგორც ლიტერატურის, ასევე მედიცინისა და მეცნიერების ფართო წრეებში ერთგვარ მოდად იქცა ე.წ. სინესტეზიების თეორია ანუ *audition coloree*; როგორც რ. ეტიამბლი “ხმოვნების სონეტის შესახებ” ნაშრომში აღნიშნავს, რემბოს სონეტის გამოქვეყნებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე (1812წ.) გამოვიდა საპის სამედიცინო ნაშრომი: “*historia naturalis duorum leutoethiopum anctoris et sonoris ejesus*”, (ორი ალბინოსელის: ავტორის და მისი დის ბუნებრივი შემთხვევა), სადაც ავტორი წერდა, რომ ის და მისი და ხმოვნებს მიაკუთვნებდნენ განსაზღვრულ ფერებს. ნაშრომი თორმეტი წლის შემდეგ გერმანულად ითარგმნა. ექიმმა კორნაზმა, რომლის ნაწარმოებებიც საფრანგეთში ექიმების მარსეს და პერუს საშუალებით გავრცელდა, ეს მოვლენა ჰიპერქრომატოფსიის სახელით მონათლა. რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა ექიმ შაბალიეს წერილი ფსევდოქრომესტეზიების შესახებ, სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ მისი ერთ-ერთი მეგობარი ექიმისათვის ასო ი და ციფრი 5 წითელი იყო; იგი კვირის დღეებს, თვეებსა და საკუთარ სახელებს განსაზღვრულ ფერებს მიაკუთვნებდა.

სონეტის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სინესტეზიების შესახებ პედრონომ გამოსცა სამედიცინო ნაშრომი, რომელმაც იმ ხანად დიდი პოპულარობა მოიპოვა.

როგორც ჩანს, სამედიცინო წრეებში ასეთი შემთხვევები აღნიშნული ფაქტების საფუძველზე აღრიცხული ყოფილა და საერთოდ, ე.წ. სინესტეზიების თეორია ფართოდ გავრცელებულა. *audition coloree*-ს ამ ერთგვარად მოდად ქცეულ თეორიას მიეძღვნა არა ერთი და ორი სამედიცინო

ნაშრომი, სადაც ავტორები ცდილობდნენ ბგერებისა და ფერების ურთიერთშესაბამისობის ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ერთგვარი კანონზომიერება დაედგინათ, თუმცა მოპოვებული მასალები ასეთი დასკვნებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში ასეთი კავშირების შესახებ ლაპარაკი ბევრად უფრო ადრე დაიწყო. რემბოს შემოქმედების ცნობილი მკვლევარების რ. ეტიამბლის, ს. ბერნარის და სხვათა აზრით სონეტის წყაროების ძიებას მიეყვართ XVIII საუკუნის ცნობილი იეზუიტის კირხერის ნაშრომთან “*Musurgia Universalis*”, სადაც ავტორი შემდეგ მოსაზრებებს გამოთქვამს: “ვისაც მაღალი და ძლიერი ხმა აქვს, სახედრის ჯიშისაა- სახედარით მყვირალა და დამთხვეული – ეს ხმა შავ ფერს ჰგავს; ის, ვისაც სერიოზული და გამწვიანი ხმა აქვს, ხარის ჯიშისაა – ხარივით სვედიანი და ბრაზიანი – და მისი ხმა ზეციურ ლურჯ ფერს ემსგავსება”.

“ხმოვნების” სონეტის ერთ-ერთ წყაროდ მიიხნევენ აგრეთვე “ოკულარული კლავესინის” ცნობილი გამოგონებლის, მამა კასტელის 1740 წელს გამოცემულ ფერების ოპტიკას და ვოლტერის მიერ ორი წლით ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომს “ნიუტონის ფილოსოფიის ელემენტები”, სადაც ვოლტერი მუსიკალურ ბგერათა და ფერთა შესაბამისობის შემდეგ სურათს იძლევა: იისფერი-რე, მეწამულისფერი-მი, ლურჯი-ფა, მწვანე-სოლ, ყვითელი-ლა, ნარინჯისფერი –სი, წითელი-დო.

ბგერათა და ფერთა ურთიერთშესაბამისობის დამყარების ცდებმა, რომლებიც ხსენებულ ნაშრომებშია მოცემული, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში, რასაც შედეგად მოჰყვა ამ პერიოდში სინესტეზიების თეორიის განსაკუთრებული

რეზონანსი და მისი ერთგვარ ლიტერატურულ მოდად ქცევა. ამის დამადასტურებელია ის, რომ 1859 წელს რემბოს სონეტის გამოქვეყნებამდე 12 წლით ადრე დანიელმა პოეტმა გეორგ ბრანდესმა 17 წლის ასაკში შეთხზა აგრეთვე ლექსი ხმოვნების ფერების შესახებ. ეს ლექსი მხოლოდ 1898 წელს გამოქვეყნდა, მაშასადამე, რემბოს არ შეეძლო მისი წაკითხვა.

ამგვარად, გასული საუკუნის 60-იან წლებში ორმა პოეტმა თითქმის ერთსა და იმავე ასაკში სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე თემაზე შექმნეს ლექსები, რაც იმას მოწმობს, რომ ხმოვნების ფერთა ძიება იმ დროის ევროპული ლიტერატურის საერთო ნიშანი იყო.

რაკი “ხმოვნების” სონეტი გამოქვეყნდა სინესტეზიების თეორიის ასეთი პოპულარობის პერიოდში, მან მაშინვე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება და მალე მოდაში შემოსული სინესტეზიების მანიფესტად იქცა. მორის პეირო “ხმოვნების” სონეტს განიხილავდა როგორც სიმბოლისტების პირველ მანიფესტს, რენე გილმა კი უკიდურესობამდე მიიყვანა სონეტში გამოთქმულ შესაბამისობათა ცდა.

რემბოს სონეტის წარმოუდგენლად დიდმა პოპულარობამ მას უამრავი მიმბაძველი გაუჩინა. 1889 წელს მ. ლეგრანმა გამოაქვეყნა თავისი ლექსი “Voyelles”, რომელიც როგორც სათაურიდან ჩანს, რემბოს სონეტის მიბაძვით დაწერა. მას მოჰყვა ვიჟიე-ლეკოკის, ჯონ გედ ფლეტჩერის, კარუელისა და სხვათა მიბაძვები, რომელთაგან არცერთი არ ასულა რემბოსეული სონეტის სიმაღლემდე.

ძირითადი ნაწილი

დღიდან გამოქვეყნებისა დაიწყო “ხმოვნების” სონეტის დედააზრის ძიება.

შეიქმნა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება სონეტის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. 1904 წელს ე. გობერმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც უარყოფდა სონეტის “audition coloree”-თი ახსნის შესაძლებლობას და მას ძალზე მარტივად, ფერადი ანბანით ხსნიდა. გობერი, როგორც თვითონ გვარწმუნებს, ერთ-ერთ ძველ ბიბლიოთეკაში წააწყდა გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოცემულ ფერად ანბანს, სადაც ხმოვნებს ეჭირა ექვსი გვერდი; თითოეული ხმოვანი სხვადასხვა ფერით გამოიყოფოდა და მის გვერდით მოთავსებული იყო ნახატები, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვა მოცემული ხმოვნით იწყებოდა.

სამი ათეული წლის შემდეგ გობერს გაუჩნდა მიმდევრები. 1934 წელს ანრი ერომ “La nouvelle revue française”-ში კვლავ გაიმეორა გობერის მიერ დიდი ხნის წინ გამოთქმული აზრი: “Pourquoi le fameux sonnet ne serait-il pas figurant sur l’alphabet pour enfant?”

ამავე აზრს იზიარებდნენ შემდგომ ფრანგი მკვლევარები: ჟ პოლი, ჟ. ვოკანსი, ჟაკუბე, ავსტრიელი შინსოლმი და სხვ.

მკვლევარებმა: ჟანგუმ, სტარკიმ, დე ბონმა, ჰაკეტმა და სხვ. ისარგებლეს იმ ინფორმაციით, რომ რემბო კოლეჯში სწავლის პერიოდში გატაცებული ყოფილა ოკულტიზმით, კერძოდ ელიფას ლევისა და ფიგიუს წიგნებით და დაასკვნეს, რომ სონეტის ახსნის საფუძველი მხოლოდ ამ სფეროში უნდა ეძიათ. კერძოდ, დებონი თავის ნაშრომში “ვერლენი და რემბო” მნიშვნელოვან ადგილს უთმობს “ხმოვნების” სონეტის აზრის განმარტებას. მას მიაჩნია, რომ ამ სონეტზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ე. პოს “გორდონ პიმის მოგზაურობამ”. დებონის აზრით, პოეტი ასოებს მათი ფორმის მიხედვით ხედავს,

რის შემდეგაც თითოეულ მათგანს ნებისმიერ ფერს მიაკუთვნებს. მაგალითად, U- აგონებს საგანს, რომელიც სრულიად არ არის მწვანე: კერძოდ, ნაოჭებს ცხვირის ძირში, რომელსაც ორთითას ფორმა აქვს.

ამავე მოსაზრებით O-ს დანახვა ცის სფეროს ასოციაციას იწვევს მასში, A-ს კი, ისევე როგორც ეთიოპიურ ნიშანზე, ბუხის ფორმა აქვს... ამგვარად, დებონს აქ ძირითადად მიაჩნია ფორმა და არა ფერი. ეს თვალსაზრისი დებონს სჭირდება იმისათვის, რომ ერთგვარი პარალელი გაავლოს რემბოს შემოქმედებასა და გნოსეოლოგიას შორის. ის იმოწმებს ფაქტს, რომ რემბო ერთხანს გატაცებული ყოფილა გნოსტიკოსებით და ეზოთერული ხასიათის წიგნებით. დებონის აზრით, ამ სულიერ საზრდოში უნდა ვეძებოთ სონეტის შთაგონების წყარო. როდესაც რემბო „ჯოჯოხეთის ერთ სეზონში“ ამ სონეტის შესახებ ლაპარაკობს, ის ხმოვნებს თავისი ჩვეულებრივი თანამიმდევრობით ჩამოთვლის: ა – შავი, ე – თეთრი, ი – წითელი, ო – ლურჯი, უ – მწვანე. სონეტში კი პოეტი ჯერ უ-ს ასახელებს ხოლო შემდეგ ო-ს, რასაც დებონი იმით ხსნის, რომ პოეტს სურს ამ გზით მივიდეს ომეგასთან, რომელსაც გნოსეოლოგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარად, დებონის აზრით, რემბომ მიაგნო ომეგას იმ ეზოთერულ მნიშვნელობას, რომელსაც ადრე ამ ასოს ალქიმიკოსი ზოზიმე და მარკოზი ანიჭებდნენ.

როგორც რემბოს მთლიანი შემოქმედების, ასევე მისი ცალკეული ნაწარმოებების და, კერძოდ, “ხმოვნების” სონეტის ახსნა ერთი რომელიმე წყაროთი, იქნება ეს მისტიკური, ოკულტისტური, თუ ფერადი ანბანით, არასწორ გაგებად გვეჩვენება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდა პოეტმა თავისი ასაკისათვის შეუფერებლად

უამრავი და ძალზე განსხვავებული ხასიათის სამეცნიერო, რელიგიური, მისტიკური თუ მხატვრული ტექსტები შეისწავლა. ამ მრავალრიცხოვანმა მასალამ, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ამ პერიოდის ლიტერატურის განვითარებაზე, ზემოქმედების კვალი დატოვა რემბოს შემოქმედებაზეც. “ხმოვნების” სონეტში გვხვდება როგორც მისტიკური, ასევე ბიბლიური თუ მითოლოგიური რემინისცენციებით შთაგონებული პოეტური ხატები, მაგრამ მთლიანად ამ სონეტის ერთი რომელიმე ავტორის გავლენით ახსნას წარმოუდგენლად ვთვლით.

რენე ეტიამბლს თავის ძალზე საინტერესო ნაშრომში „ხმოვნების სონეტის შესახებ“, მოჰყავს „ხმოვნების“ სონეტის ერთი სენსაციური ვერსია, ფორისონის ნაშრომიდან „A-t-on lu Rimbaud“: „იმის ნაცვლად, რომ სონეტის ახსნა ვეძებოთ მეტაფიზიკაში, რომლის ცოდნაც რემბოს არ შეეძლო, უმჯობესია ამ საიდუმლოს ამოხსნის საფუძვლად სულ სხვა რამ მივიჩნიოთ, რაც შესაძლებელია ჰქონდეთ ამ ასაკის ყმაწვილებს, მაგალითად ცერებრალური ეროტიზმი“.

ზემოთ აღნიშნული ინტერპრეტაციების გარდა არსებობს რამდენიმე ცნობილი მკვლევარის ძალზე საინტერესო ნაშრომი “ხმოვნების” სონეტის შესახებ, მათ შორის შადვიკის და რ. ეტიამბლის, რომელთაც ჩვენ რემბოს სონეტის განხილვისას გზადაგზა შევხებით.

„ა-შავი, ე-თეთრი, ი-წითელი, უ-მწვანე, ო-ლურჯი რემბოს“ ასე იწყებს პოეტი სონეტს და ამ პირველმა სტრიქონებმა, როგორც ვნახეთ, გამოიწვია ლექსის მრავალნაირი ინტერპრეტაცია. რამ შთააგონა პოეტს ხმოვნებისადმი ფერების მიკუთვნება, ან რატომ არის ა-მანცდამანც შავი ფერის, ე-თეთრი და ა. შ.?

ჩვენი აზრით, პოეტი ირჩევს იმ ფერებს, რა ფერებშიც ხედავს მის მიერ წარმო-

სახულ სამყაროს, რაც ადვილად დასტურდება ფერთა რაოდენობის აღრიცხვით, რომელიც შედეგად აწარმოა რემბოს ერთ-ერთი პირველი ლექსიდან “Les etrennes des orphelins” “ხმოვნების” სონეტამდე. აღრიცხვის შედეგი ასეთია: შავი ფერი 57-ჯერაა დასახელებული, თეთრი 40-ჯერ, წითელი 30-ჯერ, მწვანე 30-ჯერ, ვარდისფერი 13-ჯერ, ყვითელი 11-ჯერ. ამასთან მკვლევარი შენიშნავს პოეტის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ყვითელი ფერისადმი; იგი ხშირად გაუბრუნებს ამ ფერის პირდაპირ დასახელებას და მის გამოსახატავად ხმარობს ოქროსფერს, სანთლისფერს. რაც შეეხება ჩადვიკის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ თითქოს სონეტში ესა თუ ის სახე დაკავშირებულია ამა თუ იმ ფერთან პირდაპირ კი არა, არამედ ამ ფერთან ასოცირებული განცდის საშუალებით, არ უნდა იყოს მართებული.

ჩადვიკის მოსაზრება, რომ ყოველი ფერი იწვევს გარკვეულ ემოციას, რომ ვთქვათ მწვანე ყოველთვის სიმშვიდესთანაა ასოცირებული, თეთრი-სულიერ სიწმინდესთან და ა. შ. არ შეიძლება ყველა ხელოვანის, ყველა ადამიანის ხედვას მიუდგეს. თავისი ერთ-ერთი ცნობილი სურათის „ღამის კაფეს“ შესახებ ვან-გოგი წერს: „ჩემს სურათში მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ კაფე არის ადგილი, სადაც შეიძლება გონს გადახვიდე, გაგიჟდე ან დანაშაული ჩაიდინო. ამ საშინელი ადამიანური გრძნობების გამოხატვა მე ვცადე წითელი და მწვანე ფერებით“.

როგორც ვხედავთ, მწვანე ფერი ყოველთვის სიმშვიდესთან როდია ასოცირებული. სონეტში მხოლოდ ფერი კი არა, არამედ პოეტის მიერ გამორჩეულ ფერთან დაჯგუფებული იმ საგნებით შექმნილი სურათი იწვევს გარკვეულ ემოციას, რომლებსაც რემბოს ეს ფერი ახსენებს.

და მაინც, რით იწვევს ხმოვნების სონეტი ჩვენს ინტერესს? პირველ რიგში, ლექსში მოცემული ხატების საშუალებით, სამყაროს სურათის ორიგინალური გადმოცემით და იმ „თანდათანობითი გამოცნობის სიხარულით“, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაღარმე.

„რაც უფრო უმნიშვნელოა საბაბი და მნიშვნელოვანი შინაარსი, მით უფრო მაღლა უნდა იქნეს დაყენებული სიმბოლო“. ასეთი პრინციპითაა შექმნილი „ხმოვანთა სონეტი“, რომლის განხილვა სონეტის დაწერის საბაბის გაცნობით უნდა დავიწყოთ, გადავიდეთ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მისი შინაარსის გაგებაზე და ამოვიცნოთ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სიმბოლოები:

„ა, მბრწყინავი ბუზების შავი, ბალნიანი კორსეტი; ისინი საშინელი სიმყრალის ირგვლივ ბუზიან; ჩრდილების ყურე“.

ასეთია ის სურათი, რომელიც პოეტმა შავი ფერის ასოციაციით შექმნა. ეტიამბლი ხაზს უსვამს ლექსის ამ სტრიქონებზე ბოდლერის “Une Charogne”-ში მოცემული სახეების გავლენას და მართლაც, თუ გავიხსენებთ ბოდლერის ამ ლექსის შემდეგ ტაჟებს: “La puanteur etait si forte que sur l’herbe vous crutes vous epanouir. Les mouches bourdonnaient sur le ventre putride”, ძნელი იქნება ეჭვის შეტანა ამ მსგავსებაში...

ე – კარვების და ორთქლის სითეთრე, ამაყი მყინვარები, თეთრი მეფეები, ქოლგების შრიალი.”

ხრწნისა და სიკვდილის შემზარავი სურათის შემდეგ პოეტი იწყებს ისეთი სახეების ჩამოთვლას, რომელთა საშუალებითაც იგი სიკვდილის და ღპობის სურათის შემდეგ თანდათანობით გადადის იმ სახეებზე, რომლებიც შედარებით რბილ, ნელ და მშვიდ მოძრაობას გამოხატავენ; ორთქლი, ქოლგების შრიალი და მეფეთა გარეგნული ბრწყინვალება, სისუფთავე სიმბოლოურად

გამოხატავს იმ იდეებს, რომლებიც სიცოცხლეს, ცხოვრებას თან სდევს და გარკვეულ აზრს აძლევს მას. ეს არის სიმშვიდის, დიდებულების, სიამაყის, ხმაურის იდეა, რომელიც ამ სტრიქონებშია გამოხატული. ამ სახეების შთაგონების წყარო მწიგნობრული ხასიათისაა და შესაძლოა ზოგიერთი მათგანი (თეთრი მეფეები, კარვები) კაპიტან რემბოს (პოეტის მამის) მონათხრობიდან პოეტის გონებაში ჩარჩენილი შთაბეჭდილებების შედეგი იყოს.

„ი, ალისფერი, ამონთხეული სისხლი, ღამაში ბაგეების სიცილი მრისხანების ჟამს, ან სინანულით სიმთვრალე“ – ნაცადი ხერხით ჩამოთვლის პოეტი წითელ ფერთან ასოცირებულ საგნებს თუ სახეებს; „გადმონთხეული სისხლი“, „ღამაში ბაგეების სიცილი მრისხანების ჟამს“, – ეს ნამდვილი რემბოსეული სახეებია, რომელთა მსგავსაც ჩვენ ხშირად ვხვდებით მის ლექსებში. წითელი ფერი და მასთან ასოცირებული საგნები პოეტს გამოყენებული აქვს ადამიანის სიცოცხლის ჟამის იდეის გამოსახატავად, სიცოცხლისა, რომელსაც თან სდევს სისასტიკე. ეს უკვე ადამიანური ყოფის ნამდვილი სისასტიკეა, რომელიც ჭაბუკმა პოეტმა ასე მძაფრად განიცადა. ეს სტროფი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ემოციურია მთელს სონეტში. წითელ ფერს მისი კონტრასტული მწვანე ფერი მოსდევს.

ამ ფერს რემბოსთან ასოცირებული აქვს სახეები და იდეები: „უ- ციკლები, ზღვების ღვთიური თრთოლვა, პირუტყვით სავსე საძოვრები, ნაოჭების სიმშვიდე – ალქიმიკოსის დიდ, ჭკვიან შუბლზე აღბეჭდილი“.

რატომ არის მწვანესთან დაკავშირებული ისეთი სახეები, როგორცაა „წრები“ ან ნაოჭების სიმშვიდე, ალქიმიკოსის შუბლზე აღბეჭდილი? განა შეიძლება მწვანე

ფერის შუბლი და ნაოჭები? „ცხადია, ძნელი დასაჯერებელია, რომ ალქიმიკოსების შუბლი იყოს მწვანე, თავიანთი კაბინეტის სიბნელეშიც კი“ – წერს ს. ბერნარი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რემბო შემოქმედია, პოეტია! განა ცოტა მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა რომელიმე მხატვრის მიერ შექმნილ მოაზროვნის სახეს მომწვანო – მოყვითალო ფერი გადაჰკრავს, რაც სიმბოლურად გამოხატავს მათ ანალოგიას ცხედართან?

მწვანე ფერთან ასოცირებული სიმშვიდის მსგავსი განცდა, რომელსაც პოეტი ამ სახეებით გამოხატავს, გამოწვეულია პოეტის მისწრაფებით, „სულის თვალით“ დაინახოს სხვათათვის დაუნახავი და მიადწიოს მარადიულობასთან წუთიერ კონტაქტს. ალქიმიკოსის შუბლთან ასოციაციით შექმნილი პოეტური სახე შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან გარკვეულ პერიოდში ოკულტისტური შრომებით გატაცებულ პოეტს ცოდნის სფეროში ადამიანის შეყვანის ერთ-ერთ გზად ალქიმია მიაჩნდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოეტმა ამ სახით გამოხატა თავისი მისწრაფება სულიერ რეალობასთან კონტაქტისაკენ და იმედი ამ კონტაქტის შესაძლებლობისა, რასაც ის მიჰყავს O-ომეგასთან, „მისი თვალების იისფერ სხივთან“, მისტიკური ხედვის ფერთან; O და მასთან დაკავშირებული „ქვეყნებისა და ანგელოზების სიჩუმე“ – ესაა წითელ და თეთრ ფერთან ასოცირებული რეალური სამყაროს, მისი სისასტიკის მიმართ ამბოხებული პოეტის ის „დიადი სიჩუმე“, როცა მას ყოფიერებასთან ყალბი კავშირის გაწვევტის შესაძლებლობა ეძლევა. ამგვარად თავისი ტრაგიკული ბედის ერთადერთ გამოსავალს იგი ხედავს ომეგაში და მასთან ასოცირებულ უმაღლეს სულიერ რეალობაში, რაც მის-

თვის შეუცნობთან კონტაქტის ერთადერთი საშუალებაა.

დასკვნა

“ა-შავი, ე-თეთრი, ი-წითელი, უ-მწვანე, ო-ლურჯი. ხმოვნებო, ერთხელაც მე ავხსნი თქვენი წარმოშობის საიდუმლოებას” – რემბოს “ხმოვნების” სონეტის ამ პირველი ეტაპების გამომწვევმა ტონმა და ახლის შექმნის ცდამ შემოქმედებითი წრეების დაინტერესება გამოიწვია და ამანვე შეუწყო ხელი ლექსის განსაკუთრებულ პოპულარობას. მართალია ლექსის ფორმა, სონეტი უძველესი და ძალზე გავრცელებული ფორმაა და ამ მხრივ რემბო ჯერ კიდევ არ გამოირჩევა რაიმე სიახლით (ეს მისი ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში ჩანს), მაგრამ აქ მთავარია მისი ყველა გრძნობის შესატყვისი ენის შექმნის პრეტენზია და ხატები, რომლითაც მან სამყაროსთან დამოკიდებულება გამოხატა. ცხადია, ეს არის ახალი პოეტური ენის შექმნისათვის იმ დროს მოღაღ ქცეული სინესტეზიების თეორიის გამოყენების სურვილი და მცდელობა.

ლიტერატურა

1. Chauvel J. (1971) : L'aventure terrestre de Jean Arthur Rimbaud. Paris. Seghers
2. Etiemble R. (1968) : Le sonnet des “Voyelles”. Paris
3. Eaubonne F. (1956) : de La vie passionnee d'Arthur Rimbaud. Paris
4. Gengoux J. (1950) : La pensee poetique de Rimbaud. Paris
5. Riviere J. Rimbaud A. (1950): Paris
6. Brunel P. Rimbaud A. (2004): Paris

7. Jarrety M. (2001) : Poesie de Baudelaire a nos jours. Paris. Presses Universitaires de France
8. Pleynet M.(2005) : Rimbaud en son temps. Paris. Gallimard
9. Yves Bonnefoy (1994): Rimbaud. Paris. Seuil

„Vowels“ Sonet by A. Rimbaud

Nana P. Guntsadze
bilisi State University
Humanitarian Science faculty
36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 893 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com

Abstract

This article discusses preceding to the publishing of Arthur Rimbaud's “Vowels” spread of synesthesia theory among the wide literature, medical and scientific circles, and works created in order to define the natural links based on factual materials which show the correspondence between sounds and colors.

Certain part of the article is dedicated to the discussion of the numerous pieces of literature, which were devoted to this exceptionally popular sonnet; attempts of sonnet's explanation by means of colorful alphabet are among them (E. Gaubert, A. Heraut, J. Paul), together with the occultistic, mystical explanations (by G. Gengoux, E.Starkie, F. D'eaubonne) and interpretations by the famous researchers of Rimbaud like Ch. Chadwick and R. Etiemble. Unimaginable popularity of the “Vowels” sonnet was caused by the defiant tone of its first lines and ambitious declaration of the described correspondence as a method: “A Black, E white, I red, U green, O blue: vowels, I shall tell, one day, of your mysterious origins”. This is

an amazing protest against the tradition of the poet confident in his own capabilities, revolted in order to dispel all laws in an attempt to create the new ones.

Keywords:

symbol, synesthesia, sonet, occultism, rebellion poetry, symblolical manifest, spiritual reality, unknown, mysticism.

Сонет А. Рембо „Гласные“

*Гунцадзе Нана Петровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 893 646 000
E-mail: nana_guntsadze@yahoo.com*

Резюме

В статье рассматриваются вопросы распространения теории синестезии в литературных, медицинских и научных кругах задолго до опубликования известного сонета А. Рембо «Гласные». Исследуются также работы, в которых на основе фактических материалов рассматривается соотношение между звуками и цветами и явно вырисовывается желание установления некоторых закономерностей.

В статье дается обзор многочисленной литературы, посвященной этому весьма популярному сонету, среди которых нужно выделить те, в которых дана попытка толкования сонета посредством цветной азбуки (Г. Гобер, А. Эрро, Ж. Поль), оккультических и мистических подходов (Жангу, Старки, Дебон), а также интерпретации исследователей А. Рембо (Шадвика и Этиамбля). Популярность сонета «Гласные» в период широкого распространения синестезии была обусловлена вызывающим тоном первых

строк стихотворения смело объявить вышеуказанное соотношение: («А – черный, е – белый, и – красный, у – зеленый, о – синий) новым методом и честолюбиво заявить «я (Рембо) однажды объясню их тайное происхождение».

Творчество А. Рембо – протест убежденного в своих возможностях поэта, восставшего против традиций и одновременно попытка создания чего-то нового.

Ключевые слова:

символ, синестезия, сонет, оккультизм, восставший поэт, символический манифест, неизвестный, мистика.

Lire Rimbaud , Lire “Une Saison en Enfer”

Nana Gountsadzé

Université d'Etat de Tbilissi

Faculté

36 Tchavtchavadze av., 0179, Tbilissi, Géorgie

ტელ.: 893 646 000

E-mail: nana_guntsadze@yahoo.fr

Abstract

„Une saison en enfer “ nous décrit l'enfer que Rimbaud a délibérément placé sur sa route pour atteindre son but.

Dans son autobiographie spirituelle il nous raconte les expériences réalisées pendant cette période de la création du” voyant:” la libération des sens, les orgies, les débauches, l'ivresse, les jours passés avec Verlaine à Londres...

Il extériorise ses souvenirs comme si c'étaient des phénomènes indépendants de lui. L'auteur ne cherche pas à faire partager son avis au lecteur, il ne veut que l'exprimer.

Dans “Une saison en enfer”, il se révolte contre tout ce qui fait obstacle à sa liberté. Sa révolte est morale, sociale, métaphysique. Il décrit son aventure, le but de sa révolte, les mécanismes et l'amertume de la défaite.

Mots clé:

Baptême, Dieu , Peche, La Révolte, La Liberté, La Voyance, L'Inconnue, L'Enfer , La Malediction.

Introduction

A. Rimbaud vécut de façon extrêmement scandaleuse. Le poète se révolta contre sa famille qui entravait sa liberté, mais aussi contre la société et ses lois. La révolte fût un processus naturel que

Rimbaud ne pouvait ni provoquer, ni arrêter.

En 1871, la correspondance d'A. Rimbaud avec G. Izambard et P. Demeny nous permet de suivre le développement du caractère du poète et montre que cette révolte ne fût pas dénuée de motivations. On voit clairement l'importance et le but cette révolte - établir un contact avec l'inconnu. Seul un voyant peut y arriver, pensait Rimbaud, et pour devenir voyant, il faut utiliser une méthode complexe.

Partie principale

La première étape de cette méthode est “ sa propre connaissance, entière”.

Le poète doit trouver son âme et l'observer tout en restant simple spectateur, pour assister à la naissance d'un phénomène. Il doit, ensuite, prendre l'initiative de percevoir ce phénomène comme extérieur parmi d'autres existants dans le monde.

Suit l'étape du développement et de la mise à l'épreuve de son propre “Je”. Il ne s'agit pas d'un développement naturel mais de la construction d'une âme monstrueuse: “imaginez un homme s'implantant et se cultivant des verrues sur le visage”.

Pour transformer son âme en monstre, le poète doit dérégler tous ses sens, chercher toutes les formes d'amour, de souffrance, de folie et puiser en lui tous les poisons pour n'en garder que la quintessence.

Il doit passer par une souffrance indicible et devenir “le grand malade, le grand criminel, le grand maudit”.

Pour lui, il n'y a pas d'artiste qui ne soit malade. On peut en déduire que si l'artiste n'est pas malade, il doit provoquer sa maladie et se transformer en “un grand criminel”. La perception mystique de la culpabilité précède l'état “extatique” et contribue à la découverte et au perfectionnement de soi, à la guérison de l'aliénation sociale. La connaissance

“des profondeurs sataniques” du coupable développe la voyance du poète.

Le crime est toujours châtié. Le châtement cause une grande souffrance, mais peut également être considéré comme un moyen de se libérer du mal.

La voyance nécessaire au contact avec l'inconnu, exige une liberté totale, seule obtenue par l'affranchissement sans limite des sens et l'accroissement de la souffrance. D'où la transgression des interdits moraux et des tabous sexuels: le vin, l'absinthe, le haschisch, les expériences homosexuelles. L'excitation, l'extase et la fantasmagorie sont accompagnées par une angoisse inexplicable. Le poète doit être prêt pour une souffrance inhumaine.

 skaubinti (skauba)
 vaikinti (vaikas).

1.3.3. Der akute Akzent von langen Stammvokalen der Grundverben und -substantive bleibt erhalten:

alkinti (alkti);

báiminti (□ báimè);
júodinti (□ júodas);
mókslinti (□ mókslas);
šiáušinti (□ šiáušti);
týrinti (□ týras).

1.4. Die Verben, die einen langen Stamm besitzen und für die Metatonie typisch ist. Die Metatonie entsteht wegen der semantischen Eigenschaften der Ableitungen.

1.4.1. Die reguläre Zirkumflexmetatonie ist für die Verben auf -inti typisch, die eine langsame, ungeschickte, faule Bewegung bezeichnen. Die Zirkumflexbetonung unterstreicht die Langsamkeit der Aktivität (s. Kavaliauskas, 2000, 57-60; Pakerys, 2002, 351-354; Stundžia, 2009, 220). Die Ableitungen auf -inti ersetzen den akuten Akzent des Grundwortes durch Zirkumflex:

bi□binti (□ b□mba);
ker□plinti (□ ker□pla);
ki"tinti (□ ki to);
riðglinti (□ riðgla);
šle□rvinti (□ šlérva);
va□plinti (□ vāmpla).

1.4.2. Manche Verben der litauischen Sprache weisen akute Metatonie (die Zirkumflexbetonung eines Grundwortes wird durch den akuten Akzent in der Ableitung ersetzt) auf. In der Gruppe von Verben auf -inti gibt es besonders viele Beispiele solcher Metatonie. Durch regelmäßige akute Metatonie zeichnen sich die Ableitungen auf -inti aus, die aus den Verben gebildet werden und eine spezifische Bedeutung haben (etwas langsam machen, was durch das Grundwort ausgedrückt ist). «Solche Verben zeigen gewöhnlich verschiedene aktive, sich wiederholende mit Anstrengung erzeugte Töne» (Kavaliauskas, 2000, 61):

cýpinti (□ cýpti);
klýkinti (□ klýkti);
pýpinti (□ pýpti);
plérpinti (□ ple□pti);
r□kinti (□ r□kti);

žinti (□ "žti).

Akute Metatonie ist auch für manche nominale Ableitungen typisch:

dr□sinti (□ dr□su);
gárbinti (□ ga□bè);
káltinti (□ ka□tas);
láisvinti (□ la□svas);
mérginti (□ me□ga);
svéikinti (□ sve□kas).

Sie ist aber nicht gesetzmäßig, weil bei einem ziemlich großen Teil der nominalen Ableitungen die Betonung des Grundwortes erhalten bleibt. (s. Kavaliauskas, 2000, 53-72; Stundžia, 2009, 219-220). In der Standardsprache gibt es einige Verben, die doppelte Akzentnorm haben (mit Akut und Zirkumflex): áudrinti und áudrinti, dáilinti und da□linti, gársinti und ga□sinti, jáudrinti und jáudrinti, páikinti und pa□kinti, ráibinti und ra□binti, ráininti und ra□ninti, skáidrinti und ska□drinti u. a.

2. Suffixbetonte Verben auf -inti.

2.1. Verbale Ableitungen. Die meisten Ableitungen auf -inti sind stammbetont. Nur bei etwa einem Fünftel fällt die Betonung auf das Suffix.

2.1.1. Eine große Gruppe von solchen Verben bilden die Ableitungen mit dem Wechsel der Stammvokale oder -diphthonge. Dieser Faktor bestimmt ihren suffixbetonten Akzenttyp (s. Jakaitienè, 1974, 33-36; Kavaliauskas, 2000, 76-80; Pakerys, 2002, 461):

brand□nti (□ br□sti, bréndo);
gad□nti (□ gèsti, gèdo);
graž□nti (□ gr□žti);
laip□nti (□ l□pti);
nar□nti (□ nérti);
raug□nti (□ r gti);
sarg□nti (□ si□gti).

2.1.2. Es gibt wenige verbale Ableitungen auf -inti, die keinen Wechsel der Stammvokale haben, werden aber jedoch suffixbetont: aug□nti, bég□nti, ges□nti, kūr□nti, mok□nti, nok□nti, šokd□nti,

vėd□nti, vės□nti u. a. «Es gibt leider keine deutlichen Merkmale, die bei der Unterscheidung von ähnlichen verbalen Ableitungen (vom suffix- und stammbetonten Typ) nützlich sein könnten» (Pakerys, 2002, 466; žr dar Kavaliauskas, 2000, 81-82). In litauischer Standardsprache wird die Tendenz deutlich, trotz aller semantischen, morphophonologischen Faktoren und phonetischer und morphologischen Eigenschaften des Grundwortes immer mehr Raum für Suffixakzent zu schaffen.

2.2. Nominale Ableitungen. Die nominalen Verben auf -inti sind gewöhnlich stammbetont, es gibt nur 3 Verben mit Suffixakzent: dab□nti, dal□nti, smalk□nti. Aus morphophonologischen Sicht ist ihre Betonung idiomatisiert und bildet eine Ausnahme. Der Suffixakzent mancher Verben wird durch Ableitungen anderer Suffixe mit ähnlicher Struktur und Bedeutung bestimmt (vgl. dal□nti – dalýti). Es gibt nur 9 suffixbetonte Verben, die von Adjektiven abgeleitet sind baikšt□nti, brang□nti, baug□nti, baugšt□nti, gaiv□nti, graud□nti, jauk□nti, nars□nti, šmaikšt□nti. Die Gründe einer solchen Betonung sind nicht ganz klar. Diese Art der Betonung bei den Verben zeugt von der Tendenz der litauischen Sprache die Möglichkeiten der Suffixbetonung noch mehr zu erweitern.

3. Die Verben auf -inti mit Doppelbetonung.

In litauischer Sprache gibt es auch lockere Varianten der Verbbetonung auf -inti. In Wörterbüchern der litauischen Gegenwartssprache (DŽ4, DŽ6e) findet man 9 Varianten der Verbbetonung: dārginti und darg□nti, gārsinti und gars□nti, ska□dinti und skard□nti, sma□sinti und smals□nti, tv□rkinti und tvirk□nti, váišinti und vaiš□nti, výtinti und vyt□nti, laž□ntis und lāžintis, nart□nti und nártinti. Die staatliche Kommission für litauische Sprache hat mit Rücksicht auf systematische Forderungen und den alltäglichen Gebrauch im Jahre 2005 die Akzentnorm mancher Ableitungen mit diesem Suffix geändert (s. Kavaliauskas, 2005, 114-118).

Die Gruppe der Doppelbetonung wurde mit Verben áušinti und auš□nti, □dinti und éd□nti, ti□pdinti und tirpd□nti erweitert. Die Betonungsvarianten der Verben vaišinti und lažintis wurden umgetauscht und die Variante der Suffixbetonung des Verbs garsinti wurde ausgeschlossen.

Schlussfolgerungen

Die Betonung der Verben mit dem Suffix der litauischen Standardsprache -inti ist ziemlich kompliziert. Konkreter Akzenttyp (Stamm- oder Suffixbetonung) wird von verschiedenen phonetischen, morphophonologischen, semantischen und Wortbildungsfaktoren bestimmt. Die meisten solchen Verben sind stammbetont. Wegen semantischer Eigenschaften ist für manche Ableitungen akute und Zirkumflexmetatonie typisch. Bei den Verben, die aus Fremdwörtern gebildet werden, bleibt die Betonung des Grundwortes und die prosodischen Merkmale erhalten. Die Verben mit kurzem Stammvokal sind immer stammbetont. Verbale Ableitungen auf -inti, für die ein Wechsel der Stammvokale oder Diphthonge typisch ist, sind suffixbetont. In der Standardsprache gibt es Verben mit lockerer Betonung (beide Varianten der Betonung sind in Wörterbüchern zu finden). Die staatliche Kommission für litauische Sprache hat mit Rücksicht auf systematische Forderungen und den alltäglichen Gebrauch im Jahre 2005 die Akzentnorm mancher Verben auf -inti geändert.

Literatur

1. DŽ4 – Dabartinės lietuvių kalbos žodynas (2000): vyr. red. St. Keinys. Vilnius: Mokslo ir enciklopedijų leidybos institutas
2. DŽ6e – Dabartinės lietuvių kalbos žodynas (2006): vyr. red. St. Keinys. Vilnius: Lietuvių kalbos institutas

3. Jakaitienė E. (1974): Šaknies balsių kaita priesaginių veiksmažodžių daryboje // Kalbotyra, 1974, T. 25, sąs. 1, p. 29–36

4. Jakaitienė E. (1975): Metatonija priesaginių veiksmažodžių daryboje // Kalbotyra. T. 27. sąs. 1. p. 29–34

5. Kavaliauskas V. (2000): Bendrinės lietuvių kalbos priesaginių veiksmažodžių kirčiavimas. Vilnius: Algarvė

6. Kavaliauskas V. (2005): Dėl kai kurių priesaginių veiksmažodžių kirčiavimo normų // Kalbos kultūra. Nr. 78, p. 111–127.

7. Pakerys A. (2002): Akcentologija. D. II. Vilnius: Mokslo ir enciklopedijų leidybos institutas

8. Stundžia B. (2009): Bendrinės lietuvių kalbos akcentologija. Vilnius: Vilniaus universiteto leidykla

Система акцента глаголов с суффиксом -inti в литовском стандартном языке

Видас Кавалияускас

Вильнюсский педагогический университет

Кафедра литовского языкознания

Ул. Шевченко 31, LT-03111, Вильнюс, Литва

E-mail: vidas.kavaliauskas@vpu.lt

Резюме

В литовском языке второй по продуктивности глагольный суффикс -inti акцентно не устойчив. Конкретный тип акцентуации (корневой или суффиксальный) зависит от разных фонетических, морфологических, семантических, словообразовательных факторов. Абсолютное большинство глаголов с этим суффиксом имеют ударение в корне. Для глаголов с корневым ударением характерна циркумфлексная и акутная метатония, которая появляется из-за особенно-

стей семантики производных глаголов. Глаголам с суффиксом -inti, образованным от глаголов, свойственно чередование гласных или дифтонгов в корне – такие суффиксальные глаголы имеют ударение в суффиксе. В литературном литовском языке есть и глаголы с неустойчивой акцентуацией – в словарях фиксированы оба акцентуационных варианта: корневой и суффиксальный. В 2005 году, учитывая системные требования и тенденции реального употребления в речи глаголов с суффиксом -inti, Государственная комиссия по литовскому языку внесла корректировку в акцентуационные нормы некоторых из этих глаголов.

Ключевые слова:

суффиксальные глаголы, акцентуационная норма, акцентные варианты, метатония, чередование гласных и дифтонгов в корне, морфологические, словообразовательные и семантические факторы.

-inti სუფიქსიანი ზმნების აქცენტის სისტემა ლიტვურ სტანდარტულ ენაში

ვიდას კავალიაუსკასი

ლიტვის პედაგოგიური უნივერსიტეტი

ლიტვური ენათმეცნიერების კათედრა

შეჟენკოს ქ. 31, LT-03111, ვილნიუსი, ლიტვა

E-mail: vidas.kavaliauskas@vpu.lt

რეზიუმე

ლიტვურ ენაში პროდუქტიულობით მეორე ზმნის სუფიქსი -inti აქცენტუალურად არამდგრადია. აქცენტუაციის კონკრეტული ტიპი (ძირისეული თუ სუფიქსალური) დამოკიდებულია სხვადასხვა ფონეტიკურ,

მორფოლოგიურ, სემანტიკურ, სიტყვათწარმობით ფაქტორზე. ზმნების აბსოლუტურ უმრავლესობაში მახვილი ძირს მოუდის. ასეთი ზმნებისთვის დამახასიათებელია ცირკუმფლექსური და აკუტური მეტატონია, რომელიც ჩნდება ნაწარმოები ზმნების სემანტიკური თავისებურებების გამო. -inti სუფიქსიან ზმნებს, რომლებიც ზმნებისგანაა ნაწარმოები, ახასიათებს ძირში ხმოვნების ან დიფთონგების მონაცვლეობა – მათ მახვილი სუფიქსზე მოუდის. ლიტვურ ენაში არსებობს ზმნები არამდგრადი აქცენტუალიზებით – ლექსიკონებში ასეთ შემთხვევაში დაფიქსირებულია ორივე ვარიანტი

– ძირისეული და სუფიქსალური. 2005 წ. ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიამ გაითვალისწინა სისტემური მოთხოვნები და -inti სუფიქსიანი ზმნების რეალური გამოყენება მეტყველებაში შეიტანა და მოახდინა კორექტირება ზოგიერთი ასეთი ზმნების აქცენტუალურ ნორმაში.

საკვანძო სიტყვები:

სუფიქსალური ზმნები, აქცენტუალური ნორმა, აქცენტური ვარიანტები, მეტატონია, ხმოვნების და დიფთონგების მონაცვლეობა სიტყვის ძირში, მორფოლოგიური, სემანტიკური, სიტყვათწარმოების ფაქტორები.

Interacción entre algunos rasgos del análisis morfológico y de formación de palabras en el español actual

Marine Kobeshavidze
Universidad Estatal de Tbilisi
Facultad de Ciencias Humanitarias
Departamento de Filología Romance
Ave/Chavchavadze 36, 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 891 222 007
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

Resumen

La formación de palabras no se puede igualarse con su naturaleza morfológica; así también es natural, que no podemos igualar los principios del análisis morfológico con el análisis de los procesos de formación de palabras en español. Entre ellos existe la diferencia significante.

Cuando nosotros empezamos a examinar el tema morfológico, tenemos que destacar todas las partes principales de que se comprende. Por ejemplo, escojamos la palabra inevitable, en la cual podemos destacar el prefijo *in-*, el que semánticamente está relacionado con los demás componentes, la raíz evitable y el sufijo *-able*. Mediante el análisis de formación de palabras se establece la relación entre la palabra y el modelo derivativo. El objetivo del análisis morfológico en su caso, comprende en dividir y segmentar las palabras en elementos significantes y principales de la palabra y en la determinación de relación entre ellos. El análisis de la formación de palabras siempre se basa en las construcciones ya existentes en el idioma. La división de la raíz de ese modo es posible solamente en el caso si la raíz está formada mediante la agrupación directa de los elementos correspondientes.

La diferencia entre el análisis morfológico y de formación de palabras se basa principalmente en el papel semántico y funcional de los elementos

componentes de palabras, basándose en los cuales podemos concluir: durante el análisis de formación de palabras se establece la relación entre la palabra y el modelo; en cuanto al análisis morfológico, su objetivo principal es su segmentación en los elementos de que se componen, a pesar de que se establece o no la relación entre ellos.

Palabras claves:

Análisis morfológico, derivación, formación de palabras, sufijo, afijo, sincronía, diacronía, tema, léxico, palabra derivada.

Introducción

El lenguaje históricamente es variable y se encuentra en el movimiento perpetuo, al mismo tiempo se desarrolla y se afina. El lenguaje posee su presente, pasado y futuro. El enriquecimiento del léxico del idioma es el factor muy importante. El léxico según las leyes lingüísticas se encuentra en el proceso de su desarrollo. Con el desarrollo de la sociedad aparecen nuevas palabras y nuevos significados. El problema de la aparición de nuevas palabras y su uso en el lenguaje siempre preocupaba a los lingüistas. Se cambiaba fonética, morfología, sintaxis, pero mucho más el léxico del idioma, lo que está provocado por el desarrollo de los hablantes del dicho idioma, incluso los factores históricos lo influyen. Los cambios lingüísticos llevan también el carácter sociológico. El cambio del idioma está provocado por un lado, por el carácter individual- creativo, y por otro lado, por la interacción de lo individual y lo sociológico.

Los problemas del cambio del idioma desarrolló E. Coseriu en su trabajo "Sincronía, diacronía e historia", donde planteó el problema general de

los cambios, según el científico, se explica por la esencia misma de la lengua. El idioma se cambia porque existe como el habla, lo que representa el proceso creativo y libre. “El idioma debe cambiarse constantemente para que siga funcionando. El idioma se crea mientras el proceso de cambios”, - señalaba E. Coseriu. Él señalaba también que la sincronía no representa la realidad histórica, sino la proyección de este estado en la pantalla inmóvil de investigación.... El idioma funciona no sólo por ser sistema, sino al revés, el idioma representa sistema para realizar sus funciones”.

Por lo tanto el cambio no es sólo la peculiaridad interna de la lengua. La lengua se cambia porque es siempre “incompleta” y constantemente se produce en el proceso de hablar. Respectivamente, el idioma representa el sistema abierto. Por lo tanto la lengua se cambia porque hablan en ella, y no es solamente la técnica de hablar.

Los cambios lingüísticos comprenden el proceso del desarrollo del idioma. El idioma mientras desarrolla, utiliza varios recursos para eso. Uno de ellos es justamente la formación de palabras. Junto con el léxico general español, que proviene del latín, existen también muchas palabras que antes el español no conocía, es decir, “palabras nuevas”, algunos de los cuales se formaron de los elementos ya existentes en la lengua. Para el español es característico que, a pesar de las palabras de herencia latina, en el vocabulario español existen además los préstamos, así también palabras derivadas del griego, palabras de origen árabe o de origen germánico, etc.

Seguramente, surge una pregunta: ¿entonces, qué comprende la riqueza del léxico español? La pregunta no es nada fácil. El léxico español es la mezcla de muchas palabras, sea de origen español, árabe, de procedencia germánica o alguna otra. Existen muchísimas palabras que cayeron con el paso de tiempo en desuso, algunas que representan dialectalismos, o algunas que tienen la área muy limitada de su uso.

Parte principal

Todas las transformaciones que sufre el léxico del idioma no son momentáneas, tampoco son generales. No existe ni una palabra que en un día apareciera o cambiara otra y la última desde el momento de su aparición terminara de existir o fuera retirada del uso. Todas las palabras coexisten en el sistema lingüístico durante la existencia de la lengua, con lo que crean el polimorfismo – diferentes palabras se usan para determinar los mismos objetos.

Poniendo un criterio sincrónico nos interesa el estado actual del sistema léxico del español. Partiendo del mismo criterio todo el caudal léxico se suele dividir en activo y pasivo (latente).

Las palabras más corrientes de una época determinada constituyen el léxico activo del cualquier idioma. El resto del vocabulario entra en el léxico pasivo. El léxico activo comprende palabras usadas por todo el pueblo, representa todos los estilos y sirve para todas las situaciones. El latente comprende tanto las palabras nuevas (neologismos) como las que cayeron en desuso (arcaísmos). Voces que constituyen el vocabulario individual de carácter profesional pertenecen también al léxico pasivo.

La formación de palabras no se puede igualar con su naturaleza morfológica; así también es natural, que no podemos igualar los principios del análisis morfológico con el análisis de los procesos de formación de palabras en español. Entre ellos existe la diferencia significativa.

Cuando nosotros empezamos a examinar el tema morfológico, tenemos que destacar todas las partes principales de que se comprende. Por ejemplo, escojamos la palabra inevitable, en la cual podemos destacar el prefijo *in-*, el que semánticamente está relacionado con los demás componentes, la raíz evitable y el sufijo *-able*. El análisis de dicha palabra debe limitarse con la relación determinada entre el prefijo y la raíz de la palabra derivada

(*in+evitable*). Caben ser mencionados también los adjetivos como: *intolerable, irresistible*, las que podemos comparar con otras palabra sin el prefijo no se encuentran en español, como son por ejemplo: *incansable, imperdible o impermutable*. A pesar de que podemos ver claramente que la estructura morfológica de esas palabras totalmente coincide con las arriba citadas, su análisis, desde el punto de vista de su formación, debe realizarse de otra manera. *Intolerable, irresistible e inexcusable* y otras semejantes son palabras de formación prefijal derivados de los adverbios *tolerable, excusable, resistible, evitable*, mientras que *incansable, imperdible o impermutable* son derivados de la raíz del verbo por medio de la derivación prefijo-sufijal.

De los ejemplos presentados podemos ver que en el análisis morfológico, principalmente destacamos el tema, su segundo etapa es encontrar el tema, s el último es posible dividir, (*re-ha-cer*), con todo eso también se necesita determinar la raíz derivativa y todos los componentes, con los cuales se forma la palabra. Por lo tanto el elemento principal del análisis de formación de palabras representa el tema derivativo. Según el proceso de formación de palabras el carácter del la raíz puede cambiarse en los límites de prefijación, como señalaba N. Arutyunova, el tema derivativo representa en sí ya la palabra formada.

Para ver la diferencia entre los principios del análisis morfológico y de formación de palabras, podemos acudir a los ejemplos españoles. Para eso podemos comparar los adjetivos de una estructura, que inevitablemente crean una cadena: *desapercibido, desamigado, descarnado, descabezado, desabrigado, desabrochado, destronado*. La coincidencia morfológica que existe entre estas palabras es compatible con la diferencia de la estructura de formación de palabras.

La palabra *desapercibido* procede del adjetivo al que se añade el prefijo *des-*. El análisis de

formación de palabras se realiza mediante el modelo siguiente: *des+apercibido*. Los adjetivos descarnado, descabezado representan los participio del verbo descarnar y descabezar, que son adjetivados. Por lo tanto no se puede el análisis de esas palabras no debe consistir principalmente en su segmentación. Los adjetivos desmigado, desilusionado o desafectado, al revés, en el sistema léxico del español no están relacionados ni con verbo tampoco con adverbio. Dicho adverbio está formado de la raíz nominal por medio de sufijo-afijal: *des+mig+ado, des+ilusión+ado*. N. Arutyunova en su caso señalaba que durante el análisis morfológico se destacan los formantes mediante la comparación de los derivados comparados. Por ejemplo, el elemento *des-* en todas las palabras citadas se puede destacar de la cadena existente: deshacer, desconfiar, destronar, desencadenar, desdichado, desconsolado, etc., los que se componen de esas palabras, donde *des-* lleva el matiz negativo y privativo. Durante el análisis de formación de palabras cuando segmentamos las partes de la raíz derivativa, tenemos que tomar en cuenta las raíces determinadas por las cuales las palabras están organizadas y agrupadas en una raíz. Por ejemplo, descarnado corresponde al verbo descarnar, mientras que el *desapercibido* pertenece al adjetivo *apercibido*.

Conclusión

Por lo tanto, podemos deducir que mediante el análisis de formación de palabras se establece la relación entre la palabra y el modelo derivativo. El objetivo del análisis morfológico en su caso, comprende en segmentar las palabras en elementos significantes y principales de la palabra y en la determinación de relación entre ellos.

El análisis de la formación de palabras siempre se basa en las construcciones ya existentes en el idioma. La división de la raíz de ese modo es posible solamente en el caso si la raíz está

formada mediante a la agrupación directa de los elementos correspondientes. Es sabido que durante el análisis morfológico en el tema se destacan todos sus elementos significantes a pesar de que pueden ellos o no entrar en relación. Por ejemplo, durante el análisis de formación de palabras no se puede descomponer las palabras tales como desuso, destrozo, perniquebrar, porque en caso de su descomposición en morfemas no se revela ninguna construcción. Mientras se hace el análisis morfológico y la calificación se debe tomarse en cuenta otro factor también, en general, que las palabras dadas se componen de los elementos, los que guardan en sí su sentido. La diferencia entre el análisis morfológico y de formación de palabras se basa principalmente en el papel semántico y funcional de los elementos componentes de palabras, basándose en los cuales podemos concluir: durante el análisis de formación de palabras se establece la relación entre la palabra y el modelo; en cuanto al análisis morfológico, su objetivo principal es su segmentación en los elementos de que se componen, a pesar de que se establece o no la relación entre ellos.

Literatura

1. Alvar Ezquerro M/ (1993): *La formación de palabras en español*. Arco/Libros. Madrid
2. Valera Ortega (1990): Soledad: *Fundamentos de morfología*. Madrid. Síntesis
3. Новое в лингвистике, сост. В. А. Звегинцевым (1963): Изд. «Иностр. лит-ра, М. т. III, гл. Е. Косериу. “Синхрония, диахрония и история”. Москва
4. Н. Д. Арутюнова (1961): «Очерки по словообразованию в современном испанском языке». Издательство Академии Наук СССР. Москва

მორფოლოგიური და სიტყვათწარმოებითი ანალიზის ურთიერთქმედებისათვის თანამედროვე ესპანურ ენაში

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზირი 36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ.: 891 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

რეზიუმე

სიტყვის წარმოება არ შეიძლება გავაიგიოთ მის მორფოლოგიურ ბუნებასთან; ასევე, ბუნებრივია, ვერ იქნება გაერთმნიშვნელიანებული მორფოლოგიური და სიტყვაწარმოების პრინციპების ანალიზი. მათ შორის არსებობს არსებითი სხვაობა. ტრანსფორმაციები, რომელსაც განიცდის ესპანური ენის ლექსიკა, არ არის ძირითადი და მომენტალური: არ არსებობს არცერთი სიტყვა, რომელიც ერთ დღეში გაჩნდება იმისათვის, რომ რომელიმე სხვა სიტყვა შეცვალოს და ეს უკანასკნელი იმ მომენტიდან (ახალი სიტყვის შემოსვლის მომენტიდან) შეწყვეტდა თავის არსებობას და ამოღებული იქნებოდა ხმარებიდან. სიტყვები, როგორც ეს ხდება ლინგვისტურ სისტემაში, ენის არსებობის განმავლობაში თანაარსებობენ, რითაც ქმნიან პოლიმორფიზმს (მრავალფეროვნებას) – სხვადასხვა სახელები გამოიყენება ერთი და იმავე საგნისა თუ მნიშვნელობის აღსანიშნავად.

ფუძის მორფოლოგიის გარჩევისას, როგორც წესი, უნდა გამოვეყოთ მასში შემავალი ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი. მაგალითად, სიტყვაში *inexcusable* შეიძლება

გამოვეყნოთ პრეფიქსი in-, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებულია ყველა მომდევნო კომპონენტთან, ფუძე -excus- და მოდელური პასიურობის მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი -able.

სიტყვაწარმოებითი ანალიზი გულისხმობს დროს კავშირს სიტყვასა და მოდელს შორის, ხოლო მორფოლოგიური ანალიზის მიზანი მდგომარეობს სიტყვის ყველა შემადგენელი ნაწილის გამოვლენაში, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი ურთიერთკავშირში.

საკვანძო სიტყვები:

მორფოლოგიური ანალიზი, დერივაცია, ფუძე, სიტყვაწარმოება, სუფიქსი, აფიქსი, სინქრონია, დიაქრონია, ლექსიკა, ნაწარმოები.

Взаимодействие морфологических и словообразовательных аспектов в современном испанском языке

Кобешавидзе Марина

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел: 891 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

Резюме

В статье затронут вопрос взаимодействия морфологического и словообразовательного аспектов в современном испанском языке.

Разница между морфологическим и словообразовательным анализом слова заключается, прежде всего, в семантической и функциональной роли составных элементов слова. Во время словообразовательного анализа устанавливается связь между словом и словообразовательной моделью; цель морфологического анализа – выявление всех значимых составных элементов слова, несмотря на то, устанавливается ли между ними взаимосвязь.

Ключевые слова:

Словообразовательный анализ, морфологический анализ, основа, синхрония, диахрония, лексика, суффикс, префикс, словообразование.

ქართული ზმნის სპეციფიკა და თარგმანის ადეკვატურობა

დარეჯან ლაბუჩიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოსოფიისა და სოციალურ

მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

ჯ. ბაგრატიონის ქ. №6, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 891 605 948

E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr;

dodolaboutchidze@mail.ru

რეზიუმე

ყველა ენა ფლობს საერთო კატეგორიებს (სახელი, ზმნა, ზედსართავი და ა. შ.), ამავდროულად, თითოეული მათგანი აღბეჭდილია გრამატიკულ ელემენტთა ისეთი კომპოზიციით, რომლის კანონზომიერებებიც მის ინდივიდუალობას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახის ტექსტის უცხოური ენიდან, მათ შორის ფრანგულიდან ქართულად თარგმნისას გათვალისწინებული უნდა იქნას, ერთი მხრივ, ის ვითარება, რომ ქართულში ზმნას უფრო მეტი ფორმების შეთავსების უნარი აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, ფრანგული ზმნა თავისებურია, დროთა ფუნქციებისა და ქრონოლოგიური მიმართებების მრავალმხრივობით გამოირჩევა, რაც სათანადოდ უნდა აისახოს სემანტიკური და სტილისტური ადეკვატურობის დაცვაში.

საკვანძო სიტყვები:

ზმნა, კატეგორია, ადეკვატურობა, პირის ნაცვალსახელი, თარგმანი, ადრესატი, კომუნიკაციური ეფექტი, სემანტიზაცია, სპე-

ციფიკა.

შესავალი

მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით და აზრის გამოხატვის საშუალებებით, ზმნა ფაქტობრივად „ყველაზე რთული და ტევადი, ყველაზე კონსტრუქციული კატეგორიაა“ (1:422). მართალია, ფრანგული ზმნა მდიდარია ენობრივი გამოხატვების ფორმებით, მაგრამ ექსპრესიულობის მხრივ იგი ქართულ ზმნას ვერ შეედრება. არ არსებობს ფრანგული ზმნის არცერთი ისეთი ნიუანსი, რომლის ზედმიწევნით ზუსტად და ნათლად გადმოცემა ქართულ ზმნას არ შეეძლოს.

ა. შანიძის აზრით, „ქართული ენის ბურჯი ზმნაა და არა სახელი. გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია. ზმნას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლენა; როგორც სუბიექტისათვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან აქტიური, პასიური); როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვისი მეშვეობით შესრულებული; როგორც მდგომარეობა და როგორც პროცესი, დინამიკა“ (6:11). ფრანგულ ენაში ხსენებული ფორმები მხოლოდ აღწერილობითი ფორმით შეიძლება გადმოიცეს.

ქართულ ენაში წინადადების ხერხემალი და რეგულატორი ზმნაა. ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული უფრო ზმნით ლაპარაკობს, ზმნებით მეტყველებს, ვიდრე მეტყველების სხვა ნაწილებით [...] მარტო ზმნა არის აზრის გამომხატველი, [ზმნა] დედა ძარღვია, ჩვენი მეტყველებისა [...] სული და გულია მისი“ (8:52; 70-71). ზმ-

ნის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, ილიასეული შეფასება ნათლად მიუთითებს ქართული ენის „ზმნურ“ ბუნებაზე; ეს ვითარება თარგმანის პრაგმატული ეკვივალენტურობის აუცილებელი პირობაა, რადგან „კომუნიკაციური ეფექტი მაშინაა სრულყოფილი, როცა იგი აზრისათვის უფრო მეტად გარანტირებული დამაჯერებლობის მინიჭების მიხნით თარგმანის ადრესატს მიეწოდება მისთვის ჩვეული ენის ნორმებში“ (5:57).

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივია, თავმანშიც დაცული უნდა იყოს ქართული ზმნის გრამატიკული ბუნება, მისი თავისებურება; შესაბამისად, თარგმნისას უნდა გამოვდიოდეთ ზმნის „მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურებიდან თვით ქართულ ენაზე“ (7:69-70). ქართული ზმნის ერთ-ერთი ასეთი თავისებურება გახლავთ ის, რომ ქართულ წინადადებაში ზმნა გადმოსცემს პირსაც ამ უკანასკნელის მოუხსენიებლად. ევროპულ ენებში საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს – ევროპული ენების წინადადებაში საკითხს წყვეტს პირი, რომლის გარეშეც წინადადების აზრი ვერ იქნება ზუსტად გადმოცემული.

ქართულში ზმნის ფორმით იგულისხმება როგორც პირველი, ისე მეორე პირის ნაცვალსახელები, ამის გამო ისინი ხშირად გამოტოვებულია ქართულ თარგმანში. თქმულის უგულებელყოფა იწვევს ტავტოლოგიას, რაც თარგმანს არაბუნებრივ იერს სძენს; მაგალითად,

Je ne dispute pas maintenant de cela, je ne puis pas donner mon jugement que des choses qui me sont connues: je connais que j'existe et je cherche que je suis, moi que je connais être (4:134).

„*მე* არ ვკამათობ ახლა ამ საკითხზე, *მე* შემძლია მსჯელობა გამოვთქვა მხოლოდ იმის შესახებ, რაც ცნობილია ჩემთვის: *მე*

ვიცი, რომ ვარსებობ, და *მე* ვიკვლევ, როგორი ვარ *მე* რომელიც, როგორც ვიცი, ვარსებობ“ (3: 15).

რაკი ქართული ზმნის ფორმით პირის ნაცვალსახელი ცალსახად იგულისხმება, ჩვენი აზრით, სავსებით ცხადი და სტილისტურად ბევრად უფრო დახვეწილია იმავე ფრაზის შემდეგი თარგმანი:

„ახლა ამაზე არც ვკამათობ, ვიმსჯელებ მხოლოდ იმ ნივთებზე, რომლებიც ჩემთვის ცნობილია. შეცნობილი მაქვს, რომ *მე* ვარსებობ; ვიკვლევ – რა ვარ ეს „მე“, რომელიც ვიცი“ (2: 118).

კონტექსტის მიხედვით, ქართულად თარგმნილ ტექსტში, ზმნები (როგორც მრავლობით, ისე მხოლოდობით რიცხვში) შეიძლება გადმოვიტანოთ მეორე ან მესამე პირის ნაცვალსახელის გარეშეც; მაგალითად,

...si vous frappez dessus, il rendra quelque son (4:135). „და თუ *თქვენ* დაარტყამთ მას [სანთელს] ზევიდან, *ის* გამოსცემს ბგერას“ (3: 19).

ამ წინადადებაში ზმნის ფორმით სავსებით ნათლად იგულისხმება პირიც და რიცხვიც; თარგმანში (ნაცვალსახელების „თქვენ“, „ის“) წარმოდგენა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ტექსტის ფონზე ისიც ცხადია, რომ საკითხი ეხება სანთელს, ამდენად, ჩვენი აზრით, ჯობს, იგივე წინადადება ითარგმნოს შემდეგნაირად: [სანთელს] „თუ დაარტყამთ, ბგერას გამოსცემს“ (2: 120).

თარგმნისას იგივე მოთხოვნა ვრცელდება მიმართებით ნაცვალსახელზეც: ფრანგულის მიბაძვით ყოველი ზმნის წინ მიმართებითი ნაცვალსახელის გამეორება არ შეესაბამება ქართული ზმნის ბუნებას, თხრობის სტილს კი არაბუნებრივ ელფერს სძენს. **qui doute, qui entend, qui conçoit, qui affirme, qui nie, qui veut, qui ne veut pas, qui imagine aussi et qui sent** (4:135). „...*რომელიც*

ეჭვობს, რომელიც გაიგებს, რომელიც მიხედვება, რომელიც ჰოპყოფს, რომელიც უარყოფს, რომელსაც სურს, რომელსაც არ სურს, რომელიც აგრეთვე წარმოისახავს, და რომელიც გრძნობს“ (3: 16-17).

ვფიქრობთ, აზრი სავესებით ნათელია იმავე წინადადების შემდეგი სახის თარგმანში: „რომელიც ეჭვობს, გებულობს, შეიმეცნებს, ამტკიცებს დადებითად, უარყოფს, სურს, არ სურს, წარმიდგენს და გრძნობს“ (2:119).

მსგავსი ვითარებაა ე. წ. ნაცვალსახელოვანი ზმნების შემთხვევაშიც. ქართულ ზმნას იმანენტური საშუალებებით შეუძლია გამოსატოს ფრანგული ნაცვალსახელოვანი ანუ უკუქცევითი ზმნის ორივე (ქვემდებარე და დამატება) პირი, რის შესაძლებლობასაც ფრანგული ზმნა მოკლებულია. თუმცა პირის ნაცვალსახელთან მიმართებით აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფის ფაქტებიც ხშირია ქართულ თარგმანში, რასაც მოხმობილი მაგალითიც ცხადყოფს; მაგალითად, ...**au contraire, toutes les fois que je me tourne vers les choses que je pense concevoir fort clairement, je suis tellement persuadé par elles, que de moi-même je me laisse emporter à ces paroles** (4:146). „და პირუკუ, ყოველთვის, როდესაც მე მივიქცევი ხოლმე იმ საგნებისაკენ, რომლების შესახებ ვფიქრობ, რომ მე მათ ძალიან ნათლად შევიცნობ, იმდენად დარწმუნებული ვარ ამ საგნების მიერ, რომ მე ვაძლევ ნებას გამოტაცოს შემდეგმა სიტყვებმა“ (3:28).

ამ ფრაზის თარგმანში შეიძლება ზმნისა და ზმნური შესიტყვების ადეკვატურად გადმოტანა ქართულად. პირის ნაცვალსახელის სამჯერ გამეორება სტილისტურად ამძიმებს ფრაზას ქართულ თარგმანში პირის ნაცვალსახელის გარეშე შესაძლებელია შენარჩუნებული იქნეს ნაცვალსახელოვანი ზმნის სემანტი-

კური ნიუანსიც და, რაც მთავარია, აზრობრივი ადეკვატურობა, მაგალითად, ასეთი თარგმანის შემთხვევაში: „და პირიქით, ყოველთვის, როდესაც ვუბრუნდები თვით ისეთ ნივთებს, რომელთაც მგონია ძალზე ნათლად აღვიქვამ, ისინი ისე ღრმად მარწმუნებენ, რომ უნებურად წარმოვოქვამ ამ სიტყვებს“ (2:127).

ნაცვალსახელოვანი ზმნების შემთხვევაში თარგმანის სირთულეს აპირობებს ის სპეციფიკაც, რომ ქართული ღარიბია უკუქცევითი ნაცვალსახელებით და ამ მხრივ დიდად განსხვავდება ფრანგულისაგან. როდესაც ფრანგული უკუქცევითი ზმნის მნიშვნელობას ქართული ზმნის იმანენტური საშუალებები არასაკმარისად ან არაცხადად გამოხატავს, სემანტიზაციის მიზნით თარგმანში სუბსტანტიური წარმოშობის უკუქცევითი ნაცვალსახელი – „თავი“ – გამოიყენება. **Il faut donc seulement ici que je m'interroge et me consulte moi-même pour voir si j'ai en moi quelque pouvoir et quelque vertu au moyen de laquelle je puisse faire que moi, qui suis maintenant, je sois encore un moment après** (4: 165) „მაშასადამე საკმარისია აქ მხოლოდ დავკითხო ჩემს თავს და მოვითხოვირთ მასთან, რათა დავინახო, მაქვს თუ არა რაიმე ძალა ან უნარი, რომლის საშუალებითაც შემეძლოს ვქნა ისე, რომ მე, რომელიც ახლა ვარსებობ, ერთი წუთის შემდეგაც ვარსებობდე კიდევ“ (3:46).

მოხმობილ მაგალითში უკუქცევითი ზმნის სემანტიზაციის წარმოსაჩენად ნაცვალსახელი სწორადაა შერჩეული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართულს მეტად შეესაბამება იმავე ფრაზის შემდეგი თარგმანი: „სწორედ ამიტომ ახლა საკუთარ თავს უნდა ვკითხო – გამაჩნია თუ არა რაიმე ძალა, რომლის მეშვეობითაც შევძლებ, რომ მე – ამჟამად მეოფი – ცოტა ხნის შემდეგაც ვიყო“ (2:140).

ანდა მაგალითად, ...**mais peut-être aussi que je suis quelque chose de plus que je ne**

m'imaginer pas (4:161). „მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, რომ მე ვიყო რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე *მე ვფიქრობ ზემს თავზე*“ (3:43).

იგივე წინადადება ძალზე სადად შეიძლება ითარგმნოს, მაგალითად, ასე: „შესაძლოა, იმაზე მეტი ვარ, ვიდრე *მე მგონია საკუთარი თავი*“ (2:13).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში განსაკუთრებით ხშირია უქვემდებაროდ ხმარება ისეთი ზმნებისა, რომლებიც ადამიანის [საერთოდ, სულიერის] ჯანმრთელობის ვითარებასა და მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოვლენებს გამოხატავს; მაგალითად, „მღვიძავს“ (და არა – „მე მღვიძავს“), „მძინავს“ (და არა – „მე მძინავს“) და ა. შ.

ფრანგულ ენაში ხშირია ამა თუ იმ ზმნით ნაწარმოები შესიტყვება; მათი უმრავლესობა ქართულად ერთი ზმნით ითარგმნება. სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევაში კალკი მძიმე ფორმას იღებს ქართულად ნათარგმნ ფრაზაში, რადგან ყოველ ენას რეალობასთან მიმართების და დენოტატურ დონეზე მისი აღნიშვნის საკუთარი ხერხი და ფორმა აქვს; ის, რაც გასაგები და ბუნებრივია ფრანგისათვის, ქართველისათვის უცხოა; გარდა ამისა, არასწორად შერჩეული ზმნა აფერხებს აზრის წვდომას და უარყოფითად აისახება თარგმანზე. მაგალითად, ზმნური შესიტყვება „avoir de progrès“. **Et il est très manifeste qu'en cela il ne peut y avoir de progrès à l'infini** (4:166). „და ფრიად ნათელია, რომ ამ საკითხში შეუძლებელია *ადგილი ჰქონდეს პროგრესს* უსასრულობამდე“ (3:48). თარგმანის ჩვენ ვერსია ასეთია: „ცხადია, შეუძლებელია ეს *დაუსრულებლად გაგრძელდეს*“ (2:141).

დასკვნა

ამგვარად, გაანალიზებული წინადადებები მოხმობილ იქნა იმის დასტურად, რომ უცხოური ენიდან ქართულად თარგმნისას სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს დე-

დაენისა და უცხოური (ფრანგული) ენის მიმართებას ზმნის პირთან დაკავშირებით; გათვალისწინებული უნდა იქნას ქართული ზმნის მრავალპირიანობა და უფრო მეტი კატეგორიის შეთავსების უნარი, ვიდრე ეს ახასიათებს ზმნას ფრანგულ ენაში; ქართულ ზმნას შეიძლება ახლდეს სხვადასხვა პირის ნაცვალსახელი, მაგრამ ქართული ზმნის ერთსა და იმავე ფორმას ნაცვალსახელის დაუხმარებლადაც შეუძლია გამოხატოს პირი, თანაც არა ერთი, არამედ ორიცა და სამიც იმის მიხედვით, თუ როგორი აგებულებისაა (აბსოლუტური თუ რელატიური) ზმნა.

ლიტერატურა

1. Абакумов С. И. (1954): Методика пунктуации. Москва
2. Вандриес Ж. (1937): Язык, Лингв. Введение в историю. Москва
3. Влахов С., Флорин С. (1980): Непереводимое в переводе. Москва
4. Descartes (1990): Méditations métaphisiques. Paris. LGF
5. დეკარტი რ. (2001): მეტაფიზიკური მედიტაციები. ნეკერი. თბილისი
6. დეკარტი რ. (1955): მეტაფიზიკური განაზრებანი, მეცნიერება. თბილისი
7. კვაჭაძე ლ. (1966): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. განათლება. თბილისი
8. Крипке С. (1982): Тожество и необходимость. Москва
9. Martinet A. (1960): Quelques traits généraux de la syntaxe. Paris
10. ნათაძე ნ. (1986): სიტყვა და სახე. მეცნიერება. თბილისი

Specifics of a Georgian verb and translation adequacy

Darejan A. Laboutchidze
Grigol Robakidze State University
Department Of Philosophy And Social Sciences
6, Bagrationi St., Tbilisi, Georgia
Tel.: 891 605 948
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr;
dodolaboutchidze@mail.ru

Abstract

In the present article it is remarked that all languages possess common categories [Noun, verb, adjective, etc.]. At the same time, each of them is marked with such composition of grammatical elements, rules of which condition its individuality. In translation of any text from foreign, for example, French language, should be considered, from the one hand, that the Georgian verb has ability of more category compatibility, and from the other hand, the French verb meaning on the basis of time functions and chronological addresses, should be properly reflected in Georgian language, keeping semantic and stylistic adequacies.

Keywords:

Verb, pronoun, category, adequacy, translation, recipient, communicative effect, semantization, specificity.

Специфика грузинского глагола и адекватность перевода

Лабучидзе Дареджан Акакиевна
Институт философии им. Г. Робакидзе
Отдел истории грузинской и иностранной философии
ул. Багратиони № 6, Тбилиси, Грузия
Тел.: 891 605 948
E-mail : dodolaboutchidze@yahoo.fr;
dodolaboutchidze@mail.ru

Резюме

В статье подчёркивается, что все языки имеют общие грамматические категории (имя, глагол, имя прилагательное и т. д.), однако, каждый язык запечатлён такой композицией, грамматические элементы которой определяют его индивидуальность. Следовательно, при переводе с иностранного языка, в том числе с французского на грузинский, надо учитывать особенность лиц грузинского глагола и возможность совмещения многих категорий. Осознав временные функции и хронологии характерных для французских глаголов, нужно определить в каком случае какое грамматическое время использовать и передать семантически и стилистически адекватно на грузинский язык.

Ключевые слова:

глагол, местоимение, категория, адекватность, перевод, адресат, коммуникативный эффект, семантизация, специфика.

სიმეტრიული და კომპლემენტარული კომუნიკაცია

თამარ მაჭავარიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175 თბილისი, საქართველო
ტელ: 877 434 980

E-mail: tamar_matchavariani@yahoo.com

რეზიუმე

კომუნიკაციური ურთიერთქმედების ეფექტურობა განპირობებულია შეტყობინების გამგზავნის მიერ კოდირებული შინაარსისა და მიმღების მიერ დეკოდირებული შინაარსის თანხვედრით. ვინაიდან კომუნიკაცია თავისი არსით დიალოგური ხასიათისაა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ვლინდება კომუნიკანტთა დიალოგში რეალიზებული ურთიერთობები და რა გავლენას ახდენენ ისინი დიალოგის ინტენციონალურ ორგანიზებაზე. კომუნიკანტთა შორის ურთიერთობის ხასიათი ვლინდება დიალოგის სხვადასხვა ეტაპზე კომუნიკანტთა კონსოლიდაციაში ან კონფრონტაციაში, რაც განაპირობებს კომუნიკაციის მიმდინარეობას კოოპერაციის ან კონფლიქტის გზით. კომუნიკანტთა შორის ურთიერთობების ხასიათის მიხედვით კომუნიკაცია შეიძლება იყოს სიმეტრიული ან კომპლემენტარული.

საკვანძო სიტყვები:

სიმეტრიული კომუნიკაცია, კომპლემენტარული კომუნიკაცია, კომუნიკაციური პროცესი, დიალოგი.

შესავალი

კომუნიკანტების ურთიერთდამოკიდებულება კომუნიკაციის ხასიათისა და მსვლელობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, ხოლო ამ ურთიერთდამოკიდებულების ხასიათიდან გამომდინარე, ეწყობა დიალოგის სტრუქტურა, მისი განხორციელების საშუალებები, დისტანცია კომუნიკანტთა შორის და თითოეული მათგანის სურვილი, შევიდეს დიალოგში.

მოსაუბრეთა მიერ ერთმანეთის ინტენციების ადეკვატური გაგება და მათზე რეაგირება დიალოგის ერთ-ერთ მათგანიზე მდებარე მდებარე გვევლინება. დიალოგის ინტენციონალურ მოწყობაში ურთიერთგაგება ვლინდება ურთიერთშემავსებელი ინტენციების გამომხატველი რეპლიკების შეწყობილობაში (წყვილადობაში). რეპლიკების შეწყობილობა მიუთითებს იმაზე, რომ მოსაუბრეები ინტენციონალური ქვეტექსტის ამოცნობას ახერხებენ, რაც განაპირობებს ურთიერთგაგებას და კომუნიკაციის წარმატებას. არასაკმარისი ურთიერთგაგების შემთხვევაში თავს იჩენს კომუნიკაციის შეფერხება, ხოლო ურთიერთგაგების სრული არარსებობის შემთხვევაში – კომუნიკაციის სრული წარუმატებლობა.

დიალოგის მონაწილე სუბიექტთა (მოსაუბრეთა) შორის ურთიერთგაგების ხარისხი დიდწილადაა დამოკიდებული მათ შეტყობინებებში კოდირებულ ინტენციათა გაგების ხარისხზე. ინტენციათა გამოსატვა და ამოცნობა საფუძვლად უდევს სამეტყველო ურთიერთქმედებას, ერთობლივ ქმედებათა განხორციელებას, ურთიერთგაგების დამყარებასა და კომუნიკაციის საბოლოო მიზნის მიღწევას.

ძირითადი ნაწილი

ხშირად მოსაუბრეზე ორიენტირებული ინტენციების ქვეტექსტი შენიღბულია და საუბარის დროს ვლინდება არა თანმიმდევრულ რეპლიკებში, არამედ უფრო გრძელ დიალოგურ მონაკვეთებში. შესაბამისად, პარტნიორთა ნამდვილი ჩანაფიქრის გამომხატველი მეტყველების შინაგანი, სიღრმისეული ინტეციონალური ქვეტექსტის ადეკვატური გაგება (ან არგაგება) განსაზღვრავს მათ შემდგომ ურთიერთქმედებას, საუბრის მსვლელობასა და კომუნიკაციის ეფექტურობას. პარტნიორთა ურთიერთობის ხასიათი, რომელიც ვლინდება დიალოგის სხვადასხვა ეტაპზე მათ კონსოლიდაციაში ან კონფრონტაციაში, განსაზღვრავს საუბრის მსვლელობას კოოპერაციის ან კონფრონტაციის ვითარებაში.

კომუნიკანტთა შორის ურთიერთობის ხასიათის მიხედვით კომუნიკაცია შეიძლება იყოს სიმეტრიული ან არასიმეტრიული, ანუ კომპლემენტარული. ეს ნიშნავს, რომ კომუნიკანტთა შორის ურთიერთობა შეიძლება აიგოს ორგვარად:

1) თანასწორობის საფუძველზე, როდესაც დიალოგში მონაწილე კომუნიკანტები ცდილობენ ერთმანეთის ქცევის კოპირებას, ანუ მათი ურთიერთობა სიმეტრიულია და, შესაბამისად, განსხვავებები მინიმუმამდეა დაყვანილი;

2) განსხვავებულობის საფუძველზე, როდესაც ერთი კომუნიკანტის ქცევა ავსებს მეორის ქცევას, ანუ მათ შორის ურთიერთობა კომპლემენტარულია და შესაბამისად, განსხვავებებიც მაქსიმალურია.

სიმეტრიულ კომუნიკაციას ახასიათებს მასში მონაწილე სუბიექტთა სრული თანასწორობა, ან მათ შორის მინიმალური განსხვავებულობა. ამ დროს კომუნიკანტები ერთმანეთთან უშუალოდ ურთიერთქმედებენ ან დისტანციურად, კავშირის ტექნიკური საშუალებების (ტელეფონი, ტელეგრა-

ფი, ინტერნეტი და ა. შ.) მეშვეობით. ასეთია კომუნიკაცია არაფორმალურ ჯგუფში, ოჯახში, შემთხვევით სიტუაციაში და სხვ., როდესაც კომუნიკაციის მონაწილე სუბიექტები მეტნაკლებად თანასწორუფლებიან პარტნიორებად გვევლინებიან.

კომპლემენტარულ კომუნიკაციაში ერთი სუბიექტის ქცევა ავსებს მეორის ქცევას და ამ დროს გამოიყოფა ორი განსხვავებული დონის პოზიცია. ერთი პარტნიორი უფრო მაღალ, დომინანტურ პოზიციაშია, ხოლო მეორე – შედარებით დაბალ, დამთმობ, დამოკიდებულ პოზიციაში. ამ ტიპის კომუნიკაცია გულისხმობს სუბიექტებს შორის რაიმე ფორმალური სტატუსით განპირობებულ ურთიერთობებს. კომუნიკაციურ პროცესში კომპლემენტარული ურთიერთობები შეიძლება განპირობებული იყოს სოციალური ან კულტურული გარემოთი (მაგ., ურთიერთობები დედასა და ჩვილს, ექიმსა და პაციენტს, მასწავლებელსა და მოსწავლეს, უფროსსა და ქვეშევრდომს, მყიდველსა და გამყიდველს, სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლ ოფიციალურ პირებს შორის), ან კონკრეტულ კომუნიკანტებს შორის ურთიერთობის სტილით. კომპლემენტარულ ურთიერთდამოკიდებულებაში მთავარია, რომ ამ დროს ქცევის განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშემავსებელი ტიპები აძლიერებს ერთმანეთს. თითოეული კომუნიკანტის ქცევა გულისხმობს და, იმავდროულად, არის მეორე კომუნიკანტის ქცევის მიზეზი.

როგორც სიმეტრიული, ისე კომპლემენტარული ურთიერთობები შეიძლება დაირღვეს. მაგალითად, ნორმალური სიმეტრიული ურთიერთობისას პარტნიორები ერთმანეთისადმი პატივისცემითა და ნდობით არიან განწყობილნი, თუმცა პოტენციურად არსებობს შეჯიბრებითობის, თანასწორობის დესტაბილიზაციისა და, აქედან გამომდინარე, უთანხმოებისა და კონფლიქტების

წარმოშობის შესაძლებლობა. კომპლემენტარული ურთიერთდამოკიდებულების დარღვევისას თავს იჩენს ერთი პარტნიორის მიერ მეორის პიროვნების იგნორირება (მაგალითად, როდესაც დედა თავის სრულწლოვან შვილს ბავშვივით ეპყრობა).

კომპლემენტარულ კომუნიკაციაში დომინანტური პოზიცია გამოიხატება ერთ-ერთი კომუნიკანტის სურვილში, მოიმოქმედოს (განიხილოს) რაიმე, დააფიქსიროს თავისი პოზიციები, მიიპყროს თანამოსაუბრის ყურადღება, უსაყვედუროს ან რჩევა მისცეს მას. დაქვემდებარებული პოზიცია გამოიხატება განსახილველად შემოთავაზებული თემის მიღებით, პარტნიორის თვალსაზრისზე დათანხმებით, რაიმეს შესრულების დაპირებით, მადლიერებისა და თანაგრძნობის გამოხატვით, მობოდიშებით ან მის მიმართ გამოთქმული საყვედურის საპასუხო თავის მართლებით. შესაძლებელია ნეიტრალური რეაქციაც, ანუ დომინირება-დაქვემდებარების ხაზიდან გადახვევა, რაც გამოიხატება საუბრის თემის შეცვლით, არარელევანტური საპასუხო რეპლიკებით, ხუმრობების ჩართვითა და ა. შ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომუნიკაციური ურთიერთობები სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს რეალიზებული წყვილად რეპლიკებში. შეწყობილი რეპლიკები შეიძლება აიგოს ა) კომპლემენტარული დაქვემდებარების ან ბ) სიმეტრიული დომინირების პრინციპით.

კომპლემენტარული დაქვემდებარების პრინციპით აგებულ წყვილად რეპლიკებში პირველი (საწყისი) რეპლიკა გამოხატავს პარტნიორზე ზემოქმედების მცდელობას, დომინანტური პოზიციის დაფიქსირებას. საპასუხო რეპლიკა (დაქვემდებარებული პოზიცია) გამოხატავს პარტნიორის რეპლიკაში გამოხატულ შემოთავაზებებზე, მითითებებზე და ა. შ. დათანხმებას, რაი-

მეს შესრულების დაპირებას, მობოდიშებასა და სხვ.

სიმეტრიული დომინირების შემთხვევაში წყვილად რეპლიკებში ვლინდება პარტნიორთა ერთგვარი დაპირისპირება. თუ მეორე პარტნიორი, პირველის მხრიდან წამოსული ზეწოლის მცდელობის საპირისპიროდ, საკუთარ ინტერესებს მტკიცედ, შეიძლება ითქვას, ხისტად იცავს, მის საპასუხო რეპლიკაში ფიქსირდება პოზიციის არ დათმობა, შეპასუხება, უკმაყოფილება, საყვედური პირველი პარტნიორის მიმართ, უარი მისი მითითებების შესრულებაზე.

დასკვნა

დიალოგის მონაწილეთა შორის ურთიერთობა მჭიდრო კავშირშია ურთიერთქმედების ინტენციონალურ ბაზასთან და შესაბამის ინტენციონალურ გამოხატულებას ჰპოვებს დისკურსში.

Symmetrical and Complementary Communication

Tamar Sh. Matchavariani

Georgian Technical University

Department of Languages and Communication

77 Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel: 877 434 980

E-mail: tamar_matchavariani@yahoo.com

Abstract

Effectiveness of communication depends on the concurrence of the sender's intent encoded in the content of the message and the intent of the message

decoded by the receiver. As long as communication in its essence is a dialogue, it is of great importance how the relations between the communicants reveal throughout the dialogue and how the intent is organized in the dialogue. This reveals in consolidation or confrontation of the communicants at different stages of the dialogue, therefore determining whether communication process develops in cooperative or conflicting way. Based on the relationship between the communicants, communication may be symmetrical or complementary.

Keywords:

communication process, dialogue, discourse, symmetrical communication, complementary communication

Симметричная и комплементарная коммуникация

*Мачавариани Тамара Шотаевна
Грузинский технический университет
Департамент языков и коммуникации
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 877 434 980
E-mail: tamar_matchavariani@yahoo.com*

Резюме

Эффективность коммуникации в большой степени зависит от сходства интенции отправителя сообщения закодированной в его содержании с интенцией декодированной получателем сообщения. Поскольку коммуникация по сути носит диалоговый характер, большое значение имеет как проявляются отношения между коммуникантами реализованные в диалоге и как они влияют на интенциональную организованность диалога. Характер взаимоотношений - проявляется в их консолидации или конфронтации на разных участках диалога, что определяет развитие разговора в кооперативном или конфликтном ключе. По характеру отношений между коммуникантами, коммуникация может быть симметричной или комплементарной.

Ключевые слова:

Симметричная коммуникация, комплементарная коммуникация, диалог, процесс коммуникации.

25-ე კადრის ფენომენის აკრძალვის მიზეზები

ლიანა ციმაკურიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ: 899 721 440

E-mail : lika_cimakurize@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 25-ე კადრის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. 25-ე კადრის ფენომენალური თვისებებიდან გამომდინარე მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, უარყოფითად გამოყენების შემთხვევაში ამ ფენომენით შესაძლებელია ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება და მისი ქვეცნობიერის მართვა. კეთილი განზრახვის შემთხვევაში 25-ე კადრის ფენომენი იძლევა საშუალებას მოხდეს ადამიანის ქვეცნობიერში მისი სასურველი ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა რთულად შესასწავლი ინფორმაციის ათვისება და სხვა. აღსანიშნავია რომ ამ ფენომენის ადამიანისთვის მიწოდება ხდება მასთან შეუთანხმებლად, სწორედ ეს ქმნის სამართლებრივ პრობლემას და მიზანშეწონილია მისი გამოყენების აკრძალვა.

საკვანძო სიტყვები:

25-ე კადრი, ფენომენი, ფსიქიკა, რეკლამა, ქვეცნობიერი.

შესავალი

ბევრმა არაფერი იცის ამ ფენომენის არსებობის შესახებ, სწორედ ამიტომ მინდა

ნათელი მოვფინო 25-ე კადრის არსებობას და განვიხილო მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ეს ფენომენი მუდმივი დისკუსიის საგანია. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს უაზრობაა, რადგან, მათი მტკიცებით, მაშინაც კი, როდესაც ადამიანი იმახსოვრებს, მაგრამ რეალურად ვერ აღიქვამს გადაცემულ სტიმულებს, მისი ქცევის სტილი არ იცვლება, ხოლო სხვები ამტკიცებენ, რომ ამგვარი საშუალებების გამოყენება ეფექტს იძლევა.

25-ე კადრი (სუბლიმინალური მესიჯი, რეკლამა) --- გამოგონილი მეთოდიკა ზემოქმედებს გრძნობაზე და ქვეცნობიერზე. ამ ხერხის არსი შემდეგში მდგომარეობს – ადამიანის მხედველობითი ნერვები წამში 24 კადრს აღიქვამს (განასხვავებს), სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ კადრი 1/24 წამზე ნაკლებს გრძელდება, მას ადამიანის თვალი ვერ აღიქვამს, თუმცა ქვეცნობიერად ადამიანი ამ კადრს “ხედავს”. ე.ი ადამიანს წამში შეუძლია 24 კადრის აღქმა, რომელსაც თვალი და ტვინი გარკვევით და ნათლად იმახსოვრებს. 25-ე კადრი, როგორც წესი, ზედმეტია წამში.

ძირითადი ნაწილი

ჯეიმს ვეიკერი – ამერიკელი ბიზნესმენი, გამომგონებელი და დამაარსებელია 25-ე კადრის თეორიისა. მან 1957 წელს ჩაატარა ექსპერიმენტი ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ კინოთეატრში ჩვეულებრივი კინოსეანსის დროს, როდესაც უჩვენებდნენ თრილერ “პიკნიკს“, მან დააფიქსირა 25-ე კადრის ეფექტი, დამატებითი პროექტორის დახმარებით ვეიკერმა ფარული რეკლამა გაუშვა, რომელიც ასე უღერდა: „დალიე კოკა-კოლა“, „ექვბეთ პოპ-კორნი“. ფილ-

მის დასრულების შემდეგ კინოთეატრის ბუფეტში კოკა-კოლას გაყიდვამ 17 პროცენტით, ხოლო პოპ-კორნის გაყიდვამ 50 პროცენტით მოიმატა, იმის მიუხედავად, რომ ბუფეტში არჩევანი მრავალფეროვანი იყო.

ამ ექსპერიმენტმა მითების სიმრავლე და აღწერების ტალღა გამოიწვია საზოგადოებაში. 1957 წელს ნორმან კაზინმა გამოაქვეყნა სტატია „დასვრილი ქვეცნობიერი“, სადაც წერდა თავის დასკვნას, რომ 25-ე კადრი შეიძლება გამოიყენებოდეს არამარტო პოპ-კორნის რეკლამისთვის, არამედ იდეის პროპაგანდისთვისაც. 1958 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ უარყო 25-ე კადრის გავლენა ქვეცნობიერზე. ვეიკერს 1958 წელს მოსთხოვეს წარმოედგინა ჩატარებული კვლევები რაზეც მან უარი განაცხადა, მაგრამ 1962 წელს ვეიკერს აღიარებინეს, რომ მისი დასკვნები და შედეგები გაყალბებული იყო.

25-ე კადრი არის ქვეცნობიერი აღქმის ერთ-ერთი მაგალითი. როცა ტვინი ინფორმაციას აცნობიერებს, მაშინ ირთვება კრიტიკის მექანიზმები, ინფორმაცია გადის გარკვეულ კრიტიკულ ფილტრს, ხოლო გაუცნობიერებელი აღქმის დროს ინფორმაცია გვერდს უვლის კრიტიკის ბარიერებს და ილექება ქვეცნობიერში. ამ კადრის საშუალებით ხდება ადამიანის ფსიქოლოგიაში შეღწევა და მასზე გავლენის მოხდენა, ჩვეულებრივ ადამიანი ამას ვერ ამჩნევს, ეს არის ერთგვარი ზომბირება, რომლითაც შესაძლებელია ადამიანის წარმოსახვისა და აზროვნების შეცვლა.

ამერიკელმა პუბლიცისტმა ბრაიან კიმ გამოთქვა აზრი, რომ 25-ე კადრის შესაძლებლობა დასაშვებია არამარტო კინოში ან ტელევიზორში, არამედ სურათებშიც, ნახატებშიც და სარეკლამო განცხადებებშიც კი. ის ამტკიცებდა, რომ ასეთი მეთოდიკა

გამოიყენებოდა სარეკლამო სააგენტოებში, სავაჭრო კორპორაციებში და ფედერალურ მმართველობაში.

მართალია, ვეიკერს აღიარებინეს მისი შედეგების სიყალბე და ძალიან ბევრს ეს არარეალურადაც ეჩვენება, მაგრამ ამ მეთოდებს აქტიურად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ.

25-ე კადრის ეფექტს აქტიურად იყენებენ სატელევიზიო გადაცემების დროს. მაგალითად, სავარძელში მოკალათებული უყურებ ტელევიზორში საინტერესო კინოფილმს, ხოლო ეკრანზე ხდება 25-ე კადრის ჩვენება (ეს შეიძლება იყოს კოკა-კოლის, ჩიფსის, რომელიმე სადეჰი რეზინის ან სხვა პროდუქციის რეკლამა), ფილმის მსვლელობის ან დამთავრების შემდეგ ადამიანს უჩნდება სურვილი მიირთვას ან შეიძინოს ის პროდუქტი, რომელიც მას ფილმის ყურების დროს 25-ე კადრის სახით მიეწოდებოდა.

ხშირად ხდება ამ ფენომენის არამიზნობრივად და ბოროტად გამოყენება. მაგალითად, ეკატერინბურგის ტელევიზიას ATN-ს გარკვეული პერიოდით ჩამოერთვა სამაუწყებლო ლიცენზია, რადგანაც იგი 25-ე კადრად იყენებდა ფრაზას „დაჯექით და უყურეთ მხოლოდ ATN-ს“.

ამ ხერხს იყენებდნენ არა მხოლოდ სატელევიზიო გადაცემებში, არამედ საბავშვო მულტფილმებშიც. სხვათა შორის, იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვებს მასიურად ერთსა და იმავე დროს დაემართათ ეპილეფსია და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მათ აღრე არაფერი ამდგვარი არ აწუხებდათ. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს ბავშვები მშვიდად უყურებდნენ ძალიან პოპულარულ ანიმაციურ სერიალს “პოკემონის”, სადაც ჩართული იყო სარეკლამო რგოლი 25-ე კადრის ეფექტით. მართალია, მთავრობამ არ აღიარა, მაგრამ

მასმედიაში იყო ვერსია, რომ ზუსტად ამ 25-ე კადრმა გამოიწვია ბავშვებში ეს რეაქცია.

ამ მეთოდს იყენებდნენ ჯარში, საიდუმლო აგენტებთან და მსგავს საქმეებში, ანუ ფაქტობრივ ამ მეთოდით აპროგრამებდნენ ადამიანს. ერთ-ერთ სპეცჯგუფის წვრთნის დროს სხვადასხვა ვარჯიშებთან ერთად აყურებინებდნენ ფილმს ხოცვა-ჟლეტაზე, ბავშვების მკვლელობაზე და 25-ე კადრად იყო წარწერა „მოკალი მკვლეელი, გაანადგურე!“. იმდენად ძლიერ გავლენას ახდენდა თურმე ეს მეთოდი, რომ როცა ცხოვრებაში ადამიანები რაიმე თუნდაც სულ მცირე წინააღმდეგობას შეხვდებოდნენ, მაშინვე მათ გონებაში იღვიძებდა ის “მოკალი და გაანადგურე” და ასე ხდებოდნენ ისინი ცივისსხლიანი მკვლელები.

უფრო მეტიც, მას კლინიკებშიც იყენებენ ალკოჰოლიზმისგან, ნარკომანიისგან და სხვა დაავადებებისგან, ასევე მანკე ჩვევებისგან განსაკურნად. არაეკლესიური მცდელობები - მოსკონ ალკოჰოლთან „ფსიქოლოგიური დამოკიდებულება“, იმოქმედონ სულზე - არის ან ზედაპირული, ან ოკულტური. ოკულტური მეთოდებია ქვეცნობიერზე ზემოქმედების ყველა ხერხი - როგორცაა კლასიკური ჰიპნოზი, ყბადაღებული კოდირება, 25-ე კადრის ეფექტი, მედიტაციის სხვადასხვა ფორმა და ა.შ. ყოველივე ეს მრავალსახეობაა იმისა, რასაც ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ვუწოდოთ სპეციფიკური სიტყვა - „ზომბირება“.

ამ მეთოდს აგრეთვე სასწავლო პროგრამებში იყენებენ, როდესაც დიდი მასალის დამახსოვრებაა საჭირო ან თუნდაც ენის შესწავლა. არსებობს ამ თეორიაზე აგებული სპეციალური კომპიუტერული პროგრამებიც.

1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში ტელევიზიებმა უხვად დაიწყეს 25-ე

კადრის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა რუსეთში კანონით აკრძალა მისი გამოყენება.

წინასაარჩევნო პერიოდში ბევრი პოლიტიკური პარტია თუ ლიდერი თავის სატელევიზიო რეკლამებში 25-ე კადრს იყენებს საარჩევნო აგიტაციის გაძლიერებისთვის და ამომრჩევლებისათვის საკუთარი საარჩევნო ნომრის დასამახსოვრებლად.

დასკვნა

დღეისათვის 25-ე კადრი დიდი ეფექტურობის გამო აკრძალულია. მისი გამოყენებისთვის ბევრი ქვეყნის სამართლით პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული (რუსეთი, უკრაინა, საქართველო), რადგანაც მიჩნეულია ადამიანის უფლებების დარღვევად - ტვინზე ძალდატანებით ზემოქმედებად.

ეს არის ადამიანის გონებაში სხვისთვის სასურველი ინფორმაციის ჩატვირთვა შეუმჩნეველად და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ კი. ყოველივე ეს ხელყოფს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას - მის თავისუფლებას.

ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი სარეკლამო რგოლი ან კინოფილმი შეიცავს 25-ე კადრს, რითიც ადამიანის უფლებები აშკარად ირღვევა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია მისი აკრძალვა სამართლიანად, რადგანაც იგი ანგრევს ადამიანის ქვეცნობიერს და ფსიქიკას, მასში იწვევს ფიზიკურ, ემოციურ და მენტალურ რეგრესს.

ლიტერატურა

1. http://ru.wikipedia.org/wiki/25-%D0%B9_%D0%BA%D0%B0%D0%B4%D1%80. შემოწმებულია, 12.04.2011 წ.

2. <http://www.311.ru/what.htm>. შემოწმებულ
ღობ, 12.04.2011 წ.

3. <http://www.repiev.ru/articles/25frame.htm> -
შემოწმებულღობ, 12.04.2011 წ.

The resents of prohibition 25th frame phenomenal

Liana J. Tsimakuridze

Georgian Technical University

Department of languages and communications

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel: 899 721 440

E-mail : lika_cimakurize@yahoo.com

Abstract

This article shows positive and negative sides of the 25th frame, its fenomenas and how can we use it for our porposes. Very often this fenomenon has negative influence on human subconsciousness and psyche. And when using it positively its fenomenon enables to provide person with desired information. We should mention, its impossible to use this effect without mutual consent with human, who uses it. That is judicial problem for responsibility to put a veto upon to use of it. This article shows positive and negative sides of this 25th frame.

Keywords:

25th frame, advertisement, subconscious, psychics, phenomenon

Причины запрета феномена 25-го кадра

Цимакуридзе Лиана Джумберовна

Грузинский Технический Университет

Департамент языков и коммуникации

Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 899 721 440

E-mail : lika_cimakurize@yahoo.com

Резюме

В статье обсуждены и положительные и отрицательные стороны 25-го кадра. Исходя из феноменальных возможностей, его использование возможно как в благих целях, так и наоборот. Часто этот феномен неблагоприятно влияет на психику человека и его подсознание. В благих целях феномен 25-го кадра предоставляет возможность человеку воспринимать на подсознательном уровне желаемую, в том числе сложно усваиваемую информацию. Необходимо отметить, что использование данного эффекта возможно без согласия человека, на которого направлено использование этого эффекта. Это создает правовую проблему, в связи с чем запрещено его использование.

Ключевые слова:

25 кадр, реклама, подсознание, психика, явление.

პრერომანული ლინგვისტური სუბსტრატი ესპანურ ენაში

ნინო ჭრიკიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 898 165 756
E-mail: n. chrikishvili@yahoo.com

რეზიუმე

პრერომანული პერიოდი ესპანური ენის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია და მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაციის შემდეგ, პრერომანული ენები თითქმის სრულიად გაქრა (ბასკურის გარდა), ხანგრძლივ ბილინგვურ პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია და იბერიული, ბასკური და კელტური ენების გავლენის კვალი ესპანური ენის განვითარების პერიოდებში დღესაც ამოკითხება. მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება განსაზღვრა პრერომანული სუბსტრატის როლისა ესპანური ენის ჩამოყალიბებაში როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით. პრერომანულ ენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლინგვისტური მოვლენები განხილულია სტატიაში და ახსნილია მათი გამომწვევი მიზეზები.

საკვანძო სიტყვები:

ფონოლოგიზაცია, დეფონოლოგიზაცია, პალატალიზაცია, პრერომანული აფიქსები, პრერომანული წარმოშობის ლექსიკა.

შესავალი

ენის ევოლუცია რთული პროცესია და ხასიათდება ლინგვისტურ და ექსტრა-

ლინგვისტურ ფაქტორებთან დაკავშირებული ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებებით.

ევოლუციის რამდენიმე ეტაპი გაიარა ესპანურმა ენამაც. კასტილიური (ესპანური) ენის ისტორიაში დიდ ინტერესს იწვევს პრერომანული პერიოდი, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი შესაბამის წყაროთა სიმცირის გამო. თუმცა მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელი ხდება განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პრერომანული (იბერიული, ბასკური და კელტური) სუბსტრატი ესპანური ენის ჩამოყალიბებაში და რა ლინგვისტური ცვლილებები გამოიწვია მან.

პირენეის ნახევარკუნძულზე რომანიზაციის შედეგად თითქმის მთლიანად გაქრა პრერომანული ენები (ბასკურის გარდა), მაგრამ მათ გაუჩინარებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ბილინგვური პერიოდი, რასაც მოჰყვა პრერომანული ენების არც თუ ისე მცირე გავლენა ესპანური ენის ჩამოყალიბებაზე როგორც ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თვალსაზრისით.

ესპანური ენის ფონეტიკაში პრერომანულ ენებთან დაკავშირებულია რამდენიმე მოვლენა. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს ფონოლოგიზაციის, დეფონოლოგიზაციის, ყრუ თანხმოვნების გამჟღერების და რამდენიმე თანხმოვანთჯგუფის პალატალიზაციის შემთხვევები.

ძირითადი ნაწილი

ფონოლოგიზაციის უამრავ მაგალითს ვხვდებით ლათინურ თაგვიდურ f-თან, მისი კასტილიურ ენაში დამკვიდრების პროცეს-

ში. f-ს თავკიდურის ფონემაში h-ში ტრანსფორმაციის მაგალითებია: *fermosus-hermoso* (ლამაზი), *ficu-higo* (ლელევი), *filiu-hijo* (შვილი), *facere-hacer* (კეთება), *fornu-horno* (ღუმელი). თავკიდური პოზიციისაგან განსხვავებით, f უცვლელი ფორმით გადავიდა სიტყვის შუაში: *scofina-escofina* (ქლიბი), *inferno-infierno* (ჯოჯოხეთი).

F-ფონემის ევოლუციის საკითხმა დიდი დავა გამოიწვია ენათმეცნიერთა შორის. მენენდეს პიდალი თვლიდა, რომ ეს იყო აშკარა პრერომანული სუბსტრატის გავლენა და ამის დამტკიცებას ცდილობდა ბასკურ ენაზე აღმოჩენილი წარწერებით, სადაც არ ვხვდებით ლაბიოდენტალურ f-ფონემას თავკიდურ პოზიციაში. ბასკურში f-ფონემის არარსებობას იგი ხსნიდა ბასკებისათვის ამ თანხმონის წარმოქმნის სირთულით სიტყვის თავში. მენენდეს პიდალს ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც. მათ შორის იყო კურტ ბალდინგერი, რომელმაც დაადგინა რომ f-ფონემის ამგვარ ტრანსფორმაციას ვხვდებით ბასკებისაგან მოშორებით დასახლებულ ხალხთა ენებშიც. მალე გაჩნდა კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ არ მოხდა f-ფონემის ტრანსფორმაცია ამ თანხმონით დაწყებულ ყველა სიტყვაში და რა იყო ლათინური *forte*-საგან *fuerte* სიტყვის მიღების გამომწვევი მიზეზი, მაშინ როცა *farina*-საგან მიღებულია *harina* (ფქვილი). მენენდეს პიდალის მომხრეებმა ლათინური თავკიდური f-ბგერის შენარჩუნება ახსნეს იმით, რომ ნახევარკუნძულის სამხრეთით მცხოვრები ხალხებისათვის არ იყო რთული მისი თავკიდურ პოზიციაში წარმოთქმა. მცირე იყო დღევანდელი ანდალუზიის მაცხოვრებლებზე ბასკურის გავლენაც. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც გამოთქვა რაღფ პენიმ. იგი ამტკიცებს, რომ ესპანურ ენაში h-ბგერის გამოყენება

f-ს ნაცვლად დაიწყო XV საუკუნეში და მანამდე სიტყვები –*higo,hijo, harina, hacer, horno* და ა.შ. იწერებოდა როგორც *figo, fijo, farina, fazer, forno* (ოღონდ მისი წარმოთქმა იყო არა ლათინური f-ბგერის, არამედ h-ბგერის იდენტური). ლათინური თავკიდური f უცვლელი ფორმით შემორჩა იმ სიტყვებში, სადაც მას ვხვდებით ue-ს და r-ს წინ: *fuerte* (ძლიერი), *frio* (სიცივე).

დეფონოლოგიზაციის მოვლენით აიხსნება პირენეის ნახევარკუნძულზე v-სა და b-ბგერების წარმოთქმის იგივეობა. აქ უდავოა ბასკურის გავლენა, რადგან იგივე ფონეტიკურ მოვლენას არ ვხვდებით არცერთ სხვა რომანულ ენაში. ალოგიკური იქნება იმის მტკიცებაც, რომ ამ ორი ფონემის არევა ლათინურშივე დაიწყო, რადგან არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს ენაში ორი იდენტური წარმოთქმის – ბგერის/ფონემის არსებობა. ბასკურმა ენამ არ მიიღო ლათინური v. მართალია, იგი ესპანურში გრაფიკულად გამოისახება, მაგრამ წარმოთქმით იდენტურია b-ფონემისა, სიტყვაში მისი პოზიციის განურჩევლად: *venis-vienes* [bienes] (მოდიხარ), *lavat-lava* [laba] (რეცხავს).

რომაული დაპყრობებისა და პირენეის ნახევარკუნძულზე ლათინური ენის გაბატონების შემდეგ როგორც გრაფიკულად, ასევე წარმოთქმითაც მთლიანად შეიცვალა რამდენიმე თანხმონთანა ჯგუფი: აღსანიშნავია: *pl-ll* [ლ], *cl-ll* [ლ], *fl-ll* [ლ]. მაგ: *Planu-llano* (ველი), *plicare-llagar* (მოსვლა), *plorare-llorar* (ტირილი), *clamare-llamar* (დაძახება), *clave-llave* (გასაღები), *flamma-llama* (ალი). აღსანიშნავია *pl,cl,fl* თანხმონთა ჯგუფების ტრანსფორმაციის მეორე ვარიანტიც, სადაც ყრუ თანხმონებმა კონსონანტი l იქამდე დააყრუეს, სანამ მისი გავლენით მათი პალატალიზაცია მოხდებოდა: *amplu-ancho* (ფართო), *mancla-mancha* (ლაქა). ამ

მოვლენას ადგილი ძირითადად სიტყვის შუაში აქვს. გვაქვს მაგალითები ხალხური ლათინურიდან ესპანურში უცვლელი ფორმით დამკვიდრებული სიტყვებისაც: *clavícula-clavija* (მიხაკი), *flocu-flueco* (მოგვიანებით *fleco*, ფოჩი).

თანხმოვნების პალატალიზაციას ვხვდებით II და III კონსონანტებთანაც. პრერომანული ენების გავლენით ესპანურში ხდება მათი დასუსტება, განსაკუთრებით ინტერვოკალურ პოზიციაში: *cavallo-caballo* (ცხენი), *gallu-gallo* (მამალი), *annu - año* (წელი), *canna - caña* (კათხა).

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ თანხმოვანთგუფების დასუსტება და პალატალიზაცია კელტურის გავლენით მოხდა, რადგან კელტურ ენაზე შესრულებულ წარწერებში ხშირია ინტერვოკალურ პოზიციაში მყოფი თანხმოვნების დასუსტება.

ლათინურისაგან ესპანურმა არც *p,t,k* თანხმოვნები მიიღო. პრერომანულის გავლენით (კერძოდ, საარტიკულაციო მექანიზმთან დაკავშირებული ფაქტორებით) მოხდა მათი გამჟღერება: *lupu-lobo* (მგელი), *totu-todo* (ყველაფერი), *ficu-higo* (ღეღევი), *capra-cabra* (თხა), *patre-padre* (მამა), *socra-suegra* (დედამთილი, სიდედრი).

პრერომანული ენების გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა სუფიქსებში. პრერომანული წარმოშობის სუფიქსებია: *-arro, -orro, -urr, -ieco, -ueco, -asco*: *buharro* (ყვავი), *machorro* (ცხვარი, რომელსაც სხვადასხვა დღესასწაულებზე კლავენ), *baturre* (გაუთლელი), *peñasco* (დიდი კლდე). საინტერესოა იბერიული წარმომავლობის კიდევ ერთი სუფიქსი – *etar*. სავარაუდოდ, იგი ეთნიკურობის და წარმომავლობის აღმნიშვნელია. მაგ: *arrestar* – ნიშნავს „არესში მცხოვრებს“ ან „იქიდან წამოსულ კაცს“. კელტური წარმომავლობისაა სუფიქსი *-iego*: *andariego* (მოსიარულე).

პრერომანული და ამავე დროს არაინდოევროპული წარმოშობისაა ესპანურში ფართოდ გავრცელებული პატრონიმული სუფიქსი *-ez*, რაც ნიშნავს *hijo de-ს* (ვილაცის შვილს). ამრიგად, გვარები *Fernández, Martínez, Ramírez* და ა.შ. ნიშნავს „ფერნანდოს, მარტინის და რამიროს შვილებს“. *-ez* სუფიქსის პრერომანულობას ამტკიცებს მსგავსი პატრონიმული სუფიქსის არარსებობა ლათინურში. დროთა განმავლობაში მან განიცადა ევოლუცია და დღეს მას ვხვდებით სახეცვლილი ფორმითაც: *-az, -oz, -uz*: *Muñoz, Ferraz* და ა.შ.

პრერომანული ენების გავლენით, ესპანურში დაიკარგა ლათინურის აკუზატიური (ბრალდებითი) ბრუნვის ნიშანი *-m*, რითაც შეიზღუდა სიტყვათა წყობა წინადადებაში. აკუზატიური ბრუნვის ნიშნის დაკარგვით არეული ესპანური ენის სინტაქსი დაზუსტდა მხოლოდ XV საუკუნეში, როცა ანტონიო ნებრიხამ დაქვემდებარებითი ურთიერთობის მორფოლოგიური მაჩვენებელი სიტყვიდან წინდებულში გადაიტანა.

ლათინურიდან უცვლელი ფორმით დამკვიდრდა არსებითი სახელის რიცხვისა და სქესის წარმოება. ზმნების უღლებაშიც არ შეიმჩნევა დიდი ცვლილებები. ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ მოსდევს არსებით სახელს, ინფინიტივი კი უღლებად ზმნას.

ამის უამრავი მაგალითი არსებობს „სიმღერაში ჩემ სიღზე“: *vio puertas abiertas, myos enemigos malos, piensan de aguiñar*.

მიუხედავად იმისა, რომ რომაელებმა ლათინურის გავრცელებით პრერომანული ენები გაანადგურეს, იბერიულმა სიტყვებმა მაინც უხვად მოაღწია ჩვენამდე. ჯერ მარტო 300-ზე მეტ კელტური წარმოშობის სიტყვას ასახელებს კორომინასი „ესპანური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ დამატებაში. მათი უმრავლესობაა მცენარეთა

და ცხოველთა სახელები, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტერმინები და შრომის იარაღები: abedul (არყის ხე), aliso (მურყანი), rueda (ბორბალი), colmena (სკა), Puerco (ღორი), toro (ხარი), garza (ყანხა).

კელტური წარმოშობისაა ყველა ის ტონიმი, სადაც briga-ს როგორც სუფიქსს და seg-ოს როგორც პრეფიქსს ვხვდებით: Minobriga, Segovia.

ბასკური წარმოშობის ლექსიკა უხვად შეიცავს სამოსის აღმნიშვნელ სიტყვებს და სანავიგაციო ტერმინებს: boina (ქუდი), zamarra (ცხვრის ტყავის მოსასხამი), gabarra (პატარა გემი).

დასკვნა

ხანგრძლივ ბილინგვურ პერიოდს პირენეის ნახევარკუნძულზე უკვალოდ არ ჩაუვლია; იბერების, ბასკების და კელტების ენების გავლენა ესპანური ენის არაერთ სტრუქტურაში შეიმჩნევა. ამ ენების გავლენის კვალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გავლენა ესპანური ენის ისტორიის კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

ლიტერატურა

1. ახვლედიანი ც., კობეშავიძე მ. (2009): ესპანური ენის ისტორია, “მედეა”. თბილისი
2. Penny R. (2008): Historia de la lengua española, Ariel, Barcelona
3. Lapesa R. (1986): Historia de la lengua española, Madrid
4. Corominas J. (2008): Diccionario etimológico de la lengua castellana, Gredos, Madrid

Pre-Roman Lingual Substrate in Spanish Language

Nino G. Chrikishvili

Tbilisi State University

Humanitarian Science Faculty

36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 898 165 756

E-mail: n.chrikishvili@yahoo.com

Abstract

The pre-Roman period has been one of the most important periods in Spanish language history and nowadays it causes the enormous interest among researchers. The languages which had been spoken before the arrival of the Roman had been gradually substituted by Latin (except the Basque). However, they left their traces and nowadays, the influence of the Iberian, Basque and Celtic languages has revealed in different aspects of the Spanish language. According to the obtained information we determined the pre-Roman substrate in the formation of the Spanish language, in its phonetics and grammar (morphology and syntax) and also lexic. It had been reviewed all important linguistic changes and had been showed the causative factors.

Keywords:

Phonologization, dephonologization, palatalization, the pre-Roman affixes, words of pre-Roman origin..

Пре-римский лингвистический субстрат в испанском языке

Чрикшвили Нино Гелаевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 898 165 756

E-mail: n.chrikishvili@yahoo.com

Резюме

Предримский период был одним из самых важных периодов в истории испанского языка. Даже сегодня он вызывает огромный интерес среди исследователей. Языки, на которых говорили перед прибытием Римлян, постепенно заменил латынь (кроме баскского). Однако эти языки оставили свой след и сегодня влияние иберийского, баскского и кельтских языков проявляется в различных аспектах испанского языка. Согласно полученной информации, мы

определили предримское основание в формировании испанского языка, в его фонетике, в грамматике (морфология и синтаксис), и лексике. Рассмотрены важные лингвистические изменения и объяснены каузативные факторы.

Ключевые слова:

Фонологизация, дефонологизация, палатализация, предримские аффиксы, слова предримского происхождения.

Role of Translators in Global Business

Sophiko Petelava
Georgian Technical University
Department of Languages and Communication
77 Kostava Str., 0175, Tbilisi, Georgia
Tel: 855 506 040
E-mail:sopho_petelava@yahoo.com

Abstract

This paper discusses meaning of a translator's role for achievement of good translation in any languages. There are represented some principal categories of translators. Literary translator is one of the major specialist categories of translation.. He/she must feel each word, discuss its all meaning and relate to other words according to the context. Translation is art, therefore it's necessary that translator must speak not only the foreign language but she/he must have talent of a writer. Besides literary translation there are technical, economics, business and medical translator. An important part of the translator's role is to communicate with the client on business language.

Keywords:

Translator, translation, literary translator, translator skills, global business, talent.

Introduction

“Translators are language professionals. While doing translation jobs, a translator has to assume various roles. It is said that translators take the role of a competent writer, a diplomat, a linguist and an educated amateur. Like writers, translators have to be accustomed to working long hours alone on a subject which interests few people and with a lan-

guage that few people around them know. Like diplomats, translators have to be sensitive to the cultural and social differences which exist in their languages and be capable of addressing these issues when translating. Like linguists, translators have to be capable of discerning subtleties and nuances in their languages, researching terminology and colloquialisms, and handling new developments in their languages. And like educated amateurs, translators have to know the basics and some of the details about the subjects they deal with...

Main Body

The role of a translator is not only to translate text from one language to another, it is also the responsibility of the translator to make his text move across the barriers behind which cultures have evolved specific linguistic ways of thinking and seeing, of encoding and protecting their cultures. In most countries there are professional associations for translators. These associations are formed to give advice on contracts and other matters, to embrace different kinds of translators belonging to different regions etc. Professional translators are language professionals.

Translators need a variety of skills and traits to be successful in their art. We assume that a good translator will by definition be bilingual but not necessarily true in the opposite case. A bilingual person needs certain other skills and personality traits to be a good translator. Certain requirements to be a good translator are as follows:

- A translator must be fluent in two languages and cultures.
- A translator must have a good general education besides prerequisite language skills.
- A translator also has to cultivate knowledge of the areas he works in.

- A translator must have good writing skills (above-average) in the target language.
- A translator must have excellent computer skills. He must be willing to learn new technology.
- A translator must have good business skills, which includes negotiating, pricing, marketing, and time management.
- A translator must get along well with others.
- A translator should have a deep interest to the languages he works with.

And most important of all, a translator must know his or her limitations in all of the areas mentioned above.

...The fundamental rule when the translator are not sure of a term or phrase is ask. An important part of the translator's role is to communicate with the client -- and a good translator knows when to ask questions."

□ being bilingual does not a translator make. Translators need other skills such as specialized vocabulary, familiarity with the conventions of the industry, business management skills, etc. In addition, professional translators should be working into their native language only, not into their second, third, etc. language. Using someone who is established as a professional translator is key.

□ Finding a qualified translator is the first step in procuring a quality translation, and a sloppy translation is expensive, embarrassing and time-consuming. Why not do it right the first time? Your brother's girlfriend may have studied abroad in Italy, but she's probably not the best choice to translate your annual report into Italian.

Translators are typically mother-tongue speakers of the receptor language. They interact with a translation facilitator, assimilating the nuances of the meaning of the source text, comparing them with similar concepts in the receptor language, and suggesting various possible renditions until both are satisfied with the results.

The two most important qualifications for s a translator are being able to express yourself fluently in the target language (your language of habitual use) and having on understanding of the text the translator are translating.

Literary translation is one of the four principal categories of translator. The others are economics, medical, scientific and technical, also business translator. There are also specialist field within these categories. Literary translation is not confined to the translation of great works of literatures.

Literary translation is one of the major specialist categories of translation. Literary translators translate both classical and contemporary works in any of the three main genres:

- fiction;
- drama;
- poetry.

A literary translator's main task is to provide the most accurate translation of the original work. This calls not so much for a word-for-word translation of the source text, as for an attempt to convey the author's original message and to evoke the original flavour and sentiments of the story for a foreign readership and audience. In the case of contemporary literary works, the translator usually works closely with the author. The majority of literary translators work freelance.

In common with all translators, literary translators are required to have a very good knowledge of two or more languages and cultures. They are also expected to be experts in literature, have a flair for creative writing and be aware of existing translations of the text they are working on. Becoming a successful literary translation is not easy. It's for more difficult to get established, and financial rewards at the bottom of the scale, are not excessive by any measure. Just reward is seldom given to the translator- for example, the translator of Thomas Mann's „Death in Venice" does not even get a mention. Translator's rewards in terms of royalties de-

pend on the quality and success of translation.

- the translator needs to have a feeling for language and fascination with it;
- the translator should be familiar with the original author's other work;
- the translator must be a skilled and creative writer in the target language and nearly always will be a native speaker of it;

Translation is a complex mental and physical activity of creation and authorship usually performed under a number of constraints, an output operation, the result of which is a translation, the output itself, in practice a text in a human (natural) language deemed to be equivalent to another text used as input for the operation—by a competent translator and a competent client.

It is quite likely, for example, that some other rules govern the work of professional translators whether they are aware of them or not. They may be expressed as below:

Rule 1: Every translator delivers according to the best of his ability considering the available time and other constraints

Rule 2: When a translator is in doubt, he will use authentic sources (dictionaries, previous translations, versions, anything already checked for quality), or

Rule 3: The translator will team up with a better (native) speaker and/or specialist (from client, etc.), or

Rule 4: The translator will split up work to ensure compliance with the delivery times.

Rule 5: He will observe the required consistency (over time, across document or client, market players, etc.) and

Rule 6: He will keep context in focus.

Rule 7: When it doubt, he will consult the client.

The ability to formulate strategies for translators lies at the heart of the tensions between translation studies (TS) and professional translators and between the applied and non-applied branches of

TS. It also affects the relationship which TS has with neighboring disciplines such as linguistics.

A good language translator must be able to write very well, understand the original text, and express the intended meaning clearly in the target language.

Translators play an important role in global business. They enhance communication by conveying information accurately from one language to another in different countries across the world. These translators provide different services.

Translators provide services in a number of business areas, and they specialise in specific fields. Some of the business areas in which translators play a key role are:

- Medical translators: Medical interpreters help promote communication between hospital management and patients. Medical translators also help translate patients' journals and hospital information brochures into patients' languages. Medical translators will have strong knowledge of medical and conversational terms in both languages, as well as the cultural aspect relating to how the patient receives the information.

- Localisation translators: Localisation involves the complete adaptation of a product for use in a different language and culture. A translator possesses a high degree of knowledge regarding the local users of the product. The main goal of localisation translators is to adapt the product as if it had been originally manufactured in the country where it will be sold and supported.

- Specialised business translators: Specialised business translation involves specialist translation in various fields such as, finance, economics, marketing etc. A translator will have sound knowledge of the respective businesses and markets and current events. An example of this type of service is specialised business translation in financial markets. This involves the translation of documents such as financial statements, mutual funds reports, regulatory statements and reports etc. into the target language.

Conclusion

Translators need a variety of skills and traits to be successful in their art. Many people assume that any literate person who knows more than one language can translate. Translation is a talent few people possess, although many think they do. Without an innate aptitude for translation one can go through the motions of replacing words with their equivalents in another language, but the results are likely to fall short of the intent and flavour of the original. Thus, translators play a vital role in global business.

Literature

1. A practical Guide for translator (Fourth revised edition). Geoffrey Samuelsson Brown.
2. Gorlee L. (1994): Semiotics and Problem of translation
3. Discourse and the Translator. Basil and Ian Mason. (1990): Singapore: Longman
4. Learning Vocabulary in Another Languages. Nation, I.S.P. (2001): Cambridge: Cambridge University Press
5. Rainer, S. & Biguenet, J. (eds.) (1992): Theories of Translation: An Anthology of Essays from Dryden to Derrida. Chicago: University of Chicago Press

Роль переводчика в глобальном бизнесе

Петелава Софи́ко Нугзаровна
Грузинский технический университет,
Департамент языков и коммуникации
Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел: 855 506 040
E-mail:sopho_petelava@yahoo.com

Резюме

Данная статья рассматривает важность роли переводчика для получения полноценного перевода для различных языков. Существует несколько категорий переводчиков, большинством из которых являются переводчики литературы. Они должны прочувствовать каждое слово, его значение и связь с контекстом. Перевод – это искусство, следовательно, переводчик должен не только говорить на иностранном языке, но и иметь талант писателя. Кроме литературного, существуют еще: технический, экономический и медицинский переводы. Важно, чтобы переводчик умел общаться с клиентом на бизнес-языке и был профессионалом.

Ключевые слова:

Переводчик, перевод, литературный перевод, мастерство перевода, глобальный бизнес, талант.

მთარგმნელის როლი გლობალურ ბიზნესში

სოფიკო ფეტელავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175 თბილისი, საქართველო
ტელ: 855 506 040
E-mail:sopho_petelava@yahoo.com

რეზიუმე

აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთარგმნელის როლი სრულყოფილი თარგმანის მისაღებად ნებისმიერ ენაში. არსებობს მთარგმნელთა რამდენიმე კატეგორია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ლიტერატურულ-

ლი მთარგმნელი. იგი უნდა გრძნობდეს თითოეულ სიტყვას, უნდა განიხილავდეს მის ყველა მნიშვნელობას და შინაარსის მიხედვით აკავშირებდეს კონტექსტთან. თარგმნა – ეს არის ხელოვნება, რადგან მთარგმნელი არამარტო სრულყოფილად უნდა ფლობდეს უცხო ენას, არამედ უნდა ჰქონდეს მწერლის ნიჭი და სიტყვის შეგრძნება. გარდა ლიტერატურულია, არსებობს ტექნიკური, ეკონომიკური, ბიზნესისა

და სამედიცინო ენის მთარგმნელები. უმნიშვნელოვანესია, მთარგმნელი იყოს პროფესიონალი და შეეძლოს ბიზნესის ენაზე საუბარი კლიენტთან.

საკვანძო სიტყვები:

მთარგმნელი, თარგმნა, ლიტერატურული თარგმნა, თარგმანის მნიშვნელობა, გლობალური ბიზნესი, ტალანტი.

სინონიმურ პარონიმთა ტიპები თანამედროვე ფრანგულ ენაში

ქეთევან ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანისტიკის დეპარტამენტი

იჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 899 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

ნათია აბაშიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ვეროპეისტიკის დეპარტამენტი

ნინოშვილის გამზირი 35, 6010, ბათუმი

საქართველო

ტელ: 893 456 595

E-mail: abanatia@yahoo.fr

se donner თავის გადაღება/თავის მიძღვნა). თუმცა ესეც მკაცრ სიზუსტეს მოითხოვს. პარონიმთა ტიპებში სინონიმურ პარონიმებს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ის სამ ქვეჯგუფად იყოფა: *სემანტიკური ერთიანობის მქონე სტილისტური პარონიმები* (ასევე სტილისტურ-დიაქრონიული დიფერენციაციის მქონე), *სემანტიკურად ნაწილობრივ განსხვავებული პარონიმები* და *სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები*. აღნიშნულ კვლევაში მოკლედ მიმოვიხილავთ სინონიმურ პარონიმთა ტიპებს, პარაფაზიის შემთხვევებს, განვიხილავთ ფრანგულ და ქართულ მაგალითებს, გამოვეყოფთ მათ სტრუქტურულ მოდელებს.

რეზიუმე

პარონიმია არაიდენტური გამოსატყულების მქონე განსხვავებული ან მსგავსი მნიშვნელობების სიტყვათფორმათა ერთობლიობაა. მის სპეციფიკას შეადგენს ფორმისა და შინაარსის რთული ურთიერთმიმართება, აღნიშნულს თან ერთვის მეტყველებაში გამოყენების თავისებურება. ლექსემათა მსგავსების პრობლემა, რაც მათ არასწორ შენაცვლებას უკავშირდება, არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას და შეცდომების კასკადს ქმნის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პარონიმთა ის ჯგუფი, რომლებიც ჟღერადობასთან ერთად მნიშვნელობის სიახლოვესაც ავლენს. ესენია ე.წ. სინონიმური პარონიმები. ტერმინში “სინონიმური” ვგულისხმობთ იმ პარონიმებს, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა: (fainéant / feignant ზარმაცი/უქნარა, უსაქმური; gourmand/ gourmet ჭამის მოყვარული, გურმანი / ღვინის დეგუსტატორი, გურმანი; s’adonner /

საკვანძო სიტყვები:

პარონიმია და სინონიმია, სინონიმური პარონიმები, სტილისტიკა, სემანტიკა.

შესავალი

მეტყველების პროცესში ნებისმიერ გამონათქვამს საფუძვლად უდევს რეფერენციისა და პრედიკაციის აქტების ერთობლიობა. თუმცა ხშირად ადგილი აქვს შეუთავსებლობას სიტყვის ბგერით ფორმასა და ცნობიერებაში არსებულ ცნების მნიშვნელობებს შორის, რაც განაპირობებს გაუგებრობის ფენომენის წარმოქმნას. აზრის ბუნდოვანება კი უფრო მძაფრად შეიგრძნობა, როცა ლექსემებს მნიშვნელობის მსგავსებასთან ერთად ჟღერადობის სიახლოვეც ახასიათებს. ჩვენ აქ თანადროულად ვაწყდებით ორი ძირითადი ვექტორის – სინონიმისა და პარონიმის, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივი მოვლენის გაერთიანებას სემანტიკური ნიშნის

მიხედვით, რასაც სინონიმურ პარონიმებს ვუწოდებთ. პარონიმთა (ბერძნულად *paronimos* “ახლო მდებარე, მსგავსი სიტყვები”) ურთიერთაღრევისა და კონტრამინაციის საბაბს იძლევა თვით ამ ენობრივი მოვლენის ორმხრივი სემანტიკურ-ფონეტიკური სიახლოვე. სიტყვათა სემანტიკურ სიახლოვეს სინონიმიასთან მიყვავართ, თუმცა სინონიმური მნიშვნელობები ყოველთვის არ გულისხმობს ორმხრივ ჩანაცვლებას. აქვე დავაზუსტებთ, რომ კვლევაში არ განვიხილავთ აბსოლუტურ სინონიმებს.

ჩვენი კვლევის ობიექტია ლექსიკური სინონიმები, რომლებიც შეიძლება „ურთიერთშენაცვლებადი იყოს, ე.ი. მათ შორის განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზაციას განიცდიდეს გარკვეულ პოზიციებში, მაგრამ საზოგადოდ, სინონიმია ურთიერთშენაცვლებადობას აუცილებლობით არ გულისხმობს; ამ უკანასკნელს ზოგჯერ ლექსმათა თანახმარების წესები ზღუდავს“ (გამყრელიძე 2003:366). მათი აზრობრივი ნიუანსების გამოვლენა ენის ღრმა ცოდნას მოითხოვს. შევეცდებით დავადგინოთ ურთიერთკავშირი იმ პარონიმებსა და სინონიმებს შორის, რომლებიც სემანტიკური მიმართებების ერთიანობით გამოირჩევა. ენაში აბსოლუტური სინონიმის არსებობა ეჭვის ქვეშ დგას, რადგანაც ყოველი სიტყვა ხასიათდება მნიშვნელობის განსაკუთრებული შეფერილობით, სტილისტური ნიშნებით. აქედან გამომდინარე, სინონიმური წყვილები მხოლოდ ნაწილობრივ ურთიერთშენაცვლებადია. ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლება ნორმატიულია, ზოგჯერ კი – სტილისტური და სემანტიკური ნორმების დარღვევას აქვს ადგილი. თუ დარღვევა გამოწვეულია სიტყვათა თანახმიერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსაუბრე შეცდომით აკეთებს შენაცვლებას და საქმე გვაქვს პარაფაზიასთან (პა-

რონიმთა აღრევა).

ძირითადი ნაწილი

სინონიმურ პარონიმებზე საუბრისას ტერმინში “სინონიმური” ის პარონიმული წყვილი მოიაზრება, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა და შესაძლებელია მათი ურთიერთშენაცვლება განსაზღვრულ მომენტში. მაგალითად:

***Oiseux / oisif* (უსარგებლო, უმოქმედო).**

ზედსართავი *oiseux* გამოხატავს “გამოუყენებლობას, უმოქმედობას”, რაც ზოგადად აღნიშნული საგნის თვისებას წარმოადგენს, ხოლო *oisif* გვიჩვენებს, რომ ნივთი, რომელზედაც ვსაუბრობთ, ამ კონკრეტული მომენტისთვის არის უსარგებლო. ადამიანზე საუბრისას “უქნარას, მცონარას” გულისხმობს; *oiseux* ლათინური ენიდან შემოვიდა “otiosus”, *oisif* კი შეგვიძლია მის დუბლეტად მივიჩნიოთ, რომელიც ძველი ფრანგული სიტყვის “oisif” სახეცვლილი ვარიანტია.

un objet oiseux – ნივთი, რომელიც ზოგადად გამოუყენებელია;

un objet oisif – კონკრეტული მომენტისთვის უსარგებლო ნივთი.

***Prolongation / prolongement* (გაგრძელება, გახანგრძლივება/დაგრძელება, გაფართოება)**

prolongation de congé – შევბულების გაგრძელება,

prolongation de terme - ვადის გახანგრძლივება;

prolongement d'un chemin – გზის გაფართოება;

Valide / valable (ვარგისი, კანონიერი, ძალაში მყოფი) ზედსართავში *valide* ხაზგასმულია საბუთის კანონიერება, სამართლებრივი მხარე, *valable* კი გულისხმობს დროისა და სივრცის საზღვრებსაც, თუმცა საბუთებზე საუბრისას *valable*-ს ემატება

დროის მითითება. რაც შეეხება ამ ტერმინთა სხვა მნიშვნელობებით გამოყენებას: *une personne valide* – ქმედითუნარიანი პირი; მისი ანტონიმია *invalid*, რომელიც არაქმედითუნარიანის გარდა შემდეგ მნიშვნელობებს ითავსებს–ავადმყოფი, ხეიბარი. *Une raison valable* – სერიოზული მიზეზი; *cet acte n'est pas valide / valable* – ეს არ არის კანონიერი / მისაღები საქციელი. აქვე უნდა ავლნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სიტყვის *valable* “ღირებულის, ფასეულის, საინტერესოს, შესანიშნავის” მნიშვნელობით გამოყენება ინგლისური ენის გავლენით არის გამოწვეული (ინგლ. *valuable*) და ამდენად, ამ შემთხვევაში ის ანგლიციზმია. ამ დროს უპირანი იქნება გამოვიყენოთ მისი ფრანგული ეკვივალენტები: *estimable, de valeur, de qualité, efficace, remarquable*.

სინონიმურ პარონიმებში გამოიყოფა სამი ტიპი:

1. სემანტიკური ერთიანობის მქონე სტილისტური პარონიმები (ასევე სტილისტურდიფერენციაციის მქონე);
2. იდეოგრაფიული პარონიმები ;
3. სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები (კუზნეცოვა. 1977: 10).

1. **სტილისტური პარონიმები** მოიცავს სტილისტურად განსხვავებულ სიტყვებს, ტერმინებს. სიტყვის არაადეკვატური გამოყენება არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას და მეტყველებაში ის უხეშ შეცდომად აღიქმება, ამიტომაც ამ ტიპის პარონიმებთან განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს.

lancement / lancer (სპორტ. ტყორცნა / სროლა - ეს წყვილი სინონიმებად გვევლინება ქართულშიც, მაგრამ არ მოიცავს პარონიმიას);

შემდეგი პარონიმები განსხვავდება პოეტური და ყოველდღიური სტილის მიხედვით:

odoriférant / odorant (პოეტ. კეთილსურნელოვანი / სურნელოვანი - ანალოგიურია ქართულშიც);

onduleux / ondulé (პოეტ. ტალღოვანი / ტალღისებრი – ანალოგიურია ქართულშიც). ნეიტრალურ და სალაპარაკო სტილს შორის დაპირისპირება წარმოდგენილია წყვილში **enrager / rager** (სალ. მდგომარეობიდან გამოსვლა / გაცოფება, გაბრაზება).

საერთო მნიშვნელობის მქონე პარონიმები შეიძლება დიაქრონიული ასპექტითაც განსხვავდებოდეს, რადგანაც განსაკუთრებულ სტილისტურ შეფერილობას იძენს. მაგალითად:

embobiner გადატანითი მნიშვნელობით “გაცურებას, იოლად გამოსვლას” ნიშნავს, მას ხშირად ენაცვლება ზმნა **embobeliner** იმავე მნიშვნელობით. ასეთივეა შემდეგი პარონიმული წყვილები:

sécurité / sureté (უსაფრთხოება/ უსაფრთხოება, თავდებობა);

affecté/affété (თვალთმაქცური / მოჩვენებითი, პრანჯია).

ჩამოთვლილთაგან პირველი პარონიმი მნიშვნელობას იფართოებს მეორის ხარჯზე. ზოგ შემთხვევაში პარონიმთა ჩანაცვლება ძველ გამოყენებას ანახლებს: სიტყვა **béant** ლექსიკონში გამოჩენისთანავე უპირისპირდება სინონიმური მნიშვნელობის ზედსართავს **bée** “პირდაღებული” და მუდმივად ენაცვლება ამ უკანასკნელს. დღეს კი ნორმატიულია ორივეს ჩანაცვლება კონტექსტში **bouche bée / béant** (d'étonnement). დანარჩენ შემთხვევაში მათი ურთიერთჩანაცვლება შეცდომად ითვლება. ილუსტრირებული მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ პარონიმულ ზეგავლენას ზოგჯერ მიყვავართ ფონეტიკურ სახეცვლილებამდე, მნიშვნელობის შეცვლამდე, და საბოლოოდ – ახალ სიტყვათა წარმოებამდე.

2. **იდეოგრაფიული ანუ სემანტიკურად ნაწილობრივ განსხვავებული პარონიმები** - სინონიმური პარონიმების მეორე ქვეჯგუფს შეადგენს და ერთმანეთისაგან არა სტილისტიურად, არამედ მნიშვნელობის ნიუანსებით განსხვავდება. სემანტიკური გამიჯვნა ხდება მნიშვნელობისა და მისი მოცულობის (გამოყენების) მიხედვით. ნაწილობრივი დამთხვევის დროს პარონიმთა მნიშვნელობა ან დენოტატიურია, ან გადატანითი: *relâcher* (მოშვება, დასვენება, გათავისუფლება) გაიგივებულია ზმნასთან *relaxer* „გათავისუფლების“ მნიშვნელობით, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა *relaxer* გამოხატავს „მოდუნებას, მოშვებას“, რადგანაც *relâcher* „კურადღების მოდუნებას“ გულისხმობს. ამ ტიპის სიტყვათა წყვილს შეგვიძლია პირობითად **კონტექსტუალური პარონიმებიც** ვუწოდოთ.

ქართულში შეგვიძლია, მაგალითად, მოვიხმოთ შემდეგი წყვილი.

ავალებს / ავალებულებს, ერთ შემთხვევაში ისინი სინონიმებია და ნიშნავს – ვალად ადებს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ავალებულებს – აკისრებს, იმას სთხოვს, რაც მას არ ევალება.

ჩანაცვლებადია შემდეგი ზმნებიც – *consommer / consumer*, რომელთა ისტორიაც ნათლად გვიჩვენებს პარონიმული აღრევის პროცესს. ორივე ზმნა ენაში XII საუკუნეში შემოვიდა. ადრე *consommer* გამოხატავდა “შეჯამებას”, *consumer* – “დარღვევას”, დროთა განმავლობაში, პარონიმული ატრაქციის შედეგად *consumer* იძენს “განადგურების, ჩაშლის მნიშვნელობას”, შემდეგ იცვლება “მოხმარება, ხარჯვის” მნიშვნელობით. *consommer* კი იფართოვებს მნიშვნელობას *consumer*-ს მნიშვნელობების შეთავსებით. მოგვიანებით *consumer* კარგავს ახალ მნიშვნელობას და ენაში მკვიდრდება

როგორც „ჩაშლა, დარღვევა, გაჩანაგება“. აქედან გამომდინარე, პარონიმული ატრაქციის შედეგად ორივე ლექსემა ევოლუციას განიცდის, უახლოვდება ერთმანეთს და იკვეთება მნიშვნელობის ნიუანსები. აღნიშნული პროცესის ეს ორფაზოვანი დინება დამახასიათებელია სხვა პარონიმებისთვისაც –

incroyant / incrédule (ურწმუნო / არასარწმუნო, დაუჯერებელი, უნდო - ანალოგიურია ქართულშიც).

სინონიმური პარონიმების სემანტიკური გამიჯვნა შეიძლება შეეხოს მათი მნიშვნელობის მოცულობასაც. მოცულობის ნაწილობრივი დამთხვევა წარმოდგენილია წყვილში **plier / ployer** (მოდუნვა, ორად გაკეცვა / გადაკეცვა - ანალოგიურია ქართულში);

granuleux / grenu (მარცვლოვანი / უხვმარცვლოვანი - ანალოგიურია ქართულშიც) და ა.შ.

სამეულში **impudence / impudeur / impudicité** (თავხედობა, კადნიერება / უტიფრობა / გახრწნა, გარყვნილება) მნიშვნელობების უარყოფითი შეფერილობა თანდათან ძლიერდება. ისინი ერთმანეთისგან კონტრასტით (დადებითი და უარყოფითი შეფასებით) განსხვავდება, ამიტომაც შეგვიძლია **ემოციურ-შეფასებით პარონიმებს** მივაკუთვნოთ.

მოცულობის მიხედვით სინონიმთა ნაწილობრივი დამთხვევა შეიძლება გავიგოთ როგორც ერთი, უფრო ვიწრო მნიშვნელობის ჩართვა მეორეში:

rayer / radier (გახაზვა, ამოშლა, გადაშლა / სიიდან ამოშლა);

sommeiller / somnoler (თვლება, უმოქმედობა/ ჩათვლება);

funèbre / funéraire (სამგლოვიარო, ბნელი, პირქუში / დამკრძალავი);

პარონიმულ ზეგავლენას, განხილულ მაგალითებში, მიყვარათ მნიშვნელობის გაფართოვებამდე ან შევიწროვებამდე, ზოგჯერ კი პარონიმული აღრევის პროცესები ნორმად ფორმდება და ლიტერატურული ენის საკუთრება ხდება.

3. სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები – ამ ჯგუფის ლექსემები ურთიერთგანსხვავდებიან გამოყენების სიხშირით, სინტაგმატური (ლექსიკურ-სემანტიკური) ნიშნებით. თუ სინონიმები განსხვავდება როგორც სტილისტურად, ისე სემანტიკურად, პარონიმული აღრევა ხშირად ორმხრივი შეცდომაა და ერთდროულად არღვევს ორივე ლიტერატურული ნორმის კომპონენტს. ასეთი თავისებურებებით გამოირჩევა წყვილი *armes/armoiries* (გერბი / ჰერალდიკა);

transparent / translucide (გამჭვირვალე / შუქგამტარი, გამჭვირვალე);

biennal / bisannuel (ორწლიანი – ორ წელიწადში ერთხელ/ორწლიანი);

difficile / difficileux (ძნელი/სამძიმო, მეწვრილმანე – ანალოგიურია ქართულშიც).

დასკვნა

ამგვარად, სინონიმურ პარონიმთა შესწავლისას ძირითადად სამი ჯგუფი გამოიყოფა, თუმცა კვლევის შედეგად შევიძლია მასში ქვეჯგუფებიც აღმოვაჩინოთ (კონტექსტუალური პარონიმები, ემოციურ-შეფასებითი პარონიმები) და უფრო დეტალურად განვიხილოთ ისინი. პარონიმული წყვილები უმეტესად ერთი ეტიმოლოგიური საწყისის მქონე, სიტყვათწარმოებით (აფიქსაცია, სუფიქსაცია) მიღებული სიტყვათფორმებია, თუმცა შესაძლებელია მათ განსხვავებული ეტიმოლოგიური წარმოშობა გააჩნდეთ. ეს მოვლენა აერთიანებს როგორც ფორმალურ-ფონეტიკურ

პროცესს, ასევე სიტყვათა შინაარსს, რაც საშუალებას იძლევა პარონიმთა შეფუძაროთ სხვა ენობრივ მოვლენებს, მასში ჩავრთოთ ენის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე, კერძოდ, სინონიმთა. ამ თვალსაზრისით, სინონიმური პარონიმები ის სიტყვებია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ან სინონიმები იყოს და ან პარონიმები, მაგრამ არა ერთდროულად. ენის ლიტერატურული ნორმის მიხედვით ისინი სინონიმებია, არალიტერატურული ნორმით კი – პარონიმები. სინონიმური პარონიმები ერთგვარ მიკროსისტემებს ქმნიან, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში თანაბარი მნიშვნელობები უღვევს საფუძველად. სინონიმური პარონიმები მთელი პარონიმული სისტემის ბირთვის შეადგენს. როგორც სინონიმები ავსებს და ამდიდრებს ენას, ასევე პარონიმებიც უფრო მეტ ექსპრესიულობას, სიღრმეს და მრავალფეროვნებას ანიჭებს მეტყველებას.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელაია ნ. (2003): “თეორიული ენათმეცნიერების კურსი”. თსუ
2. Dictionnaire des difficultés de la langue française, Larousse (1971): Paris
3. Dictionnaire encyclopédique. Hachette. (2002): Paris
4. Hinard A. (1989): Lamotte C. „A la découverte de notre langue“ Magnard. Paris
5. Кузнецова И. (1977): „Паронимия в современном французском языке“ Московский университет. Москва
6. Гвоздев А. Н. (1995): „Очерки по стилистике русского языка“ Москва
7. Степанов Ю. С. (1975): „Основы общего языкознания“. Просвещение. Москва

The typology of synonymic paronyms in the modern French language

Ketevan Djachy

Ilia's University

Romance Department.

32 Ilia Chavchavadze av. 32, Tbilisi, Georgia

Tel: 899 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

Natia Abashidze

Shota Rustaveli State University

Romances Studies Department

35 Ninoshvili av., 6010, Batumi, Georgia

Tel: 893 456 595

E-mail: abanatia@yahoo.fr

Abstract

The paronyms are the non-identical lexical items, which have the similar or different meaning. Its specificity appears in the contradiction of form and the expression, to which is added the difficulty of their use in the language.

The problem of the similarity of lexical items what is related to their faulty replacement, does not correspond to the normative structure of the language and it makes the cascade of faults.

The most considerable and important is the group of paronyms that express proximity in both pronunciation and meaning. The most misleading are the paronyms known as synonymic ones. In the synonymic term we suggest those the lexical meanings of which coincide and are replaced at the same time. But that requires exceptional caution.

The synonymic paronyms occupy the central place in the classification of paronyms. They are divided into three subclasses: stylistic paronyms having semantical similarity, partially similar paro-

noms and semantically and stylistically differentiated.

In this research we analyse the types of paronyms, the cases of paraphasia, we study the examples of French and Georgian languages, we define their structural models.

Keywords:

paronyms and synonyms, synonymous paronyms, stylistics, semantics.

Типы синонимических паронимов в современном французском языке

Джаши Кетеван Николаевна

Департамент романистики

Факультет гуманитарных наук и искусства

Университета Ильи

просп. И. Чавчавадзе 32, 0179 Тбилиси

Тел: 899 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

Абашидзе Натиа Гурамовна

Государственный Университет им. Шота Руставели

Департамент европеистики

ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия

Тел 893 456 595

E-mail: abanatia@yahoo.fr

Резюме

Паронимия является единством словоформ различного или аналогичного значения, имеющих неидентичное выражение. Ее специфику составляет сложное взаимоотношение формы и содержания, своеобразие ее использования в речи. Проблема схожести лексем, что связано с их неправильным замещением, нарушает

нормативную структуру языка и создает целый каскад ошибок. С этой точки зрения весьма примечательна та группа паронимов, у которых совпадает не только звучание, но и значение. Это т.н. синонимические паронимы. Под термином «синонимический» мы подразумеваем те паронимы, лексические значения которых совпадают: ((*fainéant / feignant* - лентяй, бездельник; *gourmand/ gourmet* - чревоугодник, гурман / дегустатор вина, гурман; *s'adonner / se donner*- посвятить себя чему-либо или кому-нибудь). Однако и отмеченное требует строгой точности. Синонимические паронимы занимают центральное место в типах паронимов. Они делятся на три подгруппы: *стилистические па-*

ронимы, имеющие семантическое единство (а также имеющие стилистико-диахроническую дифференциацию), *семантически частично отличающиеся паронимы* и *семантико-стилистически дифференцированные паронимы*. В работе дается краткий обзор типов синонимических паронимов, случаев парафазии, выделяются структурные модели французских и грузинских паронимов.

Ключевые слова:

Паронимия и синонимия, синонимические паронимы, стилистика, семантика.

სიმრავლის ველი გერმანულ და ქართულ ენებში

მარინე ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 32, 0179 თბილისი, საქართველო

ტელ.: 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილული და განსაზღვრულია სიმრავლის ველი ორ არამონათესავე - გერმანულ და ქართულ ენაში; წარმოდგენილი და გაანალიზებულია ამ მოვლენის გამოსატვის როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური საშუალებები. შეპირისპირებისას გამოვლენილია საერთო განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც განპირობებულია ორივე ენის ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებებით. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სიმრავლის ველის დომინანტას ორივე ენაში წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ფორმალურად და სემანტიკურად სიმრავლის სემის მატარებელია.

საკვანძო სიტყვები:

„წმინდა სიმრავლე“, „ცარიელი ფუნქცია“, განსაზღვრული და განუსაზღვრელი რაოდენობა, ერთობლივი სიმრავლე, ექსპლიციტური და იმპლიციტური სიმრავლე.

შესავალი

სიმრავლის ველი ენაში გამოისატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით:

1. არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებით;
2. საუღლებელი ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებით, რომლებიც ეთანხმებიან არსებით სახელებს ან ნაცვალსახელებს ქვემდებარის ფუნქციაში;
3. რიცხვითი სახელებით;
4. რაოდენობრივი ნაცვალსახელებით;
5. მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებით;
6. კრებითი სახელებით. ყველა ეს საშუალება არ არის ერთგვაროვანი და ტოლფასი: ერთნი გამოხატავენ „წმინდა სიმრავლეს“, ხოლო მეორენი აზუსტებენ ან ახდენენ რაოდენობრივი მიმართებების მოდიფიკაციას. ველის ცენტრს წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, ე. ი. ისინი ქმნიან სიმრავლის ველის დომინანტას, ზედსართავი სახელები, ზმნა და პირის ნაცვალსახელები იმეორებენ არსებითი სახელის სიმრავლის მნიშვნელობას, რადგან მას ფორმალურად ეთანხმებიან. მრავლობითი რიცხვის 1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელები კი გადმოსცემენ სამეტყველო აქტში მონაწილე პირთა სიმრავლეს. „მრავლობითობის“ სემას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მოდიფიკაცია კონკრეტული ლექსიკური შევსების მიხედვით. სიმრავლის ველის სხვა ლექსიკური კომპონენტები წარმოადგენენ უფრო სიმრავლის კონკრეტიზაციას. განუსაზღვრელი ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები, რომლებიც თან ახლავს არსებით სახელს, აკონკრეტებენ სიმრავლეს წმინდა რაოდენობრივად, როგორც განსაზღვრული ან განუსაზღვრელი სიმრავლე. მიახლოებითი შეფასების ზმნიხედები რიცხვით სახელთან ერთად გამოხატავენ დაახლოებით სიმრავლეს. კრებითი სახელები კი, რომლებიც თან ახლავს არსებით სახელს

ან ცვლის მას, აკონკრეტებენ სიმრავლეს ხარისხობრივად, როგორც ერთობლივი სიმრავლე [გულიგა, შენდელსი. 1969: 19].

ძირითადი ნაწილი

გერმანულ ენაში მრავლობითი რიცხვის ფორმების საწარმოებლად არსებობს რამდენიმე საშუალება / სპეციალური მარკერები /: სუფიქსები -e, -er, -en, -s, / უმლაუტი, არტიკლი /: Tische, Bücher, Studenten, Klubs, Hände, Lehrer. მათი რეალიზაციის ლექსიკურ პირობას წარმოადგენს შესაბამისი ცნებების თვალდობის მნიშვნელობა, ამიტომ ყველაზე მკაფიოდ ისინი ვლინდებიან საზოგადო სახელების ჯგუფში, მაგ.: der Baum – die Bäume, der Stuhl – die Stühle, die Nuß – die Nüsse, და ა.შ. მაგრამ აქაც „მრავლობითობის“ სემის ქვეშ შეიძლება იმპლიციტურად არსებობდეს სხვადასხვა შინაარსი, მაგ.: 1. წყვილობა: **Hände, Augen, Ohren, Schuhe**; წყვილობა ან არაწყვილობა განისაზღვრება მხოლოდ კონტექსტით ან სიტუაციით: **meine Augen, viele Augen**; 2. საგანთა სიმრავლე სივრცეში: **Tiere, Bäume, Blumen**, 3. მონაკვეთთა სიმრავლე დროში: **Tage, Jahre**, 4. მოქმედებათა განმეორებადობა ან ციკლურობა: **Schritte, Schläge** გვაქვს შემთხვევები, როცა რიცხვის ფორმა ივსება არათვლადი ცნებების სახელებით, ამიტომ არა გვაქვს დაპირისპირება „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“. სემები „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“ ქრება, ხოლო ამა თუ იმ რიცხვის ფორმა ასრულებს „ცარიელ ფუნქციას“ (Leerlauffunktion) [კოშმიდერი. 1965: 10]. აქ შემოდის სწორედ ე. წ. Pluraliatantum-სა და Singulariatantum-ის ფორმები: **Reis, Schnee, Zorn, Pocken, Ostern, Pfingsten**. თუმცა მათ გააჩნიათ რიცხვითი ფორმები, ისინი მაინც გამოირჩევიან უთვლადობის მნიშვნელობით და ანეიტრალდებენ

როგორც „მხოლოდობითობის“, ასევე „მრავლობითობის“ სემებს. სწორედ ეს არის ფორმის „ცარიელი ფუნქცია“, როცა ფორმა აღარ გამოხატავს მისთვის ნიშანდობლივ გრამატიკულ მნიშვნელობას. ამას მოწმობს ენაში გრამატიკული დუბლეტების არსებობა იგივეობრივი მნიშვნელობით: **das Möbel – die Möbel, das Haar – die Haare** [შენდელსი. 1979: 25]. გვაქვს შემთხვევები, როცა მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის კორელაცია შესაძლებელია, მაგრამ სემები ზუსტადაა დაპირისპირებული და ისინი ნეიტრალიზებულია: **die Luft – die Lüfte, der Wind – die Winde**. მრავლობითი რიცხვის ფორმები აქ აძლიერებენ გამოხატულ ცნებას, ანიჭებენ მას მეტ ექსპრესიას. მათ ხშირად იყენებენ პოეზიაში, მხატვრულ პროზაში, მაგ.: **Wo die freien Lüfte wehen** (H. Heine). არის შემთხვევები, როცა მრავლობითი რიცხვის ფორმა აღიქმება როგორც მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, როდესაც სიტყვის შიდა ფორმა დაკარგულია და მისი ეტიმოლოგია დავიწყებული და ამდენად იქმნება ახალი კორელაცია: **der Keks – die Kekse** (cakes – ინგლ. – ნამცხვრები). სიტყვამ შეიძლება მიიღოს ახალი მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია თვლად ცნებასთან. ასეთ შემთხვევაში კორელაცია „მხოლოდობითი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“ ფორმალური ნიშანია, რომელიც ორ მნიშვნელობას ანსხვავებს: **die Schönheit** - სილამაზე (აბსტრ), მრავლობითი არა აქვს, და **die Schönheit – die Schönheiten** (ლამაზმანი, ან ლამაზი ადგილი), მრავლობითი აქვს, ან **das Brot** - უთვლადი ცნება (ნივთიერება), მრავლ. არ გააჩნია, **das Brot – die Brote** (ცალკეული გამომცხვარი პური), მრავლ. გააჩნია.

1. რიცხვთა კორელაცია საკუთარ სახელებთან

საკუთარ სახელებში რიცხვთა კორელაცია შესაძლებელია, როცა: ა) ლაპარა-

კია ერთი გვარის ადამიანებზე : **die Müllers**,
ბ) აღინიშნება მთელი ოჯახი ან გვარი: **die Familie Müller**, გ) საკუთარი სახელების გადასვლისას საზოგადო სახელებში: **die Welingthons** (მაღალყელიანი ჩექმების სახეობა)

2. განუსაზღვრელი და განსაზღვრული რაოდენობა

მრავლობითი რიცხვის ფორმა, როცა გვაქვს დაპირისპირება „მხოლოდ ერთი რიცხვი – მრავლობითი რიცხვი“, გადმოსცემს მხოლოდ ერთ აზრობრივ ნიშანს „ერთზე მეტი, გარკვეული რაოდენობა“.

ეს არის „მრავლობითობის“ სემა, მაგრამ ეს ფორმა ნაკლებ ინფორმატიულია, იგი არაფერს გვატყობინებს არც საგნების რიცხვზე, არც მათ ურთიერთკავშირზე. მეტი ინფორმატიულობით გამოირჩევა ლექსიკური დონის სხვა ენობრივი საშუალებები. კიდევ ერთი სემანტიკური ელფერის გამოსახატავად საჭიროა სემა „განუსაზღვრელი რაოდენობა“ ან სემა „განსაზღვრული რაოდენობა“. ამაში არსებით სახელებს ეხმარება რაოდენობრივი ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები. რაოდენობრივი ნაცვალსახელები გამოხატავენ განუსაზღვრელ რაოდენობას: **alle, sämtliche, mehrere, viele, einige, etliche, manche, wenige, ein paar Werkzeuge**. ისინი ჩვეულებრივ თან ახლავს არსებით სახელს მრავლობით რიცხვში, უერთებენ რა „მრავლობითობის“ სემას თავის სემებს და აკონკრეტებენ სიმრავლის ცნებას. რიცხვითი სახელები განსაზღვრული რაოდენობის გამომხატველია. ისინი იძლევიან ზუსტ რაოდენობრივ ინფორმაციას: 2, 10, 30 **Jahre** ან ინფორმაციას რიგით ნომერზე : **das dritte Jahr, der fünfte Tag**. ისინიც თან ახლავს არსებით სახელს, ამასთან აკონკრეტებენ რაოდენობრივ მიმართებებს. ხანდახან რიცხვითი სახელები: 3, 4, 5 სინონიმურია ნაცვალსახელისა **einige: Warten Sie**

bitte 5 Minuten! Ich brauche bloß 4, 5 Nägel und einen Hammer. რიცხვითი არსებითი სახელები კი **das Dutzend, das Hundert, das Tausend, die Million**, კონკრეტული რიცხობრივი მნიშვნელობის მიუხედავად ხშირად იხმარება **viele, mehrere** ნაცვალსახელთა სინონიმურად: **Dutzend Fragen; Hunderte, Tausende von Menschen; „Seid umschlungen, Millionen!**

3. მიახლოებითი რაოდენობა

არსებობს ზმნიზედათა მთელი ჯგუფი, რომელიც გადმოსცემს სემას „მიახლოებითი რაოდენობა“. რიცხვით სახელთან კავშირში „მიახლოებითობის“ სემა უერთდება სემას „განსაზღვრული რაოდენობა“: **gegen, etwa, ungefähr, nahezu, kaum 100 Euro**.

4. ერთობლივი სიმრავლე

კრებითი სახელები ერთობლივი სიმრავლის მარკერებია, მაგ. **Die Berge – das Gebirge**. ამ სიტყვათა გრამატიკული მნიშვნელობები ახლოსაა, მაგრამ ტოლფასი არაა; პირველი სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ერთზე მეტი მთაა, მეორე კი მხოლოდ ერთ რიცხვის ფორმით შეიცავს იგივე ინფორმაციას, მაგრამ მას ემატება კიდევ ერთი: მთები ერთმანეთთან არის შეერთებული და ქმნის მთიან ჯაჭვს, ე. ი. „მრავლობითობის“ სემას ემატება სემა „ერთობლიობა“. ამიტომ კრებით სახელებს შეიძლება ვუწოდოთ „ერთობლივი სიმრავლის“ გამოხატვის ენობრივი საშუალებები. თუ კრებითი სიტყვისაგან ვაწარმოებთ მრავლობით რიცხვს, მაშინ მას მიემატება კიდევ ერთი სემა „მრავლობითობა“ და გვექნება უკვე „ორმაგი მრავლობითი“, ანუ „მრავლობითი კვადრატში“: **das Gebirge – die Gebirge**.

ყველა კრებით სახელს არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა, მაგ. **das Geflügel, das Geschirr, das Gemüse** და ყველას არ გააჩნია მხოლოდითი რიცხვის ფორმა: **die**

Eltern, die Geschwister სიმრავლის ელემენტებს შორის კავშირის ხასიათი სხვადასხვაა: ის შეიძლება იყოს ერთგვაროვან საგანთა ერთობლიობა: **das Gebirge= Berg+Berg+Berg** ან არაერთგვაროვან საგანთა ერთობლიობა: **das Geflügel = Huhn + Gans + Ente**. ეს უკანასკნელი არ არიან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ერთ რომელიმე ინდივიდუალურ საზოგადო სახელთან და ამიტომ არ უპირისპირდებიან ერთი რომელიმე სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმას. ისინი თავის მნიშვნელობაში აერთიანებენ რამდენიმე სიტყვას და წარმოადგენენ გამოსატვის ტევად და ეკონომიურ საშუალებას, მაგ.: **Gemüse** -ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობა და **Getreide** - სხვადასხვა მარცვლეული კულტურები. არსებობს ერთობლივი სიმრავლის გამოსატვის სხვა საშუალებები, მაგ.: **eine Schar Kinder, ein Stoß Teller**. აქ ადგილი აქვს სემანტიკური დატვირთვის განაწილებას: ერთ არსებით სახელს აქვს სემა „ერთობლიობა“, მეორეს კი სემა „სიმრავლე“. მაგრამ აქ გვაქვს გარკვეული შეზღუდვები: ზოგს გააჩნია შეთანხმების უფრო ფართო სპექტრი, როგორცაა: **Reihe, Anzahl, Menge** და უთანხმდებიან სხვადასხვა თემატური ჯგუფის არსებით სახელებს: **Menschen, Papiere, Steine, Autos**, ზოგი კი შეზღუდული შეთანხმებით გამოირჩევა: **ein Spiel Karten, ein Strauß Blumen, ein Rudel Wölfe, Hirsche** [კოსიაკინი. 1962:11]. სიტყვები **Schar, Bündel, Schwarm** დასაშვებია მხოლოდ სულიერ არსებით სახელებთან, უსულო საგნებთან კი იხმარება: **Bündel, Stoß, Ballen**. სიტყვა **Haufen** ამ მიმართულებით ნეიტრალურია: **ein Haufen Menschen, Arbeit**. მაგრამ ყოველი ჯგუფის შიგნით არსებობს კიდევ უფრო ვიწრო დიფერენციაცია: **Herde** განეკუთვნება მხოლოდ შინაურ ცხოველებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს: **eine Herde Ziegen, Schafe, Rinder**. სიტყვები **Rudel, Meute** განეკუთვნება გარეულ

ცხოველებს: **ein Rudel Wölfe, Hirsche**, მაგრამ შეიძლება აგრეთვე: **ein Rudel Hunde, eine Meute Hunde**. სიტყვა **Schwarm** განეკუთვნება ფრთოსანი მწერების და თევზების თემატურ ჯგუფს: **ein Schwarm Fliegen, Bienen, Heringe**, სიტყვა **Zug** განეკუთვნება ფრინველებს და თევზებს: **ein Zug Fische, Kraniche**. კრებითი სახელები, რომლებიც განეკუთვნებიან უსულო საგნების თემატურ ჯგუფს, მიუთითებენ სიმრავლის კომპონენტთა განლაგებაზე, ერთობლიობის ფორმაზე: **Stoß, Stapel** მიუთითებენ საგანთა ერთიმეორეზე დახვავებაზე : **ein Stoß (Stapel) Teller, Bücher**, სიტყვა **Bündel** კი მიუთითებს კომპონენტთა შეკავშირებაზე: **ein Bündel Holz, Kleider**. გადატანითი მნიშვნელობის დროს ამ სიტყვათა შეთანხმების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ფართოვდება: **Sie ist ein Bündel Nerven**. კრებითი სახელებს შეუძლიათ დაახასიათონ სიმრავლე მისი სიდიდის მიხედვით, მაგ. **Haufen** მიუთითებს სიმრავლის უფრო მცირე მოცულობაზე, ვიდრე **Schar: Bald werden die Haufen zu Scharen, bald die Scharen zu Heeren** [კოსიაკინი. 1962:11].

5. იმპლიციტური სიმრავლე

ექსპლიციტური სიმრავლის გარდა გერმანულ ენაში არსებობს იმპლიციტური სიმრავლე. ეს ის შემთხვევებია, როცა სიმრავლის მნიშვნელობის ფორმალური ნიშნების უქონლობის მიუხედავად, იგი მაინც წარმოსდგება ჩვენს ცნობიერებაში: 1. ადამიანის სხეულის წყვილი ორგანოების დასახელებები ხშირად მხოლოდობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, მაგრამ აქვს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობა: **Mir wird's so wohl in deinem Arm**, 2. ნაცვალსახელი **man** + მხოლოდობით რიცხვში შეიძლება გამოსატავდეს : ა) უცნობ პირთა სიმრავლეს , ბ) ნაცნობ პირთა სიმრავლეს, გ) ნაცნობ პირთა სიმრავლეს, რომელიც მოიცავს მოლაპარაკე პირსაც. 3. ნაცვალსახელი **es** + ზმნა მხოლოდობით

რიცხვში, რომელიც გამოხატავს: ა) მრავალ უცნობ პირთა ან ქმედებების სიმრავლეს: **Nun ist sie wieder ganz allein, und während es um sie jöhelt, sxhreit, winkt, ist Jeanne Freude schal geworden** (W. Joho „Jeanne Peyrouton“ ბ) მრავალი უცნობი პირის გამოცდილების შედეგს: **Es ging sich angenehm auf der losen Erde, die Füße richten aus** (B. Kellermann „Der 9. November“), გ) უპირო პასიური კონსტრუქცია, რომელიც უცნობ პირთა სიმრავლეს გამოხატავს და წარმოადგენს **man + Vf3**-ის დუბლეტს: **Nur Frauen und Kinder kommen auf den nächtlichen Friedhof, ...Geweint wird nirgends, gesprochen nur wenig, nur das Nötige** (M. Frisch „Stiller“). 4. განუსაზღვრელი სიმრავლე: არსებითი სახელების მდგრადი წყვილი შესიტყვებები: **von Tag zu Tag, Tag für Tag (viele Tage)**. თავისი იდიომატურობის წყალობით მოდელი ქმნის არა მარტო სემას „მრავლობითობა“, არამედ ახალ სემას „განუწყვეტელი განმეორებადობა“: **Der Lautsprecher gab Meldungen um Meldungen** (M. Frisch „Homo Faber“).

6. ექსპლიციტური სიმრავლე ქართულში

ქართულ ენაში არ არის განსაკუთრებული ფორმანტები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდითი რიცხვის ფორმებს. მხოლოდითი რიცხვის ფორმალური მანვენებლები ემთხვევა ბრუნვით დაბოლოებებს. მრავლობითი რიცხვის ფორმები ქართულში იწარმოება სპეციალური სუფიქსებით: -ებ, -ნ: მთები - მთანი, ველები - ველნი და ა.შ. ლინგვისტურ ლიტერატურაში -ებ სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობით რიცხვს უწოდებენ პირველ მრავლობითს ან ახალ მრავლობითს, ხოლო -ნ სუფიქსიან მრავლობით რიცხვს შესაბამისად - მეორე მრავლობითს ან ძველ მრავლობითს. რამდენადაც მრავლობითის მანვენებელი მარკერი -ნ იხმარება მხოლოდ ორ ბრუნვაში- სახელობითსა და წოდებითში, ხოლო მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში გამოიყენება

-თ, ამიტომ ამ მრავლობით რიცხვს ეწოდება ნართანიაანი მრავლობითი, ე. ი. -ნ-სუფიქსით ნაწარმოები მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის ფორმები -ნ/თ-სუფიქსებით ხშირად ხასიათდება ხმარების სპეციფიკურობით: 1. რიცხვით სახელებს ქართულში აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმები, მაგრამ მათი წარმოებისათვის გამოიყენება არა -ებ სუფიქსი, არამედ -ნ სუფიქსი: ორი- ორნი, სამი- სამნი და ა.შ. მას უწოდებენ კლასიკურ ფორმას, რომელიც მოითხოვს სრულ შეთანხმებას არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც. მაგ.: ორი კაცი, ორნი კაცნი, ორთა კაცთა. 2. სუფიქსი -ნ -ის საშუალებით იწარმოება მრავლობითი რიცხვის ფორმები ზოგიერთი ნაცვალსახელიდან: ესენი, ეგენი, ისინი, იგინი, 3. მრავლობითის ფორმებს -ნ სუფიქსით უპირატესობა ენიჭება პოეტურ ენაში თხრობის ექსპრესიული ტონის დროს [გოლეთიანი. 1970:60]:

„თვალწინ მიდგას ის კირთის ბედშაგნი დღენი, როს შენ დაგიპყრო მაკედონის გამირის ლაშქარმა“ (ი. ჭავჭავაძე)

4. მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები -თ სუფიქსით ძალიან ხშირად აწარმოებენ ერთიან შესიტყვებებს და სხვადასხვა სახის ტერმინებს, მაგ.: მეცნიერებათა აკადემია. ბავშვთა სახლი და ა. შ. ყველა ამ დასახელებაში სუფიქსი -თ მრავალმნიშვნელოვანია: 1. იგი მიუთითებს ბრუნვის ფორმაზე, 2. მას აქვს სიმრავლის მნიშვნელობა, 3. ის წარმოადგენს სიტყვათწარმოებით სუფიქსს. ამასთან მისი ძირითადი ფუნქცია- სიტყვათწარმოებითია, ხოლო მრავლობითობის მნიშვნელობა მასში შესამჩნევად შესუსტებულია, მაგ. სიტყვათშეთანხმებაში „ბავშვთა სახლი“ სუფიქსი -თ გამოხატავს არა რაოდენობრივ ნიშანს, არამედ სიმრავლეს განსაზღვრულ ერთიანობაში, 5. ხშირად იხმარება სულიერ არსებით სახელებთან, მაგ.: „ქართველ

კინომსახიობთა ხელოვნება“. სიტყვების ეს ჯგუფი ივსება უსულო არსებითი სახელებით, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება: „ყვავილთა ცრემლი“, „ქვათა ღაღადი“, „ხილთა ქება“

7. რიცხვთა კორელაცია საკუთარ სახელებთან ქართულში.

მრავლობითი რიცხვის ფორმები საკუთარ სახელებთან იხმარება ან ერთი და იგივე ოჯახის წევრების ან ადამიანთა განსაზღვრული ტიპის აღსანიშნავად: დევიძეების ოჯახი; ტარიელ მკლავაძეების ეპოქა დამთავრდა. ნივთიერების მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები აღნიშნავენ სხვადასხვა საგანთა, ნივთიერებათა სახეობებს: ქართული ღვინოები, მინერალური წყლები. ბუნების მოვლენათა აღმნიშვნელი არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვი ქართულისათვის არ არის ნიშანდობლივი, თუმცა აქაიქ გვხვდება ასეთი შემთხვევები: ყინვები ღაღდა.

8. მხოლოდ მრავლობითი ფორმით ხმარებული არსებითი სახელები (Pluraliatantum)

Pluraliatantum-ის არსებით სახელებს განეკუთვნება: 1. საკუთარი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ გეოგრაფიულ ცნებებს: „ბაგები“, „შავშები“, „ფარცხანაყანები“; 2. ზოგიერთი წიგნის, განსაკუთრებით საეკლესიო ხასიათის წიგნების დასახელებები: „დავითნი“, „ამნი“, „მემუარები“, 3. ფულადი თანხების დასახელებები: ”ფინანსები“, „თაენი“, 4. სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები: „სუბტროპიკები“, „დედანი“. კრებითი სახელების ჯგუფებს განეკუთვნება ქართულში არსებითი სახელები „ნა-“ აფიქსით, რომლებიც აღნიშნავენ: ა) ნივთიერებათა ნარჩენებს; ისინი გადმოიცემიან მიმდებლობითი ფორმებით: „ნარეცხი“, „ნახერხი“ და ა. შ. ზოგ მათგანს ორივე ფორმა (მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი) გააჩნია: „ნაფცქვენი“ – „ნაფ-

ცქვენები“, „ნარჩენი“ – „ნარჩენები“; ბ) თამაშობების დასახელებანი: „დამალობანა“, „ქალაქობანა“, „კუკუმაღულობა“; გ) სხვადასხვა რიტუალების და დღესასწაულების დასახელებანი: „ქელეხი“, „ნათლობა“, „დღეობა“; დ) დროის მონაკვეთების სახელები: „დღე-ღამე“, „არდაღეგები“; ე) მთების აღმნიშვნელი არსებითი სახელების გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება სიტყვათშეთანხმებები ძირითადი სიტყვით „მთები“, მაგ.: „კარპატის მთები“, „აპენინის მთები“, მაგრამ შეიძლება მათ ჰქონდეთ მრავლობითი რიცხვის ფორმებიც: „კარპატები“, „აპენინები“. ხშირად ორ ფორმას შორის განსხვავებას სემანტიკური ხასიათი აქვს, მაგ.: „არჩევანი“ – „არჩევნები“. „არჩევნებს“ არ გააჩნია მხოლოდითი რიცხვის ფორმა ახალ აზრობრივ მნიშვნელობაში, ამდენად ეს არის ახალი, დამოუკიდებელი სიტყვა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით; ან როცა გვაქვს ორი ომონიმიური ფორმა „კადრები“: 1. კინოფირის სურათები, 2. რომელიმე დაწესებულების, საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი შემადგენლობა, ამ უკანასკნელს არ გააჩნია შესატყვისი მხოლოდითი რიცხვის ფორმა და ამიტომ გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ფორმით. იმ სიტყვების კატეგორია, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით, ივსება სხვა მეტყველების ნაწილებით სუბსტანტივაციის გზით: „შინაურები“, „ფრთოსანნი“, „ფრინველები“.

განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ენაში ტერმინოლოგიური ხასიათის სიტყვები, რომლებიც იწარმოება სიტყვათა ძირების ან სიტყვების შეერთებით: გამასხივები, სათადარიგო ნაწილები და ა. შ. [შანიძე 1953: 75].

9. ერთობლივი სიმრავლე ქართულში

ერთობლივი სიმრავლის გამოხატვის საშუალებები ქართულშიც უხვად არის, როცა

სემას „ერთობლიობა“ ემატება სემა „სიმრავლე“. მოცემული კრებითი სახელებიდან ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს: „ბრბო“, „გუნდი“, „ჯგუფი“, „რაზმი“, „ჯელგა“, „ხორო“. ადამიანთა და ცხოველთა სიმრავლეს გამოხატავს: „გუნდი“, „ჯოგი“, „ფარა“, „ხროვა“; ცხოველების, მწერების, თევზების, ფრინველების ერთობლივ სიმრავლეს გამოხატავს: „რემა“, „ნახირი“, „კოლტი“, „ნაყარი“. უსულო საგანთა სიმრავლეს კი გამოხატავს: „დასტა“, „შეკვრა“, „ოზმა“, „კონა“, „ლარი“, „ხვაგი“, „ბათმანი“.

კრებითი სახელებიდან ზოგს გააჩნია შეთანხმების უფრო ფართო სპექტრი, ისინი უთანხმდებიან სხვადასხვა თემატიკური ჯგუფის არსებით სახელებს, ზოგი კი შეზღუდული შეთანხმებით გამოირჩევა და მეტად ინფორმატიულია, მაგ.: „რემა“ – ცხენების ჯოგი, „კოლტი“ – ღორების ჯოგი, „ნაყარი“ – ფუტკრების გუნდი. შეთანხმების ფართო სპექტრით გამოირჩევა ორი კრებითი სახელი: „გროვა“ და „დასი“.

10. იმპლიციტური სიმრავლე ქართულში

განუწყვეტელი განმეორებით გამოირჩევა ისეთი არსებითი სახელები, როგორიც არის: „შარი-შური“, „ბათქა-ბუთქი“, „აყალ-მაყალი“, რომელთაც გარდა სემებისა „მრავლობითობა“ და „განუწყვეტელი განმეორებადობა“, აქვთ სემა „აკუსტიკურობა“ და ამდენად ხმაბადვით სიტყვათა რიგს განეკუთვნება. ხშირად მხოლოდითი რიცხვის ფორმა გამოხატავს ქართულში არა მხოლოდობას, არამედ მთელი კლასის, ერთგვაროვანი საგნების ან პირების ერთობლიობას: „მსახიობი შემოქმედების სიმწიფის ხანაშია, გეჯერა, რომ იგი მომავალშიც კვლავ დიდ სიხარულს აგრძნობინებს მაყურებელს“, „სტუდენტები ლექციაზე კონსპექტს წერენ“. მრავლობითობის გამოსახატავად ქართულში შეიძლება გამოყენებულ იქნას „სახელის განმეორება“: „სოფლად ბელურა ჩიტების გუნდი და გუნდი ტრიალებს“, ან „გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი მოკაშკაშ-მოელვარეო“. ეს არის ე.წ. იმპლიციტური სიმრავლის შემთხვევები, როცა ზედაპირულად მრავლობითი არა გვაქვს, სიღრმისეულად კი ის მაინც შეიგრძნობა, ან ის ისეთ დუბლეტურ შესიტყვებებში ვლინდება, როგორცაა: „დღითი-დღე“, „დღე და ღამ“, „ღამ-ღამობით“, მაგ.: „რადიო ცნობას ცნობაზე გადმოსცემდა“ და ა.შ.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:

სიმრავლის რეპრეზენტაცია გერმანულსა და ქართულში

რაოდენობრივი
დახასიათება:
განუსაზღვრელი
სიმრავლე :
viele Berge
განსაზღვრული
სიმრავლე :
fünf Berge
დაახლოებითი
სიმრავლე:
etwa 5 Berge

წმინდა
სიმრავლე:
die Berge
მთები
მთანი

ხარისხობრივი
დახასიათება:
ერთობლივი
სიმრავლე:
das Gebirge
eine Reihe Berge
die Familie Müller
Müllers
მთიანეთი, მთების
რიგი, ჯაჭვი
ღვევიძის ოჯახი
ღვევიძეები

მხოლოდითი რიცხვის ფორმა სიმრავლის
აღმნიშვნელ სიდიდესთან:

ბევრი მთა

ხუთი მთა

დაახლოებით 5 მთა

სამეტყველო აქტის მონაწილე პირთა სიმრავლე:

ჩვენ, თქვენ; **wir, ihr**

იმპლიციტური სიმრავლე:

დღე და ღამ, დღითი-დღე,

გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი, ბათქა-ბუთქი,

აყალ-მაყალი, შარი-შური

Tag für Tag; man erzählt; es wird getanzt;

in deinem Arm; hier arbeitet es sich gut;

es jubelt und lacht um ihn

სიმრავლის ენის დომინანტას ორივე ენაში წარმოადგენს არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ფორმალურად და სემანტიკურად „სიმრავლის“ სემის მატარებელია. პერიფერიაზე განლაგებულია ექსპლიციტური სიმრავლის რაოდენობრივი მახასიათებლები: განუსაზღვრელი სიმრავლე, განსაზღვრული სიმრავლე, მიახლოებითი სიმრავლე, აქ ქართული ენის თავისებურებაა ის, რომ სიმრავლის აღმნიშვნელ სიდიდესთან გვაქვს მხოლოდითი რიცხვის ფორმა. სიმრავლის ხარისხობრივი მახასიათებლებია ორივე ენაში: ერთობლივი სიმრავლე, რომელიც გამოიხატება უმეტესად კრებითი არსებითი სახელებით, პერიფერიაზეა აგრეთვე სამეტყველო აქტის მონაწილე პირთა სიმრავლე (wir, ihr-ჩვენ, თქვენ- პირის ნაცვალსახელებით). იმპლიციტური სიმრავლე ორივე ენაში უხვა დაა წარმოდგენილი, მაგრამ ქართულისაგან განსხვავებით, გერმანულში უფრო მეტია იმპლიციტური სიმრავლის გამოხატვის სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ფორმალურად მხოლოდითი რიცხვის მატარებელია, ხოლო სემანტიკურად, ზოგჯერ კონსტრუქციის იდიომატურობის წყალო-

ბით, სიმრავლეს გამოხატავს, ანუ მრავლობითობის სემა აქვს.

ლიტერატურა

1. ანდრაზაშვილი მ. (1999): გერმანული ენის გრამატიკა სამ წიგნად. წიგნი პირველი - მორფოლოგია. თბილისი
2. Busch A., Stenschke O. (2007) : Germanistische Linguistik. Tübingen
3. Голетиани Г. (1970): Сопоставительная грамматика русского и грузинского языков. Ч. 1. Морфология. Тбилиси
4. Гулыга Е., Шендельс Е. (1969): Грамматико-лексические поля в современном немецком языке. Москва
5. Косякин А. (1962): Категория числа в современном немецком языке. АКД. Москва
6. Koschmieder E. (1965): Beiträge zur allgemeinen Syntax. Heidelberg
7. შანიძე ა. (1953) : ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი
8. Schendels E. (1979) : Deutsche Grammatik. Morphologie, Syntax, Text, Moskau

The field of notion of multitude in the German and Georgian languages

Marina Jashi

Ilia State University

Faculty of Science and Art

I.Chavchavadze av. 32, 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

Abstract

The given article considers and defines the field of notion of multitude in the two non-related - the German and Georgian languages. The article presents the language means used to express the notion of multitude. These means are not uniform and homogenous: some are used regularly, others only infrequently; some express „pure multitude“ (the plural forms of substantive), others modify and define more precisely quantitative relations; some of these means take central place, others- subordinate place (adjectives, pronouns, numbers); collective nouns have a limited but specific role. Some of these means have their meaning in the field of the notion of the multitude. Without these means it is impossible to express clearly and completely the quantitative relations in the language. In both languages, besides explicit plurals there are implicit plurals as well, these imply the cases where in spite of absence of formal signs of plural the notion of multitude is formed in our consciousness.

Keywords:

„pure multitude“, „idle function“, definite and indefinite quantity, combined multitude, explicit and implicit multitude.

Поле множественности в немецком и грузинском языках

Джашаи Марина Николаевна

Государственный Университет им. Ильи

Факультет Науки и Искусства

Пр. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси, Грузия

Тел. : 899 552 195

E-mail : marina_dshaschi@yahoo.com

Резюме

В данной статье рассматривается и определяется поле множественности в двух неродственных – немецком и грузинском языках. Представлены те языковые средства, которые выражают данное поле. Все эти средства неравноценны и неоднородны: Одни употребляются регулярно, другие – эпизодически, одни выражают «чистую множественность» (формы мн.числа имен существительных), другие уточняют и модифицируют количественные отношения; одни занимают центральное положение, другие – подчиненное (прилагательные, местоимения, числительные). Ограниченной, но специфической ролью характеризуются имена собирательные. Каждое из этих средств имеет свое значение в поле множественности, без них нельзя было бы выразить четко и полно количественные отношения. Кроме эксплицитной множественности, имеется в обоих языках имплицитное множество, когда несмотря на отсутствие формального признака значения множественности, оно все же возникает в нашем сознании.

Ключевые слова:

«чистая множественность», «холостая функция», определенное и неопределенное количество, совокупное множество, эксплицитное и имплицитное множество.

სვტოგეზო

Curriculum Vitae

ნათია აბაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპეისტიკის
დეპარტამენტი, დოქტორანტი
E-mail: abanatia@yahoo.fr

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: დოქტორანტი

სამეცნიერო შრომები: 3 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ლექსიკოლოგია, კომუნიკაციური ლინგვისტიკა,
შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება, უცხო ენის
სწავლების მეთოდოლოგია

ციური ახვლედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი,
ემერიტუს-პროფესორი
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია, ესპანური და იტალიური ენები

კვალიფიკაცია: ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების პედაგოგი

სამეცნიერო შრომები: 110 სამეცნიერო ნაშრომი, 6 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ენათმეცნიერება (ზოგადი და რომანული
ენათმეცნიერება, ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება)

ქეთევან გაბუნია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანი-
ტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 48 სამეცნიერო ნაშრომი, 3 სახელმძღვანელო და 1
მონოგრაფია

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა და ლიტერატურა,
სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა

ეკატერინე გელოვანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი,
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დოქტორანტი
E-mail: gelovanieka@yahoo.com

სპეციალობა: ესპანური და ინგლისური ენების სპეციალისტი

კვალიფიკაცია: ესპანური ენის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 3 სამეცნიერო სტატია

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტილისტიკა.

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული
წევრი
E-mail: rusudgo@yahoo.com

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 35 სამეცნიერო შრომა, 3 წიგნი (თარგმანი ინგლისურიდან)
და ერთი კომპიუტერული სახელმძღვანელო

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ბიზნეს-ინგლისური, მეთოდოლოგია, დიდაქტიკა

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური და ფრანგული ენებისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 35 სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 8 სახელმძღვანელო).

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ბიზნეს-ინგლისური, მეთოდოლოგია, პედაგოგიკა

მარინე კობეშავიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, დოქტორი
E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

სპეციალობა: ესპანური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგიის დოქტორი

სამეცნიერო შრომები: 5 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ლინგვისტიკა, ესპანური ენის ისტორია, ლექსიკოლოგია, სწავლების მეთოდოლოგია, ფორმეტიკა-ფონოლოგია, ტიპოლოგია

დარეჯან ლაბუჩიძე

თბილისის გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართული და უცხოური ფილოლოგიის ისტორიის განყოფილება, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr;
dodolaboutchidze@mail.ru

სპეციალობა: ფრანგული ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 31 სამეცნიერო ნაშრომი (თარგმანი ფრანგული ენიდან), 14 სამეცნიერო სტატია და 8 ბროშურა

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა და ლიტერატურა, ფილოსოფიის ისტორია, ქართული და უცხოური ფილოლოგიის ისტორია

თამარ მაჭავარიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: tamar_matchavariani@yahoo.com

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური ენის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 3 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია

ნონა რუაძე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების
დოქტორანტი

E-mail: nonaruadze@rambler.ru

სპეციალობა: ფრანგული ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 2 სამეცნიერო სტატია, 1 წიგნის ექსპერტი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა, ფონეტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა

ლიანა ციმაკურიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, მაგისტრანტი

E-mail : lika_cimakurize@yahoo.com

სპეციალობა: სახელმწიფო მართვის მოხელე

კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერების ბაკალავრი

სამეცნიერო შრომები: 2 სამეცნიერო სტატია

სამეცნიერო ინტერესების სფერო: პრესის ჟურნალისტიკის თანამედროვე
ტექნოლოგიები

ნინო ჭრიკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომანული
ფილოლოგიის დეპარტამენტი

E-mail: n.chrikishvili@yahoo.com

სპეციალობა: ესპანური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: დოქტორანტი

სამეცნიერო შრომები: 2 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ესპანური ენა და ლიტერატურა, ესპანური ენის
ისტორია, ფონეტიკა

ცისანა შერგილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მაგისტრანტი.
E-mail: cisana.shergilashvili@gmail.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: რომანული ფილოლოგიის მაგისტრანტი

სამეცნიერო შრომები: 10 საგაზეთო და 1 სამეცნიერო სტატია, 2 სამეცნიერო კონფერენცია

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ჟურნალისტიკა, ფრანგული ენა და ლიტერატურა

ნათია ღვინიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულე-
ბის მაგისტრანტი.
E-mail: nat.gviniashvili@gmail.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: მაგისტრი

სამეცნიერო შრომები: 3 საკონფერენციო ნაშრომი.

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა და ლიტერატურა, რენესანსის პერიოდის იტალიური ფერწერა

სოფიკო ფეტელავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი,
ინგლისური ფილოლოგიის მიმართულეების დოქტორანტი
E-mail: sopho_petelava@yahoo.com

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური ენის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 4 სამეცნიერო ნაშრომი.

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ინგლისური ენა და ლიტერატურა, თარგმანის თეორია, ტექსტის ლინგვისტიკა

მარინე ჯაში

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

სპეციალობა: გერმანული ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 28 სამეცნიერო ნაშრომი, 5 ტერმინოლოგიური ლექსიკონი
და 2 წიგნი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: გერმანული ფილოლოგია, თარგმანის თეორია

ქეთევან ჯაში

ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებისა და ხელოვნების
ფაკულტეტი, რომანისტიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: kdjachy@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 28 სამეცნიერო ნაშრომი, 8 ლექსიკონი და 9 სახელმძღვანელო

სამეცნიერო ინტერესების სფერო: შედარებითი ენათმეცნიერება, რომანისტიკა,
ტრადუქტოლოგია

2011 წლის 16 თებერვალს დაჯილდოვდა აკადემიური პალმის ორდენით
(საფრანგეთი).

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენების და კომუნიკაციის დეპარტამენტის გერმანული და ფრანგული ენების მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენების და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – გუმბელიოვის სახ. ვერაზის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენების და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- მარია მისაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საბუნებისმეტყველო აკადემიის (PAEH) აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენების და კომუნიკაციის დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ტუმის უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ტუმის უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Редколлегия журнала

- Майя Чхеидзе** – Грузинский университет, гуманитарная научная школа, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор
- Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, департамент языков и коммуникации, руководитель направления немецкого и французского языков, доктор филологии, фулл-профессор
- Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет, доктор филологических наук, профессор
- Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, департамент языков и коммуникации, доктор филологии, ассоциированный профессор.
- Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук
- Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук
- Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)
- Кетеван Габуня** – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, руководитель направления романской филологии, доктор филологии, фулл-профессор
- Ия Бурдули** – Грузинский технический университет, департамент языков и коммуникации, доктор филологии, ассистент-профессор
- Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Академии естественных наук (РАЕН)
- Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Климента Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор
- Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, департамент языков и коммуникации, доктор филологических наук, ассоциированный профессор
- Альба Грациано** – Университет Туши Италии, директор центра языков, доктор филологии, фулл-профессор
- Алессандра Спадафора** – Университет Туши Италии, центр языков, доктор филологии, ассоциированный профессор
- Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, ассоциированный профессор

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – University of Georgia, Humanitarian scientific school, Head of the Department of Languages, Doctor of Philological Science, Full Professor

Rusudan Tabukashvili – Head of the German and French Languages direction of Georgian Technical University, Doctor of Philology, Full professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Department of Languages and Communication, Doctor of Philology, Assosiated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Humanitarian Science Faculty, Head of the Dirrection in Romanian Philology, Doctor of Philology, Full-Professor

Ia Burduli – Georgian Technical University, Department of Languages and Communication, Doctor of Philology, Assistant Professor

Maria Mikhaylova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of academy (PAEH) on the nature study

Sylvia Boteva – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of Languages and Communication, Doctor of Philological Science, Assosiated Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Doctor of Philology, Full Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Humanitarian Science Faculty, Doctor of Philology, Assosiated Professor